# ივერია

1881

წელიწადი პირველი

№ II, თებერვალი.

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ატამანის ქუჩაზე.
1881

## თებერვლის წიგნის შინაარსი.


I. მარტიაანთ პაპა (მოთხრობა)—მაქრობსი . . . 3

II. *** (ლექსი)—გიორგი ჭრელაშვილისა. . . 44

III. სახალხო ლექსი . . . . . . . . . 46

IV. შიკრიკი—მიხ. ასათიანისა . . . . . . 48

V. ჩვენი ცხოვრების ლვიძლი შვილი — სტ. ჭრ—შვილისა. . . . . . . . . . 59

VI. ერთი ჩვენი მწერლობის სენი—მიხეილ გურგენიძისა . . . . . . . . . . 89

VII. ჩვენებური სასწავლებლების ახლანდელი მდგომარეობა—დ. ა. აბდუშელიშვილისა. . 119

VIII. შინაური მიმოხილვა—მიხეილ გურგენიძისა . 137

IX. პოლიტიკა—ტატალასი . . . . . . . . 143

X. უმთავრესი კორრექტურული შეცდომილებებისგასწორება „იმედის“ პირველ ნომერში. 164

პირველ მარტს მდგომარის წლისას მოხდა საშინელი, ძნელათ წარმოსადგენი საქმე—რამდენიმე წლის მეცადინეობის შემდეგ, რუსეთის რევოლიუციონერებმა მოჰკლეს **ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე II განმათავისუფლებელი.**

როგორც მთელი რუსეთი, ისე მთელი ქვეყანა აღელვა და შეაძრწუნა ამ ისტორიაში სამაგალითო მოქმედებამ, მით უფრო, რომ განსვენებულმა **იმპერატორმა** დაიმსახურა სახელი დიდის რეფორმატორისა: გლეხ-კაცების განთავისუფლება, ერობის შემოღება, ახალი სასამართლოების და ქალაქების თვით-მმართველობის დაწესება, ბეჭდვის მდგომარეობის შემსუბუქება, სამხედრო სამსახურისათვის ყველა წოდების მოწვევა და სხვ.—აი რეფორმები, რომლებიც განსვენებულმა **იმპერატორმა** მოახდინა ოც-და-ექვსი წლის თავის მეფობის განმავალობაში. თუ ამ რეფორმებმა ვერ აასრულეს რიგიანად თავიანთი დანიშნულება, ვერ მიიყვანეს ხალხი იმ სასურველ მდგომარეობამდის, რომლისადმისაც მ[illegible]ოდა განსვენებული **იმპერატორი**,—ეს დამნაშაობა ეკუთვნის იმ პირებს, რომლებზედაც იყო მინდობილი მოხსენებული რეფორმების სისრულეში მოყვანა.

განსვენებული **იმპერატორი ალექსანდრე II** დაიბადა 1818 წელს 17 აპრილს, ტახტზედ ავიდა 19 თებერვალს 1855 წელს და იმპერატორათ ეკურთხა 1856 წ. 26 აგვისტოს.

(უფრო დაწვრილებით ისილეთ „შინაურ მიმოხილვაში“).



# ივერია

ყოველ-თვიური

## სალიტერატურო და საპოლიტიკო

## ჟურნალი.

წელიწადი პირველი

## თებერვალი

6068

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ტფილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 февраля 1881 г.

# მარტიაანთ პაპა.

## მოთხრობა.

«ხახარე, ლექსი ამოთქვი, ნულარ დაახანებ ბევრსა,
ამოთქვი ახალ-ახალი და ნულარ გაურევ ძველსა;
აგებ ლექსი გამოუთქო წუთი სოფლის შავი დღესა—
გლეხი კაცის გაჩენაში არ გაუნათია მზესა.»

ხახარეს თქმული.—

რაღაც ფონ-გაუსვლელი, განუსაზღვრავი და გაშმაგებული სევდა მომაწვა. თითქო მთელი ქვეყანა სისხლის ნიაღვრით გამსებულა და ცას შავი ძაძა მოუსხავს საგლოვათაო. არ მინდოდა, რომ ტვინს ემუშავნა—ეფიქრნა, მაგრამ ფიქრობდა, მუშაობდა! არ მინდოდა ვმჯდარიყავ, მაგრამ, საუბედუროთ ვიჯექ სტოლთან ჩემ საცოდავ ოთახში, რომელიც ეხლა წმინდა სატუსაღოთ მიმაჩნდა.

სევდიან წამებში, მე მენატრებოდა იმ კაცებთა ბედი, რომლებიც ამ წუთის სოფლის და ცხოვრების მყრალ ტალღებს არ მოერიდნენ და უალიაქოთოთ იმათ ნავსადგურში მიაბჯეს თავიანთი ხომალდები. ამათთანა ხალხში ბევრი ჩემი ამხანაგთაგანი იყო. ესენი ეხლა დინჯათ იყვნენ დაბმულები ჩინოვნიკურ, აფიცრულ, მასწავლებლურ, ადვოკატურ, მღვდლურ და მებატონურ ბაგეებ-

ზედ— ახრამუნებდნენ შიგ ჩაყრილ გლეხების ოფლით მოყვანილ ქერს და მისვე ოფლით დასველებულ ბზეს, ნიშნად სიამოვნებისა იქნევდნენ კუდებს... თავს კი... თავს, რაც გინდ კბენარა ბუზი დასჯდომოდათ, ვერ გაიქნევდნენ—ისე შაჰჩვეოდნენ კბენას და ბუზებისაგან მათზე გაჭრელებას წერტილებით. ასე გაშმაგებულნი მიირთმევდნენ ქერსა.

მე კი ვეგდე მივარდნილ სოფელში, სადაც გარს უსამართლობის მეტი არას მწირველი-რაც სადაც უკანონობას, კაცთმოძულეობის, დამხობას, მუშტის და მათრახის ძალას დროთა ვითარებით კანონის მძლავრმეფობა ჰქონდათ. იქ მცხოვრებნი ჩემი მეზობლებს შუა-შუა დახეთქილი ხელებით და გარუჯული კისრით დღესაც კაცებათ არა სთვლიდნენ და ყველას სიკიდურო პირუტყვათა მიაჩნდათ, იმ ქმნილებათ, რომელიც უსწორ-მასწორობის უწყობიდანვე თხუთმეტჯერ ნაკლებ დაფასდა, ვიდრე მის ბატონის ფეხისფერითი და რომლის ფასი თოთხმეტი თუმანი იყო ვახტანგის კანონით!.. ოჰ, რას არ მოიგონებს ჩვენის დასაჩაგრავათ ქვეყნის ტალახიდან აზელილი კაცი!..

ჩემ გულს, ჩემ ფიქრს ყოველ წამს საზარელი სურათები აწუხებდნენ, მინამ მე არ დამაფიქრა ჩემ გარშემო მყოფ გლეხების ცხოვრებამ. მაგრამ რამდენსაც ვაკვირდებოდი მე ამ ცხოვრებას, იმდენი გაკვირვებით ვკითხამდი ჩემ თავს: რა აქვს ამ გლეხს ისეთი ნათელი თავის ბედ-კრულ ცხოვრებაში, რომელიც ამხნევებს, აძლევს სულიერ ძალას, რომ წლითი-წლამდე, დღითი-დღე, შვილით-შვილამდე მასზედ ულმობლოთ მინდობილი შრომის საქვეყნო ულელი სწიოს და თითონ კი მოიხვეჭოს სულ

მცირედი?—ბევრი, ბევრი ხმელა პური, უწმინდურათ გდება, ჩაფრების მათრახები, ათასნაირი რბევა და ცარცვა! რა ანელებს სულს, ამშვენებს სიტკბოთი მის უფერულ და მწარე სიცოცხლეს—რა აქვს გასამხნევებელად? ვკითხავდი მე ჩემ თავს.—ჰო, ბევრია, ბევრი გასამხნევებელი, გასახარებელი გლეხის საცოდავ და ბედ-კრულ ცხოვრებაში! მთელი მისი ცხოვრება სავსეა პოეზიით, მხოლოდ ისეთით, რომელიც გულს უმხიარულებს, ძალას და ღონეს აძლევს მარტო გლეხს თავის უღმრთო შრომაში და რომლისაც ინჩიც არ ეყურება მის გარეშე ჯურა სულდგმულებს—მეუბნებოდა ჩემი გახურებული თავი. ყველას ივიწყებს ის, როცა თავის შავ-თვალა ხარს შეჰხედავს მოღრუბლულ თვალებში. ყურს არ გიგდებს გლეხი, გინდ მისი ბედ-იღბალი ხელის გულზე გადუშალო, როცა მზრუნველი თვალით უმზერს თავის ფოლა ფურს!

ამ დროს გარეთ მარტის დღე იყო. სოფლის დედაკაცები ყუდროში სახლის კედელთან მიმსხდარიყვნენ და ჭორაობდნენ, თავზე კი ზოგს დაგლეჯილი ჩიხტილა ეხვია, ზოგს მხრებზე ქრმების ლურჯი პერანგის ამხანაგები ჰქონდათ გადაფარებული, სიცივის სუსხის შესაკავებლათ. შავათ ზამთარში ბოლისაგან შერუჯული გლეხები, ეხლა თავიანთსავე შაბოლილ და გამხმარ ბარზედ ვენახში შავსავე ვაზებ-შუა ქანაობდნენ. გატიტვლებულ ვენახებში ეხლა ყველაფერი ჩანდა და, რომ გაგეხედნათ, დაინახავდით ამ დროს, როგორ ქანაობდა ერთი გლეხთაგანი. აგერ ის დადგა ცოტა ხანი და დაიწყო საშინელი ხველა. გამხმარი და თითქო უსისხლო ლოყები ხან ებერებიან საბრალოს, ხან თვისვე ალაგს უბრუნდებიან

და, ოჰ, ღმერთო ჩემო, კიდეც ხანდისხან წითლდებიან!.. დიდ-მარხვამ და საზარელმა ზამთარმა ბევრ გლეხს გაუშრო სისხლი, ხევრმა ვერ გაფცქვნა წითელი კვერცხი, როგორც თითონვე ამბობენ ხოლმე... აგერ იყარა ხევლებამ ქინი და გლეხმა დაიწყო ისევ ბარზე ქანაობა,— თანაც დამღერა:

„მომკლა და ცეცხლი მომიდო, ვალალე,
მჭადმა, ნაცარში რეულმა, დალალე!
არც მომკლა, არც დამარჩინა, გენაცვა,
არც სული დამალევინა, ბიჭო და!»

მითომ მართალი არ იყო ამ დოის ეს ლექსი?!...

აგერ გაათავა ამ გლეხმა სიმღერა და მის ვენახის პატარა მოშორებით სხვა მბარავმა გლეხმა გამოჰძახა:

— ივანე! ჰაი, ივანე!

ივანე ცოტახანს შედგა და ხვნეშით გასძახა:

— რა გინდა, თედო?!

— რასა ხვნეში, ბიჭო, დადგა ახლა გაზაფხული, ჭიაყლის მცოცხლებელი! ჰაი, ვენაცვალე, დღეს უყურეფ— დღესა? ცხრა-თვალი მზეა!

— ვხედავ... ძლივს არ გვეღირსა! ნეტა ე ბალახიც მალე მოვიდეს და! ჩვენ გადავრჩით—ახლა საქონელია, შეილოსან, ხო უამათოთ არც ჩვენ ვვარგივართ!

— რაო, ხარებს ხომ არ ამარხულეფ,—ჩემი არ იყოს?

— ვამარხულეფ?—ჩემისთანაები თუ ამარხულებენ! განა არ იცი, წელს რა ვერანა ზამთარი იყო!... ტა-ტა-ტა! ჰე ტიალა, რომ არავინ მოსწრებულა!—შენ მტერს, რომ ჩემმა შავ-თვალამ წითელი კვერცხი ვერ გაფცქვნას სა-

აღდგომოთ. ისე მიკნავდა, რომ მე და ჩემი დედა-კაცი იმის კუდით აწევისაგან ლამის წელში დავწყდეთ.

— მე ხომ მარალა ხარი მომიკვდა!—ჰე, რა ხარი იყო!—ის ერთი დოლა ხარი, ზუშინ ხომ გასატიალებელი წვიმა იყო, გომში წვეთი ჩასულიყო და ზურგზე სცემოდა—აკი წელი მოეწყვიტნა. ეხლა წინა და უკან მხრებთან ქარშიკი ამოვდე და იხანზე მივაკარ... ფეხებზე კი ველარ დგება და. ამით სამი-ღა მყავს და შენი მტერი, თუ ისიც მომიკვდა—ვალში და ვახჩში ჩავარდები.

— ეჰ, რა უშავს! ანუგეშა ივანემ. შენ იყო კარგათ, თორემ.. აი მე და მთელ ჩვენ სახლობას კიდევ გვახველებს. ეს ოხერი—არ გვეყო, მთელი ზამთარი ავათ ვიყავით?

— ე სითბო დადგეს—ისე დაკარგოს ე ხველებაა რაღაც ტიალა, რომა... ჩვენებსაც ყველას ახველებს, მე კი, მგონი, აი სითბომ მომარჩინა.

— ეჰ, ხველა კიდევ ჯანდაბას, თედო, მაგრამ ე კალიაო რაღაც, მოსავალი ხელიდან კი არ გამოგვაცალოს და!

— ეგ ღვთი ნებაა, ივანე, ღვთის იასაულია და, ვინ იცის, გაგვიმეტებს ღმერთი?

— შენი მტერი, რომ ჩვენ, ისეც საცოდავებს, ის დაგვასაცოდავებს და ჩაგვყრის ვალში... თუ... კიდევ უნდა ეთქო რაღაცა, მაგრამ თედომ დაუშინა ბარს და დაჰძახა:

„ჰერელო, რათ მომკალ მამულ ტიალო,
ვარალე, რა კაცი შაგელეოდა,

თუ მომკალ, რაღათ შემჭამე,
რა პირი გიშავდებოდა? ვარილალილეო.»

ივანემაც მწარეთ დაიწყო:

„წუთი სოფელმა დღე ჩემი სიმწარით დამალევინა, გენაცვა. მატირა, ცხარე ცრემლითა, ზღვასაცა შემართვევინა, ბიჭოდა».

ამ დროს ყველა გლეხების ქოხები ღია იყო, რომ იმათ შამოსცლოდნენ ის ათასი ჯური «ბატონებისა", რომლებითაც სამსეა ხოლმე ზამთარში ჩვენი გლეხის ოჯახი. ყივანა ხველა, ათას ნაირი სურდოები, მჭვალი, სახადი და ათას ნაირი სხვა რამ უცნაური გლეხთა «ბატონები" შებატონეზე გაცილებით მეტათ არბევდნენ გლეხის ოჯახს,—ამტვრევდნენ და ანადგურებდნენ. ბევრ ლამაზ ვაჟკაცს ესენი ფერს უცვლიან ხოლმე წმინდა სანთელსავით და ზოგჯერ საშინლათ შავათაც. ბევრ ლამაზ გლეხის ქალს წითელი ლოყები გაჰლურჯებია და ნაზი წელი ქვაბივით სენისაგან გამობერილი მუცელს გაუუშნოებია ამათის წყალობით. ოჰ, ბევრ, ბევრ, საოცრად დაღებს ადებს გლეხის ოჯახს ეს უსამართლოთ გაჩენილი „ბატონობა!"

ასეთი რიგი სურათი ამ დროს ჩემ ბერმამის მყოფ სოფლისა იქვე. სოფელშიც იდგა ვეება-რაღაც სასახლე ბატონისა, რომლის ბალკონზედაც ჩემ ფანჯრის პირ-და-პირ იდგნენ რამდენიმე ვენის სკამები და ორ სკამზე ისხდნენ: ერთი ბატონის ქალი და მეორე სტუმარი—ახალგაზდა კნიაზი. კნიაჟნას ლოყები წითლათ უღვიოდნენ და ტახივით გასუქებულ კნიაზს კი ეტყობოდა, ტანში მხეცუ-

რი ქრისტიანული უვლიდა, იმიტომ პირუტყულათ დაჰტროფოდა კნიაჟნას; მაშინ როდესაც ბალკონიდან ვენახში მოჩან, საცოდავათ ბარზე ჩამოკანჭურებულ გლეხებს და ყუდროში მსხდარ მათ ცოლებს ჯერ ეს პირუტყული მადაარ ჰქონდათ გახსნილი.

მე შინ ვიჯექ. წინეთ მოყვანილი გლეხების საუბარი მიზუზუნებდა ყურში და ეხლა მეზიზღებოდა ამ ორითა „სხვა ფანდის სულდგმულთა“ ლაპარაკის ყურის მოკვრა. თავი ფიქრებით მემსებოდა... მათი ტალღები ჩემ თავში ქაფებს იგდებდნენ. კარი ოთახისა ჩაკეტილი მქონდა, თითქოს მეშინოდა, რომ გლეხების სახლიდამ განთავისუფლებული „ბატონები“ მე არ მწვეოდნენ.

ოხ, მეჯავრება გლეხის „ბატონები!“ მე მათ სახლში არ შევუშვებ—ესენი ამ საცოდავებს ზნეობით და სახით ასახიჩრებენ!... უცებ ავიღე თავი, რადგან ჩვენ სოფლის ზევით უბანში ასტყდა ძაღლების ყეფა. ყეფა უფრო ახლო და ახლო ისმოდა. ყველა მიჰხვდებოდა, რომ სოფელში არა ჩვეულებრივი რამ შემოერიათ. ერთგული ჩვენი გლეხის ძაღლი, პატრონზე გაცილებით კარგა, ჰგრძნობს, რომელია პატრონის მტერი. აი, შემოერია სოფელში მგელი; ეს დალოცვილები მიჰყვებიან და ჰლანძღამენ უშვერის პირით ამ ხალხის მტერსა, მინამ სოფელ გარეთ არ გააცილებენ. ზოგჯერ ისეთ მტერსაც შეჰბედამენ ლანძღვას, რომელსაც გლეხნი ხმასაც ვერ გასცემენ—აი გუშინდა ეხლა. მაგრამ ჰაი, თუ ესმოდეთ თქვენი ლანძღვა, ჩემო ცუგეებო, გიჩვენებდნენ სეირს!

ამ დროს აგერ მოისმა ცხენების ფეხის ფრთხალა-თქურის ხმა...

ჰო, ჩვენი მამასახლისი ქუდ-მოხდილია. აგერ მორბის— მის ყელზე სამამასახლისო ჯაჭვი ხტის.

— რას სცხაროფ, სად მიჰრბიხარ, მამასახლისო?! ჰკითხა ერთმა.

— ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი, იმაზე კაი ალაგს სადღა წავალ, მოსვენებული მაინც ვიქნები! რაღაც ნაჩალიკი მობძანდებაო, სახლი უნდა ვუშოვო... მოაძახა იმან და თან მიძუნძულობდა ფეხ-აკრეფით.

თქმა იმისი და იქვე კუნჭულიდგან ცხენების გამოსვლა ერთი იყო. წინ თითონ „ნაჩალიკი," ამაყათ მჯდომი, მობძანდებოდა. გვერდზე მოაჭენებდა „პრაოჭიკი" და ცდილობდა დამხარდამხარებოდა უფროსს, რომ ყველას ეფიქრნა—ესეც უბრალო ვინმე არ არისო. მისი ბებერასავით სახე, წვნიკი ცეტური თვალები, მედიდურათ დაჰყურებდათ გლეხებს და თითქო ეუბნებოდათ: „მე ადგილობრივ ნატარიუსში მაქეს ჩემი უფროსიდგან ყველა ამის ხელობა დამტკიცებული და, რასაკვირველია, ცემაცაო." ამ დროს მისი ჩასუქებული ტანის ნაწილი—სქელი ხელიც სიამოვნებით ატრიალებდა მათრახს. გლეხები მათ ქუდს უშვლეპენ. „მიხეილ პრაოჭიკის" ბებერას მსგავსმა სახემ შეასწრო ამ დროს ცოტა ხან შეჩერებულ მამასახლისს თვალი, სახე ინდოურისაეფ გაულურჯდა და შეჰბღავლა: ჰაი, შე ლოტრო, ჩქარა, თორემ დინგს მოგ...! საწყალმა სოფლის წარმომადგენელმა მოცხრილა. დაბინავდნენ ჩვენი გმირები. გლეხებმა ცხენებს დაუწყეს ქუდ-მოხდილებმა ტარება. დანარჩენი ყოველივე ისე მოხდა, როგორც ხალხისვე მოლექსე საწყალი გლეხი ხახარე ამბობდა:

„სუდია—მამასახლისი ეცნენ მაშინ ერთმანეთსა,
გზირებს ქერი და ბზე მიაქვთ, მიარბენინებენ ძღვნებსა,
ზოგი აღმისკენ გაიქცა, ზოგი გარბის ქვევითკენა.
«პრაოჩიკიც» ხომ აქ არის, ვაი დედი ჩვენი ღმერთსა!
მიქელ-გაბრიელი არი, როდის ამოგვხდის სულებსა?"

ჰო, ღმერთო კი შეგცოდე და საზიზღარი იყო ეს „პრაოჩიკი" თავის ოზოზური სახით, მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, როდესაც მე იმათთან მიველ, ის გვერდით მომიჯდა. ჯოჯოხეთში უკეთეს სასჯელს ვერ მოიგონებდნენ ჩემთვის! ამან ეხლა დიდის სიამოვნებით დაიწყო მოთხრობა გლეხებთან მოქცევაზედ და ამ მოთხრობაში ჩვენი ხალხის მცოდნე კუდა აზნაურების ნანინას იცნობდა:

— გლეხი ვინც შეიბრალოს, იმისი ჯიში გაქრეს, ჰო და ი ასრე! ამბობდა «მიხეილ პრაოჩიკი»—გლეხი რომ პირ-აღმა კვდებოდეს, უნდა პირ-ქვე დააბრუნო და ისე ჩაჰჭეჭყო, რომ ზევით აღარ აახედო, ცის შუქი არ დაანახო...

საქმითაც მალე მოუხდა ამ სიტყვების აღსრულება—თავის ბოლო სიტყვებზე იმან ერთი კი შაჰბღავლა ნადირივით და გავარდა კარზედ, სადაც ერთ ცხენის მტარებელ გლეხს ულაყი ცხენი გაჰშვებოდა. ცხენი სხვა ცხენებს ჭიხვინით და წიხლებით დასდევდა—გლეხი კი იდგა შამკრთალი. ჩაფრებმა მალე დაიჭირეს ცხენი, მაგრამ გლეხს კი ცუდი დღე დაადგა: ბრაზიანი და საზიზღარი ლექსით მიჰვარდა მხეცი «პრაოჭიკი» და დაუშინა ულმერთოდ მათრახი. ათიოდ ღარტყმის შემდეგ, ხელი

ჰკრა საწყალ მსხვერპლს და იქვე კედელზე საშინლის ძალით მიახეთქა.

უფროსი ამაზედ უგრძნობლად იღრიჭებოდა. ობობას სახე კი ქმიტინით ამბობდა:

— ვერ უყურეთ? — ამათ უჯოხოთ, ხომ ვერას გააკეთებინეთ! ბატონო, იმ დღეს ერთ ტეტიას, მე და ჩემმა ღმერთმა, ჩემ ბალკონიდან ხელი ვკარი და კიბეზე რახრახით ჩამოვაგდე. მგონი ნეკნები მთელად აღარ გამოჰყვებოდა. რას იზამ, თუ არა სცემ, სხვითი რომ ვერას შეასმენთ? ერწმუნეთ ღმერთს, ისე მიმიმტვრევია გლეხისათვის ცხვირ-პირი, რომ ადამიანის სახე არა სდებია სისხლისაგან. მევე შემნანებია!..

ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა იმ სოფლის «კეთილშობილება» და არა აზიდებდა მას.

მე გაბოლმებული გამოველ აქედგან და გასართობათ ჩვენი სოფლის ბოლოს სასაფლაოზედ წაველ. მინდორს მწვანე ყდა გადაჰკროდა, თუმცა გატიტვლებული ნიგვზის და სხვა ორ-ღობეში მდგარი ხეები ჯერ ნიავზე ისევ კვნესოდნენ. საამური გაზაფხულის პირის ტბილი ჰაერი ჩემ ნერვებს უგურგურებდნენ. სოფელს რომ გავცდი, მე კარგა შორიდგანვე დავინახე საიდუმლოდ წყნარ სოფლის სასაფლაოზედ ერთი კაცი, რომელიც, ეტყობოდა, საფლავსა სთხრიდა. ვიგრძენ, რომ ჩვენ საბრალო სოფლიდგან ერთი საქვეყნო ბერაში მდგარი სულდგმული მოჰშორებიყო მზეს. ახლო რომ მიველ, მხოლოდ მაშინ გავარჩიე, ჩვენი სოფლის საწყალი გლეხი, მარტიაანთ პაპა, რომელიც დამკვიდრებული იყო ამ ხელობაში. ჰო, ბევრი, ბევრი

მკვდარი დაუბინავებია და საუკუნოთ დაუქოხმახებია პაპას! სთხრიდა ეხლა პაპა საფლავს, გვერდზე ნიჩაბი, წერაქვი და თიხის ჯამი ედგა; პატარა მოშორებით კი ღვინო-გამოშრეტილი საღვინე მხარ-თეძოზე წამოსწოლოდა ხონჩას. შეზარხოშებული იყო ჩვენი პაპა, მაგრამ მაინც ის დინჯათ და დარბაისლურათ ადგამდა ბარს ფეხსა. საბრალო შეხედულობისა იყო ის: ტანად დაბალი, მუცელი გამობერილი, კისერი ნაცრის ფერი და წვრილი, კანჭები დაგლეჯილ ნიფხავიდგან მარსკვლავთმრიცხველობდნენ, ფეხის თითები დაგლეჯილ ქალამნებიდგან ჯოჯოსავეფ იმზირებოდნენ, თავზე ქუდის ჩაჩი ეგდო, ტანზე დაგლეჯილი შავი ჩოხა. პირი სახე კი სულ სხვას წარმოგიდგენდათ—კუმეტივით შავი გონიერი თვალები მარილიან პირზედ, შუბლი განიერი, ცხვირი არწივული, ასე რომ ამაზედ გეტეს ტანი აფსუსი არ იქნებოდა.

ამ დროს ჩვენ პაპას რომ გამოჰლაპარაკებოდით, მითომ გამლეტთან მოლაპარაკე მესაფლავესთანა ხალისიან პასუხებს მიიღებდით? არა—პაპა თავის არა-ჯურა კაცს არ აღირსებდა ამას. ის მარტო მასთან იწყებდა ხალისიან ლაპარაკს, ვისაც მისი სული და გულის მოთქმა, მიხვრა-მოხვრა ესმოდა და აგრეთვე ვისიც მას ესმოდა, უამისოთ ეს მუნჯობას და მარტოობას რჩეობდა. დავიწყოთ მასთან ლაპარაკი, ვთქოთ გლეხ-კაცის ბედ-იღბალზედ, მათ ეხლანდელ ეკონომიურ და ზნეობით მდგომარეობაზედ, მათ ურთიერთობის დამოკიდებულებაზედ, განათლებაზედ—ერთი სიტყვით, იმ დღიურ და აუცილებელ კითხვებზედ, რომელზედაც არის დამოკიდებული მისი ბედი და უბედობა: პაპა ან სულ ყურს არ დაგიგდებ-

დათ და ან თქვენ ლაპარაკში უკილოვოთ, რადგან ყური გდებაში გატყუილებდათ, წაჰჩრიდა სიტყვას თავის კამეჩზედ, ან ვენახზედ, სიმინდის ცეხვაზედ, სოლზედ, სახრეზედ და სხვა-და-სხვა, უფრო მოულოდნელ და საზარელ რამეზედ. უთქვენოთაც პაპა ამ გვარ თავისებურ გემოზედ არჩეულ საგნებს ახმარებს თავის გონების ხალისს და ამაშივეა მისი ულმრთოთ მწარე სიცოცხლის წამხალისებელი ძალა, პოეზია!.. ვინ იტყოდა, თუ ახლა პაპა ამ ტკბილ მარტოობაში და დარბაისლურ ბარვაში— თავის შავ-თვალებს რა ძალით მიაბჯენდა ხოლმე გვერდზე მდგომ თიხის სალვინეს და ეს შახედვა, ვინ იტყოდა, სად გაიტაცებდნენ ხოლმე მის უსაქმოთ მყოფ გონების ძალას! იქნება ტკბილათ აგონდებოდა ეხლა ის დრო, როდესაც კათათვეში მკით გალექებულს, ცოლმა ერთი სწორეთ ასეთი სალვინითვე მჟავე ღვინო ჩაუტანა და ის სიამოვნებით დაჟივდა! ან გუთანზე როგორ ჩაუტანეს, ან ტყეში როგორ წაიღო სალვინე, სადაც საულლეც მოჰსჭრა და სხვ. და სხვ. ასე შორსვე სწვდებოდა იმისი გონება, რასაკვრელია, ამის დანახვაზედაც, ბარის დახედვაზედ, გარშამო ათას ნაირ საგნების შეხედვაზედ. ოჰ, ღრმათ არის ხოლმე ჩაყურყუმალავებული გლეხი მხოლოდ თავისებურ ფიქრებში და იქ არის მისი სამხიარულოც და სამწუხაროც! ეს აცხოვრებს მას, ასულდგმულებს და ატარებინებს თავის ძალლ-უმადურ ცხოვრებას!

შიტომ მეც პაპას ბევრი არა ვკითხე-რა. შემდეგ გამარჯობის თქმისა და მიცვალებულის ვინაობის გამოკითხვისა—ვუთხარი:

— პაპავ, გამიგია, სულ კოკოსთან ჰმუშაობ, რატო ქალამნებს არ გაცმევს, მეთქი?

— ეჰ, დალოცვილო, საწყალი კაცი თუ არ ჰყოფილხართ, გზაზე მაინც შამოგხვედრიათ... წაილუღლუღა იმან.

ეს იყო ჩვენი ერთმანეთის ჰაზრის ალებ-მიცემობა,— მას პირ-და-პირ ეტყობოდა, რომ ჩემში არ საჭიროებდა და მეც გავბრუნდი. ამ დროს დავინახე, რომ ორ-ღობიდან მცხედარი გამოიტენეს. წინ შემოსილი მღვდელი მოუძღოდა, რომელიც სოფლის დიაკვნის საბრალო და შასაზარ მიკნავებულ ხმას საცოდავათვე ბანს აძლევდა. მცხედარი, ორ სარზე დაკრული, კუბოთი მოჰქონდათ ექვს კაცს, უკან თავ-ჩაღუნული მისდევდნენ რამდენიმე დაღონებული მიწის მომზერალნი გლეხები. პაპამ თხრას მოუმატა და მე ფიქრებით სამსე მოვშორდი სასაფლაოს.

იწვა, იდგა, იშრომა, მკო, თესა, ხნა, ბარა, სარა, რწყო, იხადა სახელმწიფო ხარჯი, სწია ბეგარა, იშორა ვალი ათას ნაირი მღლეტელებისა, „პრაოჰიკს“ და ჩაფრებსაც კი ვალი ლოყების და ზურგის მიშვერით უხადა და აი ეხლა მოკვდა, რომ დალპეს, მიწათ და ორთქლათ იქცეს, იმ ორთქლმა წვიმათ იმისვე სოფლის ყანებზე იწვიმოს, რომ კაი პური აალებინოს ქვეყნისთვის!... საცოდავი იქნებოდა ამ მიცვალებულის ცხოვრება, რომ მის გონებას ამ ცხოვრებისვე საცოდავ წრეში არ ჰქონოდა გასართობი და პოეზია! იქნება, ვფიქრობდი მე, ეს საბრალო სიკვდილის ცოტა წინეთ ფიქრობდა თავის ლომა კამეჩზედ, რომელმაც ორი დღის წინეთ დააჩოქა საპალნის ურემში მეზობელ ჰონქას კამეჩი! ან მათ ჰრილ-

მა ძაღლმა როგორ შეუტყო საქათმეში შესულ მელას და შიგ წაახრჩო და სხვ. და სხვ. ამით ის მინდა ვთქვა, მკითხველო, რომ ამეებში ტრიალებს გლეხის გული; ის შესვენებას და სიტკბოებას ხარ-კამეჩში, საქონელში, სარში, ტაბიკში, ქვაში, და სხვა მის გარ-შემო მყოფში პოობს. ვის არ უნახამს, რომ გლეხს შეჰყვარებოდეს რიყეზე ქვა, ეეკიდნოს, წელი მოეწყვიტნოს რამდენიმე ვერსის გამოტარებით და ჩამოდების დროს სიამოვნებით წკეღლუღლუღნოს: „მარნის კუთხეთ, საბძლის კუთხეთ!..“ ან შორს, შორს წასულიყოს უბრალო ოდესმე ნახულ ცულის ტარისთვის, ან სარისთვის, თუმცა ახლოც იპოვიდა მათ მსგავსებს!.. ჰო, ყველა მაგ წყნარ სოფლის სასაფლაოზე მწოლნო, დამაშვრალნო, ესეები გინელებდნენ ტკბილათ მწარე სიცოცხლეს; ესეები გაგონდებოდათ სიკვდილის ჟამამდე!—მაგრამ შენ რაღა გაგონდება, ან რა მოგაგონდება სიკვდილის ჟამს «პრაქტიკო?» რა გაგყვებათ გონებაში? ან თქვენ, ცხოვრებაში ყელამდის მოჭყუპალავე მაღალ ფანდის ხალხნო?!..

ამის შემდეგ მე ცხადათ დამეხატა მარტიაანთ პაპას ცხოვრება, მისი ავან-ჩავანი, ტვინის და სულის წყობა.

პაპა თხუთმეტის წლისა იყო, რომ მამა მოუკვდა და დედა არც კი ახსოვდა. ზამთრის დღე იყო, პაპა იქვე ფერდაში კუნძების საგლეჯათ გოდრით გავიდა, შინ კი უქეიფოთ დასტოვა თავისი მოხუცი მამა. საღამომდის ცულის ყუით ბევრი ლაზათიანი ხმელი ხუნჩები დაგლიჯა, აავსო გოდორი და ჩამოიტანა შინ. შევიდა სახლში და კერას პირს მიეპირქვავა, მხოლოდ გამქრალ ცეცხლს

კი ერთი ხუთიოდე ხუნჩი მიუდო. ამ დროს კერას პირ მწოლმა, მის ავათმყოფმა მამამ, შექნა ხრიალი. აი აბრიალდა ხმელი ხუნჩები, ბნელი მიწური პაპას ოჯახისა განათდა. პაპა მამასთან მივიდა და თეთრ იარდლის საბანს გადასწია. აქ გამოჩნდა მოხუცებულის თოვლივით თეთრი თავი, ნაცრი-ფერ შუბლ ქვეშ წვრილი შავი თვალები რაღაც დაფეთებით ელამდნენ, ღია პირი რაღაცას ცხოველივით ზმუოდა. პაპამ ჩასძახა: «რა მოგდის, მამი?» ბერი-კაცმა, ამ ხმის გამგონემ, უცებ კისერზედ საშინელის ძალით გაუჭირა მომაკვდავი ხელები და დაიწყო ჯოჯოხეთური ზმუილი. ძლივს გაუსხლტა პაპა მომაკვდავს ხელიდან, გავარდა კარში და მოჰყვა საშინელ ღრიალს. ამ ხმაურობაზედ მოცვივდნენ მეზობელი დედა-კაცები. ამათ შეატყეს, რომ ბერი-კაცი რიღაცისაგანაც იღრჩობოდა. ჩაუყვეს ხახაში კოვზის ტარი, ტაბიკიც კი სცადეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა. აბრიას ანთებულ თვალებს ლიბრი გადაეკრა და ტანი მთლად გაუცივდა. ხუნაგმა ანუ დიფტერიტმა მოიდნო საბრალო. დედა-კაცები კი ამის შემდეგ, მალ-მალ იტყოდნენ ხოლმე: სულ-მძიმე ყოფილა და იმიტომ სულთა-მხუთავმა ისე წვალებით ამოხადა სულიო.

— აი, სულ განათლებული ჩემი დედამთილი, დაუმატებდა ხოლმე ხშირათ რომელიმე, რომ კეთილი ადამიანი იყო, აკი ისე ამოხდა სული, თითქო დაეძინაო, ცხონებულს...

მეორე დღეს მიცვალებული დამარხეს ისე, როგორც იმარხება ხოლმე საწყალი ხალხი სოფელში... ზოგმა ფქვილი მოიტანა, ზოგმა ღვინო. ბებრებმა ქელეხში

რამდენჯერმე გაიქნიეს ყბები, ერთი ჭამოლეჯერ ახსენეს მიცვალებულის სახელი, და გათავდა ამითი საქმე. სიცოცხლე მისი საჭირო არარავისთვის იყო, რადგან შეალია ქვეყანას თვისი ძარღვების ძალა სრულებით. გავიდა თითქმის ორი წელიწადი და პაპამ წირვა ვერც კი მოუხერხა თავის მამას, მისი ტოლები დასცინოდნენ და „სულ-აუხსნელის შვილს“ ეძახდნენ—მეზობლებიც მოაგონებდნენ ხოლმე: აუხსენ, ბიჭო, მამა-შენს სული, რა გაგიხდა ერთი ცხვარი, ზოგს ჩვენ შეგეწევითო, ცოდოა ძლიერ სულ-მძიმე იყოვო...—პაპა დაფიქრებული დადიოდა, რადგან მღვდელმაც ძალა დაატანა: «თუ არ აუხსნი და საწირავს არ მომცემ, საყდარში არ შაგიშვებო,“ ეუბნებოდა მას. ბოლოს თითონვე გამოუჩნდა პატრონათ. იცოდა პაპა გამრჯელი ბიჭი იყო, შეაგულიანა, ცხვარიც თითონ მისცა, უწირა კიდეც და ამაებში ორი წლით მოჯამაგირეთ დაიყენა—ან რით მოსტყუვდა პაპა? მამას სული აუხსნა, შაუმსუბუქა!..

ამ დროს პაპა სახით სულ ის არ იყო, როგორიც სასაფლაოზე ვნახეთ. ის მშვენიერი სოფლის მოზარდი, ანუ ჯეელი იყო. მარილიანი სახე და შავი თვალები ბევრ სოფლის გოგოს გაულვიებდნენ ხოლმე ლოყებს; მაგრამ რა არის წუთი სოფელში ერთ დონეზედ?! ნამდვილი მისი სახელი პაპა კი არა, ილიკო იყო; მაგრამ როცა ეს ღვდელს ედგა მოჯამაგირეთ, დიდ-მარხვის ბოლო კვირაში, ღვდელმა ჩვეულებისამებრ, აღსარების თქმაში იმ სოფლის მოზარდი ჯეელები—პაპას ტოლები, ვენახში საბარავათ ჩამორეკა. პაპაც მათ გვერდში ამოუდგა. სცემდნენ ბარს და გაჰქონდათ ჯეელებს ერთი

ყოფა. იმათში ერია ერთი გამოჩენილი მოზარდი ხახარე, რომლის ხუმრობა და ლექსები მთელ მხარეზე იყო გავარდნილი.—ჰა, დაკა, ბიჭო, ილიკო! დაუყვირა ერთმა ბიჭმა ჩვენ პაპას. ხახარემ აიაზედ თავისებური ხუმრობა გამოიჩინა:—არა, შვილო, მე საცა ვყოფილვარ, გლეხი კაცი ყველგან ან ონაფრე გამიგია, ან თევდორე, ან პავლეაანთ გოგია, ან ზაქარა, ან ქიტია—არა, ილიკო რა სახელია?—ილიკო თავადიშვილს უნდა ერქოს—შენ რას იჭიმები? დაუწყო პაპას.

—შვილო, საწყალიც ვიყო და სახელიც არა მქონდეს? უპასუხა პაპამ, თუმც უჭკუოთ არა, მაგრამ მაინც ეს აიგდეს მასხარათ და ილიკო „პაპათ" გადანათლეს, რადგან დინჯი მოზარდი იყო. ეს ამბავი დეემართა პაპას იმ ხახარეს წყალობით, რომელიც მას ქვეყანაზე ყველაზე ძლიერ უყვარდა და საფლავამდესაც მიიტანა ეს სიყვარული. ასე გაქრა ილიკო ქვეყნიერობიდამ და მის მაგიერ იყო მხოლოდ პაპა. ამისთანაებს კი იზამდა ხოლმე ეს ხალხის შვილი, ხალხის სული და გული ხახარე. მისი გამოთქმული ლექსი ხალხის სულის სარკე იყო და ყველა სწავლობდა ზეპირად, მეც მოვიყვანე აკი, მკითხველო, მისი ნაცლეჯები. ის ისე საწყალი იყო, რომ შინ მჭადის ლუკმა ენატრებოდა, მაგრამ ხალხში მუდამ მხიარულობის და კილოიანი სიტყვის დამბადავი იყო. ვერ მოიფიქრებდით ამის სისაწყლეს, თუმც ეს მის დღეში არ ჰმალავდა და ნახევარ თავის დაცინვას სისაწყლეს ანდომებდა... მე „პუბლიკაციაში" დაკრული ვარო—იტყოდა ხოლმე ის შაყრილ ერში და ხალხიც იხოცებოდა სიცილით. მთელ მაზრას უყვარდა ის; მაგრამ პაპა კი მისი მხურვალე თა-

ნამგრძნობელი იყო, თუმც ხახარეს კილოანი სიტყვა არც მას ინდობდა; გულით კი ამასაც უყვარდა ყველას მოსიყვარულე სული პაპასი.

ერთხელ აღდგომა დღეს მოუგონა პაპას, რომ ვითომც ის, საყდარში რომ შემოვიდა, ლიტონიაზე ხმამაღლა შესძახა: „აგაშენოთო“ და როცა ეს ხახარემ ლიტონიიდან გამოსულ ხალხში თქო სიცილისაგან ფერდები დაიხეთქეს ყველამ და პაპა კი შერცხვენილი ლუღლუღებდა:

«ეს პავლიაანთ ხახარე, შაირის ქამანდარია,
მაშინ გამოჰსთქვამს ლექსებს, როცა რომ სანდომარიაო“ და სხ.

ერთი შახედვა ხახარესი, როცა ის ხალხში, ხალხის სულისა და გულის ჰანგზევე ტიტინებდა, ღრმათ ჩაგვინერგავდათ მისდამი პატივს და სიყვარულს, თუ ხალხის სულისა ცოტა რამ გაგეგებოდათ.

ხალხის პოეზია, ხალხის სამხიარულო, მარტო ხალხის გულს ესმის და იმ გულს, რომელსაც პატარა სითბო აქვს და სულს, რომელიც გაურყვნელია ქვეყნის ვერანობისაგან.

იყვნენ ისეთნიც ამ გლეხებ შუა, რომლებსაც არ ეჭაშნიკებოდათ ხახარეს ლექსები და ანდაზები და არც უგდებდნენ ხოლმე მას ყურს; ესენი ანგარიშის, ვაჭრობის და ყვლეფა-გლეჯის მანქანა გლეხები იყვნენ—ამათ არც ესმოდათ ხალხის პოეზია და მათი გრძნობი, ხალხსაც ეჯავრებოდა გულით ისენი და ხახარეს კილოც ნახევარზე მათ საკბენათ იხარჯებოდა. ამ ახალ-ჯურა ხალხს

არც ჰქონდათ სულის გასართობი რამ, გარდა ყვლეფი-
სა, არც ესმოდათ პოეზიური და ამაღელვებელი რამ!..

პაპა სულ სხვა იყო. ესეც ხახარესავით ხალხის შვი-
ლი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ პატარა ვენახის
მეტი არა დაჰრჩა-რა; იმიტომ მთელი მისი ახალგაზდობა
დღიურ მუშაობაში და მოჯამაგირობაში გადიოდა. გუ-
ლი მისი იყო მოსიყვარულე, ნაზი და ფართო. თუ მისი
ტოლებისაგან ან სხვებისაგან პაპას ესმოდა ქება ხოლმე
კაი მომკლისა, კაი მოჭიდავესი, გუთნი-ღედისა, მეურმე-
სი, მელექსესი, ასე გაშინჯეთ, ბევრი მჭამელისაც კი,—
მეტათ იამებოდა ხოლმე.

— ჰე, აი მკა პაპუნამ უნდა დაიკვეხოს! ღმერთო, რა
ბიჭია! ვენაცვალე იმი მარჯვენას, ესმოდა ხოლმე ხში-
რად პაპას.

— აი გუთნი-დედა—გუგნიაა; აუკიდებს გუთანს, თი-
თონ გაანებებს თავს და ჰხნამს გუთანი თავისთავათ. ნე-
ტა დუნიაზედ მაგაზე კარგა მოჰმართამს კიდე ვინმე გუ-
თანს? იტყოდნენ ხოლმე გლეხები.

— ჭიდაობა ჩვენი მიხა დალაქისა—ჯერ კი ზურგი არ
დაუშვია მიწაზედ—იტყოდნენ ხოლმე პაპას ჯეილა ამ-
ხანაგები და ასტეხამდნენ ერთ ჭიჭყინს—არა სხვა მეე-
რევა, არა ვერაო და სხვ.

ხახარე და მისი ოინები ყველას პირზე ეკერათ.—აი
ჭამა ჩვენი ჭულუასიო, იტყოდნენ ხოლმე შაყრილი კა-
ცები. იმ დღეს ერთი ჯამფილა გამომდნარი ღორი-ქონი
დახვრიტაო.

— ეგ რა გიკვირს? დაუმატებდა ხოლმე მეორე—ეხლა-
ხან ერთი თოხლი შაჭამა მარტიამ და!..

ამაების გამგონე, პაპა ცდილობდა აგრეთვე სახელის დამსახურებას. მისი ნატვრა სულ ეგ იყო, როცა მარტოკა იყო ხოლმე; ყველა სოფლის მოზარდის ფიქრიც ეგ იყო. ხომ იცით დიდი ძალა აქვს გარემოებას აღზრდაში? იქნება ჩვენი პაპას გული სხვა გარემოებაში ქვეყნის ნაცარ-ტუტის მჩქეფარე ბაირონის გულათ გამომდგარიყო და ეხლა კი უწყინარი და ყველას მოყვარული გული გამოვიდა.

პაპას ხახარეობის იმედი სულაც არა ჰქონდა, რადგან ჰგრძნობდა, რომ მისი სულისა და ჭკუის ძალა მას არ დაჰყოლოდა დედის მუცლიდან. ჭამით სახელის დამსახურებაც იმას ხელს არ მისცემდა, რადგან ხორცსაც ვერ იტანდა მისი კუჭი და იმიტომ არც სჭამდა მას. თუმც ქართველების დიდედა—ლობიოთი ვერა დროს ვერ გაძღებოდა ხოლმე, იმდენს ჰჭამდა, ან კიდევ მაწვნით, რომელიც ერთხელ მეძროხეებთან ოთხი ქილა შეჭამა და კიდე მაძღრისათ არა სთვლიდა თავის თავს. აგრეთვე პაპა ადვილად შაჰჭამდა ხოლმე ერთ გუდა კვრინჩხს, ოც კიტრს, ორმოც მტევან ყურძენს, მაგრამ მაინც პაპას ჭამის ქება არსად ისმოდა და არც შეიძლებოდა, რადგან ტოლები, ამაში ბევრი ჰყავანდა ამხანაგათ. პაპას ბედზე სახელის დასამსახურებელათ ჭიდაობა და მკა-ლა დარჩა და ამათაც დაუწვრილეს კისერი საბრალოს.

ჭიდაობაში პირველათ აკი ბედმა გაიღიმა და ერთი ორიოდ თავისი ტოლი გალახა ჯვარობას, მკამაც მუქთად არ ჩაუარა: ორი ზაფხულის შემდეგ, პაპას მკას ვერავინ უძრახამდა და პირშიაც აქებდნენ ხოლმე. უფრო

მეტ ჯილდოს მისაღებათ ის ცხელ კათათვის დღეში ამოუდგებოდა გვერდში თავის სოფლელებს და მთელი დღე წაკუზული—მაღლა არ ამხედე დაჰსძახოდა „ჰოპუნას.“ ამის შემდეგ ბევრ ჯელ დეეგდებოდა ხოლმე ცივ მიწაზედ, გაცივდებოდა და გახდებოდა ხოლმე ავათ მთელი ზაფხული. ეს იქამდის გაგძელდა, მინამ პაპამ ჭკვა არ ისწავლა და დარბაისლული მუშაობა არ დაიწყო.

ერთხელ მკის შემდეგ, შაბათ საღამოს სოფლის ბოლოში ერთი დიდი ქვა ეგდო, რომელსაც ღონის გამოსაშინჯავათ ხშირათ ასწევდნენ ხოლმე სოფლელები და ვინც მაღლა აიტანდა, ის იყო ღონიერი. აკი ეხლაც მოუნდათ ღონძის გამოშინჯვა. ბევრმა ბიჭმა აიცილა ის უზარ-მაზარი ქვა სარტყელზევით, ჯერი მივიდა ჩვენ პაპაზედაც; ხახარე კი არ ერეოდა—უფრო დასცინოდათ მოქიშპეებს და კილოანი სიტყვებით აცინებდა ხალხს. ასწია პაპამ სახელის გამოსაჩენათ, მაგრამ წელთან რაღაცა ტკაცანი კი მოიღო, თვალიც დაუბნელდა, მაგრამ შამაგრდა, ხმა არ ამოიღო. მეორე დღეს კი ჩვენი პაპა ლოგინში ჩაწვა და კუჭიდამ ჩირქმა დაუწყო დენა. იწვა პაპა მარტოკა თავის მიწურ, მამა-პაპურ ქოხში ჭილობზედ და ზედ თავის ახალუხი და ტყავები ეხურა. პატრონი არავინა ჰყვანდა, გარდა მეზობელი დედა-კაცისა, რომელიც პურსა და წყალს შამოუტანდა ხოლმე. აგრეთვე ეს ადებდა მას კუჭზე მოშუშულ ბამბას. ხახარემ და სხვა ამხანაგებმა რომ ეს შაიტყვეს, მივიდნენ სანახავათ—თან ფქონით ქათმებიც და ღვინოც მიიტანეს—მეგობრულათ ბევრი დასცინეს და აგხიარულეს, მეტადრე ხახარემ. აქვე ურჩიეს რო როცა მორჩენილიყო, ცოლი

შეერთო. თორემ ვერა ჰხედამ, მომღერლიც არავინა გყავო, რაო, ცოლს ვერ აცხოვრებო? ამხანაგების დაიმედებულმა სიტყვებმა და თავის ყველა საცოდაობაში გამოქნამ, ორ კვირაზე პაპა ფეხზე წამოაყენა—თუმც ძრიელ გამხდარი. დიდი ხანი არ გასულა, როცა კალოში საშველათ პაპას მეზობლად მყოფმა ივანემ დაუძახა. იდგა პაპა ხარის კევრზედ სიცხე პაპანაქებაში და «ჰოროველას» ტკბილათ ღიღინებდა. ათასში ერთხელ ხმა-მაღლივაც დაარაკრაკებდა ხოლმე:

«თოფო, თერანში გათქმულო, თუშეთში თუშმა შეგფერა,
გაკურთხა მეფე ირაკლიმ, საომრად ჯვარი დაგწერა—
ოროველ ოროვ. და სხვ.

მერე გადაუგრეხამდა ხარს კუდს და ერთი ორჯელ მაინც შამოარბენინებდა კალოს გარშამო. აგერ სიცხისაგან ხარის კევრზე შეწუხებულმა ივანემ ზარმაცათ დაამთქნარა და მერე გასძახა სახლისკენ:

გოგო, ჰაი გოგო, ქრისტინე! გამო, ერთი კევრზე დაუდეგ, გამო! დამეძინა!

შინადგანაც გამოვიდა თეთრ ჩით-კაბა და ზორბა ტანის პირ ახვეული გასათხოვარი ივანეს ქალი, გამოართო მამას სახრე და საამურის ხმით შეჰძახა «ჰმ!» პაპას გულმა ნაპერწკლები გაყარა, სისხლს ღონივრათ დაუწყო გზავნა ძარღვებში და გამხდარი ლოყები გაუწითლდა. ცოტახანს უკან პაპამ კისერი უკან მიიღო და დაინახა ახვეულ ქრისტინეს პირისახიდან გამომცქერალი შავი კუშეტივით თვალები. ამათ და სქელი ტანის დანახვამ მეტათ გაიტაცეს პაპა და მან შეჰძახა „ჰოროველას" ხმა-

ზედ ამ შემთხვევაში ვლეხური ზედ გამოჭრილი ლექსი:

,,შემოგხედე—შევკანკალდი, დავდნი ღორი ქონივითა,
გოგოვ, ძუძუ-მკერდი დაგინახე თეთრი გქონდა ბროლი-
ვითა,,. ჰოროველოო.

გოგოსაც ძაგრძოლა ამ სიტყვებზე; პაპას შავი თვალები ამასაც ენახა, როცა ღობის ჯუჯუტანებიდან გზაზედ მიმავალი დასანიშნავი ბიჭებისათვის უყურებია. რო კალოზე არვინ ყოფილიყო, ამათში ნიშნობა და ჩურჩულიც გაჩნდებოდა—მზის სხივები, რასაკვირველია, ჰშველოდნენ ახალგაზდა სისხლის დუღილს. გავიდა კარგა ხანი, რომ ჩვენ პაპას ის თვალები და ხახარეს სიტყვები «სახლში ვისმეს შეყვანაზედ» არა ჰშორდებოდა; ამას აცხოვლებდა ხოლმე უფრო თავის ქოხის კარებიდან დანახვა ქრისტინეს ტროფობის აღმძრე ტანისა, ქრისტინესაც თვალი ეჭირა პაპასკენ.

გიორგობის დღე იყო შემოდგომაზედ, როცა პაპას შაყრილ ქალებში ეღირსა ქრისტინეს ნახვა, დაჩენჩილი და შავგვრემანი პირი ისე მეეთხვარა უმარილით, რომ შორიდან ბათქაშ ნაკრავ კედელივით ლაპლაპებდა. პაპა დადინჯებით უმტერებდა ქრისტინეს შავ თვალებს თავისას და ესეც ახოვანი და მიმზიდავი ტანით მდგომი შუა ქალებში, მიხვრა-მოხვრით უარშიყდებოდა პაპას... იმ დღესვე პაპა მივიდა მეზობელ დედა-კაც სიდონიასთან, რომელიც გარიგებაში ჩასპანდი იყო. მისცა ხუთი მანეთი და ივანესთან მიგზავნა. თითონ, რადგან საღამო იყო, იქვე სიდონიაანთ გომშივე ჩავიდა. მიიხედ-მოიხედა და ვერ შანიშნა გაბრუებულმა სიდონიას მისი ტოლივე ბი-

ქი ლაზარე, რომელიც ბნელა ყუნჭულში საქონელს უბაგამდა; მიტომ მივიდა ნიკორა კამეჩთან, ალერსიანათ დაუწყო თვალებზე ხვევნა და თანაც დიდის ტრფობით ელაპარაკებოდა, როგორც მეტყველს:—მომიყვან? ჩემო ნიკორავ, მომგვრი კარებზედ, მომგვრი? საყდარშიაც ხომ მიგვაგორებ, ჩემო ნიკორავ, ნიკორავ?!...

— რას მიგაგორებს, პაპავ, რას ეალერსები ნიკორას? გოგორა ხომ არსად შეაგულე? გამოსძახა ლაზარემ.

პაპა უცებ შედგა, მაგრამ დინჯათ მალე მოვიდა ლაზარესთან და უთხრა: ჰე, შვილოსან, სულ ხო ესე ძაღლ-უმადურათ არ ვეგდები, შავაგულე, თუ ზედმა არ მიღალატა, სიდონია გავგზავნე, ი დასაღუპავი ქრიტინე რო ველარ ამომდის გულიდან! ჰე, თუ იქნა რამე, შენი ნიკორა კამეჩი უნდა შავაბათ და დაგვაოთხო საყდრისკენ მეფე-დედოფალი.

— იქნა რამე?! შენ დედა-ჩემს მაგრე იცნობ? გინდა ღვდლის მაროს გაგირიგებს! ანუგეშა ლაზარემ.

სამი კვირა არ გასულა ამის შემდეგ, რომ პაპამ ქრისტინეზე ჯვარი დაიწერა, მაგრამ რო დაინახა მისი შავგვრემანი და დაჯენჯილი პირი-სახე, მეორე დღესვე აღარ უნდოდა თავის ქოხში შასვლა. ბევრსაც შაუკურთხებდა ხოლმე სიდონიას, თუმც ეს არას შუა იყო აქ. მაგრამ მალე დაჰმორჩილდა ეს თავის ხვედრს და ეხლა შეუდგა საშინელს მუშაობას, ცდილობდა დღიური შრომით ოჯახში შამოეტანა რამე. პაპას ნატვრა და სინათლე უსიამოვნო ცხოვრებისა იყო, როგორმე უღელი «ყოჯინა» გაეჩინა, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე... ხუთი წელიც გავიდა, რომ პაპას კამბეჩების მაგიერ ორი

მურიანი გოგოს მეტი არა მიეცა-რა. წინ წასვლაც მას არ ეღირსა, ღღიურ მუშაობით ლუკმის შოვნა იყო პაპას ხვედრი. ამან პაპას თავისი დაღები დასდო: მუდამ ჩუმაობა და დინჯი მუშაობა. წინანდელ ცხოვრებაში ხომ სახელის გამოჩენა იყო მის ცხოვრების ლამპარი; ეხლა ათასში ერთხელ თუ წამოიძახებდა „გაოჯახიშვილებაო," თორემ დანაშთენი მისი ულმთო ცხოვრების გამნათებელი გარშამო-მხვევ საგნებში იყო. ხახარეს კი ესმოდა მისი სულის მიხვრა-მოხვრა:

ჩვენ, ხახარე, მარიხ-მარსკვლავზე კი არა; გველ-კუსრო წყლიდან თავი ამოუყვია, მაშინ დავბადებულვართო,» ეტყოდა ხოლმე პაპა თავისავით საწყალ ხახარეს. ის კიდევ ეტყოდა ხოლმე:

— ეჰ, პაპავ! მეტი რო გვქონდეს—სიკვდილის დღეს დაგვენანდებაო. ამით მორჩებოდნენ ხოლმე თავიანთ არ მოსაგონ და შამაბოლმებელ სიცოცხლეზე, და დანარჩენ დროს უფრო ლაზღანდარობაში ატარებდნენ... მაგრამ ეს ერთად-ერთი მისი ქვეყანაზე ჰაზრის პირველი მოზიარეც მალე მოკვდა, გადაიცვალა ხახარე ბეგარაზედ გზის საკეთებლათ რო იყო, იქ გაციებულიყო და გზაზე სოფლის შამოსავალში მესრებთან ამოჰსვლოდა სული, საბრალოს. ყველას ეწყინა მისი სიკვდილი, მაგრამ როცა მცხედარი თავის მამა-პაპის მიწურის კერასთან იდო ფეთრ ხის კუბოთი და იმ სოფლის «ცეტი შავი ღვდელი» შავიდა გამოსატანათ, ხმა-მაღლივ წაიბუდბუტა: «ჰა ჩაძაღლდი, ხახარე?—ეხლა დაიჭი და დაამწყვდიე ხოლმე ჩემი ხარები, დადექ კიდევ ვენახების მეველეთ!...“ პაპამ ამის გამგონემ კინაღამ თავის სიცოცხლეში ერთად-ერ-

თი ცუდი სიტყვა არ დახარჯა; მაგრამ ესეც ვერ მოახერხა მისმა საბრალო პირმა. ამხანაგის გაუპატივრება გულში კი შაინახა და ყვედრებით ბევრჯელ მოიგონებდა ხოლმე ამას.

პაპას ამ დროს ექვსი მურიანი გოგო ჰყვანდა და თითონ ისეთი სახისა იყო, როგორიც „შეგვხვდა სასაფლაოზედ. მისი ქრისტინეც ეხლა სულ სხვა სახისა იყო. მუცელი ნახევარ არშინი წინ წამოუვიდა, სახე კი გამხდარი ჰქონდა; მის სქელი ფეხები ამ უშნო ტანის გამობატივით დაბაჯბაჯებდნენ.

მისი მეჭორე მეზობელი; ჩვენი ნაცნობი სიდონია, აი რას ამბობს თონეზე მსხდარ დედა-კაცებში ქრისტინეზე:

— ქა, ეს გინახამთ? ჩვენი პაპას ცოლი ხმელი სიმინდის ტაროებს ჭამის, ისე გაუმაძღარია, ადამიანებსო, ოცამდის სიმინდის ტარო გეეთავებინა, ჩემი შვილის მზემ!...

— ი, ქა, ეგ რა დასაჯერია? ი ოჯახ-ამოსაგდებისა ლორი ხომ არ არი?—გაუტრიზავა სიტყვა მეორე მომუსაიფე დედა-კაცმა, აგებ მეტი ათქმევინოს კიდევ სიდონიას.

— უი, ქა! უწინამც დღე გამიქრება, რომ ტყუილი არა ვთქო. იმ დღესაც ერთი გალო ხახვი შეეჭამა ი გაგლეჯილი შვილს, პაპამ არც კი იცის, რა ქნას!.. თქო ისევ სიდონიამ...

ასე რომ ამ სიდონიას წყალობით წყალზედაც ბევრჯელ იტყოდნენ ხოლმე უსაქმოთ მსხდარი და ჭორის-

თვის მალა წახალისებული დედა-კაცები პაპას ცოლის უდიერ სიმსუნაგეზედ.

სხვას რაც უნდა ელაპარაკნა, თითონ პაპას შათვისებული ჰყვანდა ქრისტინე. იშოვიდა თუ არა დღიურ სამუშაოში ექვს შაურს, პაპა ქრისტინეს მისცემდა სალამოზედ და ესეც შაინახამდა მატყლის ფთილების ქვეშ ძველ კალათაში და თუ მანეთიანს აშოვნინებდათ ილბალი, მაშინ ქრისტინე მჩვარში გამოახვევდა და ბოძის ყბაში შასდებდა. უქმე დღეს დილით ადრე დინჯათ და ნაზათ ეტყოდა ხოლმე ქრისტინეს:

— მოიტა, დედა-კაცო, ერთი აბაზი მამე, წავალ და თუ ცხვარი დაუკლამთ, ჯიგარს ვიყიდი. ქრისტინეც, თუ გუნებაზე იყო, კალათიდან გროშებს ამოიღებდა და რადგან თითონ თვლა არ იცოდა, დაუწყობდა პაპას მუშაობისაგან გაშავებულ და დახეთქილ ხელის გულზედ; ისიც დახეთქილი სალოკი თითით დაიწყობდა:

— ეს ექვსი გროში, ესეც—ოთხი შაური. ეს ორი ექვსი გროში თოთხმეტი გროში და ერთი ექვსი გროშიც—სულ თვრამეტი გროში, ორ შაურს ორი გროში აკლია არა, დედა-კაცო? და სხვ.

თუ ქრისტინე გაჯავრებული იყო, შაუყვირებდა საწყალ პაპას:

— საქმე არა გაქვს, შე თვალ გამოხეთქილო შენა რა გეჯიგრება, ტიტველები ვყრივართ, საკომლო უნდა გავიტანოთ, სიმინდის ფქვილიც აღარა გვაქვს!!...

პაპაც გაჩუმდებოდა ამ დროს; თუმც ჯიგრის უყიდლობა კი ძრიელ სწყინდა ხოლმე გულში. გულ-კეთილი იყო, პაპა, გულ-კეთილი—იმის ჩხუბი არავის გაუგონია.

იქნება ჩხუბის უსამართლობა თავის ღრმა დაფიქრებაებ-ში გამოიკვლია? ვინ იტყვის ამის წინაამდეგს; მაგრამ ამის მეუღლე კი ხშირათ ეტყოდა ხოლმე გაკაპასებული: შენ ქუდი კი არა, ლეჩაქი უნდა გეხუროს, შე ქვეყნის ფეხის ტალახო, ლუჩუნავ, არა კაცო! და სხვ. პაპა კი ამ დროს სტოიკურათ მუნჯათ იჯდა ხოლმე ნეჭაზედ და იხდიდა ხოლმე მუშაობისგან დასველებულ სველ ქალ-მებს, კერას-პირ გასაშრობათ.

ხშირათ პაპას შინ მყოფლობის დროს გარედან ღრიალით შამოვარდებოდა ხოლმე იმისი მურიანი გო-გო:

— „ღვდლიაანთ ალექსამ ჩვენი ჭრელი დედალი მოკ-ლაო.“ დედა-კაცი ძუ ლომივით გავარდებოდა ხოლმე ამ სიტყვებზე მაშინვე კარში და შაჰყრიდა მთელ სო-ფელს ღრიალით და წყევლით; პაპას კი თუმც ბოლმა მოაწვებოდა ხოლმე ჭრელ დედლის სიკვდილზე, მაგრამ მაინც ცოლის ხმაურობაზედ ზემო თაროს მიეყუნჭებო-და ხოლმე და სირცხვილით წითლდებოდა.

არავისი წყენა, არავისი ზარალი არ გაივლიდა მის პატიოსან გულში. მე დარწმუნებული ვარ ქათამის და ცხვრის დაკვლის დროსაც კი მისი გონიერი თვალები, რო დააცქერდებოდნენ მაოთქლავ წითლათ დაღვრილ სისხლს, მოიღრუბლებოდნენ — მისი საცოდავი გული ამოიოხრებდა და თავში გაიფიქრებდა, „რა დამიშავა, რო დავკალიო...“

ეს იყო დაბადებული ქვეყნის საშველათ: თითონ მთელი დღე მკაში ორ აბაზათ ეშველნა და იმდენი ელ-ვარნა ოფლი, რომ პატრონს ორი მანეთი დაჰრჩომოდა,

გაჰყიდდა ესეც თავის მხრით ამ პურს ისეთ კაცზედ, რომელიც ერთ დღეს ჩაიში და სადილზე ერთ ციცქნა პურს შეჰჭამდა და თითონ კი დღეში თუმანს აიღებდა... მაგრამ ვისმე ჰქონდა პატივი ამ მსხვეპლის?! აი გინდ ერთხელ (ყველამ იცოდა ეს ამბავი) პაპას რა უყო ერთმა ჩაფარმა ბეგარაზედ! როცა პაპა თავ-ჩაღუნული თავისებურათ—დარბაისლურად ადგამდა ბარს ფეხს შოსსეს გზის რუს თხრაში—ერთმა ჩაფარმა მათრახი დოშივით კი გააკრა საბრალო ზურგზე და თოფივით ტყაშანი მოალებინა; საბრალომ ტკივილი დიდი იგრძნო, მაგრამ წელში აიმართა. მხეცმა ჩაფარმა დაჰწივლა და თავში, სახეში დაუშინა მათრახი. ამ ნადირის საყვარელი აზრი იყო, სუსხი მიეცა გლეხისთვის ისე, რომ ის გაჰქცეოდა და მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს მსხვერპლსა. პაპას დავთარში გაქცევა არ ეწერა და მათრახს გაჰქონდა შლაპა-შლუპი. ჰმაოთ უყვიროდნენ მეზობლები: პაპავ, გაიქე, პაპავ, გაიქეო!... ეს იდგა ერთ ადგილს, მინამ ამ ნადირს ცემა არ მოჰსწყინდა.—კაცო, რა დავაშავე? ამოილუღლუღა პაპამ მწარეთ და მერე ოხვრით თქო: ოხ, ღმერთო, ქვეყანაზედ ზოგი სვავი გაგიჩენია, ზოგი გარიელათ...

მაშ უნდა ჰქონოდა რაიმე ტკბილი დანერგული გულში პაპას, რომ ასე იტანდა თავის საზარელ ხვედრს, როგორც ის სტოიკი, რომელსაც გადუწყვიტეს ფეხების ძვლების მომტვრევა და როცა ჭახრაკს უჭირებდნენ დინჯათ ამბობდა—,,რას შვრებით, გატყდებაო;" მხოლოდ რო გადემსხვრა ძვალი, ისევე დინჯათ თქო:" აკი გითხარით, გატყდება მეთქი..."

პაპა მუნჯათ და ჩაყურჭუმალავებული ფიქრებში იყო მხოლოდ მარტოობას და თავის არა ჯურა კაცთან; მხოლოდ თავის მოძმე და მეტადრე თავისთანა საწყალ კაცებთან ის იყო მოლაპარაკე, მერე ხუმარაც კი. ის უთავის-ჯურო კაცოთ ვერც სძლებდა და მათთან თავის ბედკრულ სიცოცხლეზე კი არ ლაპარაკობდა—არა ეს მათ ყველას გამოუთქმელათაც ესმოდათ. პაპაც და სხვები ცდილობდნენ ლაპარაკში დეევიწყებინათ ყოველივე ეს და ემხიარულნათ. აი მაგალითად ერთად მკიან პაპა, ცხონებული ხახარეს ძმა, ბრუციანი, და საწყალი ანდრია და კიდევ ერთი სამიოდ სხვა გლეხები. ჯერ გახურებული ლექსაობენ და „ჰოპუნას“ დაჰძახიან. მაგრამ აგერ პაპა იიმართა წელში და დაუწყო ანდროს ხუმრობით დაცინვა.

— ჰეი, ბიჭებო, ცხონებული ხახარე ტყუილათ კი არ იტყოდა ხოლმე ამ ანდროს ვაჟ-კაცობაზე—მკაშიაც ეტყობა და!

— როგო, როგო, პაპავ, გვითხარ?! გამეეხმაურნენ სხვები ანდრო, გამოსაჯავრებლათ.

— როგორ, კაცო და, დაიწყო პაპამ, ხახარემ თქო, რომ აი ლეკებმა რო კახეთი ააოხრეს და თავადების ქალები ტყვეთ წაასხესო—ჩვენი ანდრებოს ბრალი იყო, თორემ განა საქმე მაგრე მოჰხდებოდაო, რა?

— რას ოხრობს—ეი? იკითხა ანდრებომ...

— თქვი, თქვი, პაპავ! გაამხნევეს სხვებმა.

— ასე იყო ეგ საქმეო, იტყოდა ხოლმე ხახარე, რომ იმ დროს ჩვენ ანდრებოს კახეთში ჯარები ებარაო; მაგრამ მთავარმმართებელს ქალაქში დეებარებინაო და ლე-

კებს რო შეეტყოთ კახეთის უპატრონოთ დარჩენა, ჩამოჰსეოდნენ და სუ კი ეეკლოთო... თორემ ჩვენი ანდრებო რო იქ ყოფილიყო, განა მაგას გაბედავდნენ წუნკალა ლეკებიო!—მართალია ანდრებო?

— მართალი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია, ძალოვანი მეომარია ანდრებო—დასცინოდნენ სხვები. აქ ყველას მოაგონდებოდათ ხახარე და დაიწყებდნენ მაზედ ლაპარაკს.

ერთხელ სურაზე ვიყავით მე, ხახარე და გზირიაანთ ბიჭებიო, იტყოდა ხოლმე პაპა,—შავხედეთ მოდიან იმერლები სუ დაიარაღებულები დი მშვენიერ ცხენზე მჯდომნიო. ავტეხეთ ჩვენ „უას“ ძახილი და პრუწის ქნაო. აკი შაფხუკიანდნენ ესენი და გამოგვიდგნენ ცხენებითაო. ჩვენ იმდენი მოფიქრება არა გვქონდა და სწორე გზაგზა გავექეცითო, ხახარე ხომ მოხერხებული იყო, ცნობილი, არც გაიქცა, არცა, იქავ გორაზე ავიდა და იქიდან ყვიროდა „უასაო,“ ჩვენ კი დაგვეწივნენ იმერლები და იმდენი თქვენ გამარჯვება, რამდენიც ჩვენ იმათ მათრახი მოგვარტყესო...

ამაზედ ხარხარებდნენ დანარჩენი მომკლები.

პაპა თავის ჭკუის ძალასაც დაიტრაბახებდა ხოლმე და მერე დიდი ხალხის ცნობასაც:

— იმ დღეს შავესწარ კაი სუფრაზედ მარიდაანთ ალექსას, თომა ღვდელს და აბრია დიაკვანს, ეუბნებოდა პაპა მომკლებს, კარგა რო დავხურდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ღვინითა და, იმათა თქვეს: ნეტა რა უფრო კარგია ქვეყანაზედაო?—კაი მამულ-დედული ყველას ჰსჯობიაო, თქო ალექსამ. — ჰ, ბევრი ფულისთანა რა იქნებაო,

თქო ღვდელმა.—არქიელობა მირჩევნია ყველასაო—თქო დიაკვანმა. შენ-ღა პაპაო? მკითხეს მე. მეც ცოტა დავფიქრდი და მერე უთხარ: ყველაზე კარგი ვაჟკაცისათვის ლამაზი ცოლია მეთქი... ჰო, ალექსასაც და ღვდელსაც ძლიერ მოეწონათ ეს... დაათავა პაპამ...

— მართალი გითქომ, მე და ჩემმა ღმერთმა, პაპავ! ეუბნებოდნენ მომკლები.

---

პაპას მარტოობა, ესე იგი თავის ჯურა კაცებთან არ ყოფნა—საცოდაობა იყო; მხოლოდ ამათთან ყოფნა იყო ხოლმე მისი აღდგომა. იმიტომ სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ხოლმე, როცა შეიტყობდა, რომ იმისი სოფლელები და სულ იმის ჯურა კაცები სამკალათ ან თათრებში წასვლას დააპირებდნენ, ან ფშავლებში, ან თივის სათიბავათ მალაკნებში და სხვ. და სხვ. პაპასაც მიიპატიჟებდნენ. ერთხელ პაპა ორი კვირა ახლო სოფელში ერთ თავადიშვილ კიკოს კალოზე ჰშველოდა დღიურათ; უცებ შეიტყო, რომ მისი სოფლელები თათარში აპირებდნენ მეორე დღეს სამკელათ წასვლას. იმას გული სიხარულით ევსო; მაგრამ იცოდა, რომ კიკოს ვერ დაახწევდა ადვილად თავს. ტყუილის თქმაც მის დღეში არ უკადრნია პაპას, მაგრამ ეხლა ამ სიხარულმა ისე ძალა დაატანა, რომ ის ავიდა ბალკონზე მდგომ კიკოსთან და ქუდ-მოხდილმა მოწიწებით მოახსენა:

— შენი ჭიიმე, ბატონო, უნდა შინ დამითხოვოთ.

— რათა? ჰკითხა კიკომ მკვახეთ, კნიაზურათ.

— კაცი გადმამივიდა, შენი ჭიიმე, მეც გლეხი კაცი ვარ, მაგრამ უჭირნახულოთ კი არ გახლავარ—ყანა სულ

ში ჩაილეწა—გაგიფუჭდა გადმოჭხედეო, შამოუთვლიათ—იმტყუნა პაპამ, თუმც თავ-თავი არსად ედგა.

— არა, გეყურება? კვირამდის შენი გაშვება არ იქნება, აბა შენი ბადალი, თუ არ უქმე დღეს, სად ვიშოვო? კვირამდის იმუშავე და მერე მიჰხედე შენ ყანას—წადი! ნუ—გაიარე! დაუყვირა კიკომ და გამოაგდო.

კარგა იცოდა პაპამ, რომ თუ უვადოთ წავიდოდა, კიკო იმას გროშს არ მისცემდა და ის შვიდი დღე, რომელიც უშველა, მუქთად ჩაუვლიდა. ისიც კარგა იცოდა, რომ თათარში სამ აბაზათ იყო მომკალი, თავის პურით, კიკოც იმას აძლევდა და კარგათაც აჭმევდა. მერე თათარში ხამ წყალსა და სიცხე პაპანაქებას საუთოვო იქნებოდა, რომ ავათ არ გეეხადნა. იმასაც გრძნობდა, რომ თუ ეხლა გააჯავრა კიკო, მასთან მის დღეში ველარ იმუშავებდა. ესეები ყველანი აწონილი ჰქონდა პაპას მაგრამ ძირს რო ჩამოვიდა, მოაგონდა თავისი ჯური კაცების მგზავრობა, მათთან ლაპარაკი და მათთან ყრიფნა, ხუმრობა სხთათრეთში—გულმა ველარ გაუძლო და მეორეთ ავიდა კიკოსთან. — არა, შენი ჭიიმე, ბატონო, ჩემ ცოდოში და ჩემ ცოლ-შვილის ცოდოში ნუ ჩასდგები. მზათ მოსულ ჭირნახულს ნუ გამაფუჭებინებ, დამითხოვე—უთხრა იმან თამამად.

— არ შეიძლებაო! დაუყვირა კიკომ.

— ვერა, შენი ჭიიმე, გიახლები—უთხრა პაპამ.

— ბიჭო! მე შენ გეუბნები, სული რომ ამოგხდეს, არა მეთქი!

— რაც გინდ დამემართებოდეს, ბატონო, უნდა დამითხოვოთ.

ბევრი ამისთანა ლაპარაკით კიკო გაბრაზდა—ამოიღო ორი შაური შავი ფული, მიაყარა თავში და დაუყვირა:

— აჰა შენი შვიდი დღის სამუშაო, შე ლოთო, და საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიც თქვი!—თანაც ამოჰკრა კუკუ და გამოაგდო პაპა.

პაპას მაინც გაუხარდა ეს და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ისე უყვარდა თავის მოძმეებთან ყოფნა. პაპა ბევრჯელ თითონაც იტყოდა ხოლმე ამ თავის გადასავალს მოძმეებში.

თუმც ბევრმა ჟამმა გაიარა ნატვრის შემდეგ, მაგრამ მაინც ბოლოს ულელი ყოყინა კი გაიჩინა პაპამ. სყიდვის წინეთ ქრისტინემ ბევრი მჩვარი გამოხსნა და ბევრი მანეთიანები ჩაუგდო პაპას შავ ხელში, ამანაც იქვე ღვდელთან მიიტანა და დაათვლევინა; ანგარიშმა, პაპას გასაოცრათ, ამოუჩინა, რომ ორ თუმნამდის კიდევ ეკლდა, რომ მისი ყოფილიყვნენ ის ულელი ზაქი, რომლებიც მან ნახა ერთგან და შეევაჭრა კიდეც. ამან ჯერ ისე დაალონა და გაჰხადა უიმედოთ, რომ კამბეჩის ყიდვის იმედი დააკარგვინა; მაგრამ როცა შემდეგში დაფიქრდა ისევ და დაინახა, რომ ცხოვრების მიზანს წელან ისე ახლო იყო, როცა წარმოუდგა ის ორი ნანახი თავის თვალებით ზაქები, მერე მათი თავის სახლში ყოლა, თავის-თავი კამბეჩების პატრონათ—მის სულს ძალა მიეცა, ის გაგულადდა და ამაყათ იფიქრა: ორ თუმანს არავინ მასესხებს? ორი თუმნის კაცი არავარ? ჩემი ვენახი მეტი არა ღირს, ჩემი მარჯვენა, გარჯილობა? ფუ ჩემ თავს—ვინ არ მენდობა!—წაიდუღუნა

და გაბქძვით გასწია თავის სოფლის აზნაურ კოკოსთან. კოკოს გარდა იმ სოფელში სხვა აზნაურებიც იყვნენ და პაპა მთელ თავის სიცოცხლეს დღიურათ მათ შველოდათ. ესენიც ისე იყვნენ დაჩვეულნი, რომ თვითვეული მათგანი წინა დღით ეძლევდნენ ფულს, ოლონდ მეორე და მესამე დღესაც მე მიშველოსო. ერთი სეირი იყო ხოლმე, რომ ზაფხულის სისხამ დილას პაპას მიწურის ერდოსკენ გაგეხედნათ; იქ უეჭველად ექვსამდის, შვიდამდის აზნაურს დაინახამდით, რომელნიც ყვიროდნენ: პაპავ! ჰაი, პაპავ!! გამოდი! პაპაც რომ გამოვიდოდა ჩმუჩვნით, ერთი თავისკენ ეწეოდა, მეორე იქით სწევდა, მესამე აქეთ და უყვიროდნენ: პაპავ! მე არ დამპირდი — მე, პაპავ! მე? პაპა ხმას არ იღებდა ხოლმე ამ შემთხვევაში და იმას გაჰყვებოდა, ვინც დაინარჩუნებდა და რითიმე სხვებს აჯობებდა.

— რისთვის გაჰრჯილხარ? — უთხრა პაპას კოკომ.

— უნდა ორი თუმანი მასესხო; კამბეჩებს ვყიდულობ, დამაკლდა და გინდ ვენახს დაგიგირავებ, გინდ გიშველი.

კოკოს ეს უამა, რადგან მისი გაიძვერა თავი მიხვდა, რომ სარფა არის აქაო. ფულები მისცა და ვენახი ზალოგათ ჩაუწერა, სარგებელში კი, კათათვეშიაც პაპას აბაზათ უნდა ეშველნა მისთვის — თუ დასჭირდებოდა.

იყიდა პაპამ კამბეჩები, მაგრამ კოკო კი სულთამხუთავათ გაიხადა. მთელი წელიწადი აბაზობაზე დღეში მას უნდებოდა და ვალი მაინც არა სწყდებოდა. საწყალე პაპას დღითი-დღე უფართოვდებოდა და ბოლოს საკომლოსათვისაც კი ვალს იღებდა ხოლმე. კამბეჩების და ვენახების ტრფობა კი იქამდის აბრმავებდა პაპას,

რომ საცოდავ ტრაბახათ ჰხდიდნენ საწყალს.—ჩემი კამბეჩებისთანა კამბეჩი, მთელი დუნაია რომ შემოიარო, ვერ ნახამთო, დაიწყებდა ხოლმე ის გულის წმინდით ხალხში ლაპარაკს და მერე გამოჰყვებოდა დიდ აღმართში, როგორ აიტანეს ერთხელ ურემი; სოფლობიდან როგორ გამოიტანეს ან ტყეში რა ოინი ქნეს და სხვ... საწყალს არც კი ესმოდა, თუ ზოგჯერ მასხარათ რათ იგდებდნენ ხოლმე მას მეზობლები ამ სიტყვაზედ. ვენახი ერთი მტკაველი ჰქონდა, მაგრამ რომ გეკითხნათ— გულის წმინდით გიამბობდათ, რომ ზვარი იყო ის და რომ იმ სოფელში იმისთანა არავისი ვენახი არ არის— გეტყოდათ იმასაც, რომ კოკოს არც დღე, არც ღამე მოსვენება არა აქვს და ცდილობსო, რომ ის მას როგორმე დასტყუოს.

პაპას საშინლად ეშინოდა ნაჩალნიკისა, მომრიგებელი მოსამართლისა, ჩაფრისა და სხვა ამ გვარ მოხელეებისა, იმის აზრით ესენი გლეხების შიშ-ქვეშ საყოლათ გაჩენილები იყვნენ. აი ერთხელ პაპა ერთმა გლეხმა მოწმათ დასწერა, რადგან კოკომ საშინლად სცემა მას. პაპა ენა გამოუთქმელის ხანხალით მიდიოდა მომრიგებელ მოსამართლის ბალკონზედ. უბეში ედო ის რაღაც გაუგებარი და უცნაური „პოვესტკა“ რომელიც მას მიუვიდა და, მისდა საოცრად, შიგ მის გვარ და სახელს ამოიკითხამდნენ ხოლმე—თანაც „მობძანდეს პაპა ათ საათზე სუდშიო.“ ამას ეს ბევრს საოცარ და საცინელ რამეებს აფიქრებინებდა ხოლმე დღევანდლამდე. მაგრამ ეხლა კი შიშის მეტი არა იყო-რა პაპას გულში. არ იცოდა, რა უნდა ეთქო და ან რას უზამდა მოსამართლე. შეჰ-

ხედა პაპამ და კოკო კი დაინახა ბალკონზედ; იმან დაუყვირა პაპას:

— შენ უნდა უმოწმო, რომ მე ვცემე შიოს? დღეს გაგიქრობ მე შენ — უმოწმე! შენი ცოლ-შვილით არ გადაგასახლო? პაპას კინაღამ გული არ შაუღონდა ამ ოინებზედ. ბოლოს ძლივს ამოილუღლუღა, რომ ოღონდ კოკო ნუ დაჰლუპამდა და არას იტყოდა, კოკომაც დაარიგა, რომ მოსამართლესთან ეხლავ ოთახში შესულიყო და ეთქო, რომ „მე არა მინახამს-რაო.“ პაპა იმავ საათსვე შავიდა მოსამართლესთან და თითქმის ცრემლების ფქვევით შეჰბღავლა:

— ბატონო, მე საწყალი კაცი ვარ, ნუ დამღუპავ, დამითხოვეთ, მაგ საქმისა არა ვიცი რა და არა მინახამს-რაო.

— კამერაში რომ დავიძახო, მაშინ თქვი ეგ, ეხლა არ შეიძლებაო—უთხრა სუდიამ.

— არა, ბატონო, ეხლავ გამიშვი, შენი კვნესა მე— შაჰღრიალა პაპამ და დაეცა მუხლებზე ტირილით. მოსამართლემაცააყენა და დაითხოვა...

სიბერის დროს პაპამ ვენახში მეველობაც დაიწყო და აკი მეველეთ კოკოს დაუდგა. კოკოს ვენახი სოფლის მოშორებით ერთ დიდ ღრანტის ბოლოს იყო, ასე რომ ვენახს თავი შიგ ღრანტეში ჰქონდა შეწეული და ამ ალაგას გამოდიოდა მშვენიერი ცივი წყარო, რომლის გარ-შამო ბნელ ჩრდილოვანი კაკლები იდგნენ. სისხამ დილას და გრილ საღამოს თუ ჩამოვიდოდა პაპა ღრანტეს ქვემოთ მდებ კოკოს ვენახის ნაწილში და სიამოვნებით დაათვალიერებდა სანთელივით

გამომცქერ მწიფე მტევნებს, თორემ დაცხომის უმალვე ის ღრანტეს თავს არ ანებებდა. აქ მშვენიერ პურსა და ყურძნის მლოღნავი პაპა ეძლეოდა ტკბილ გლეხკაცურ ოცნებებს; გაძღომის შემდეგ ხო ცივ წყაროს დეეწაფებოდა და მერე ცივ დედა-მიწაზედ გაშოტილი ხვრინამდა ხოლმე აგრილებამდის. ბედნიერი იყო ამ დროს პაპა! ისე ბედნიერი და ამაყი თავის ბედნიერებით, როგორც ხონთქარი. ნესტიანი, ცივი და ხავერდივით მწვანე კაკლის ქვეშ ნიადაგი, იმას ხონთქრის ხალზე რბილათ მიაჩნდა. აქაურს საჭმელს ხომ მერეც ეშხით მოიგონებდა პაპა! „ბნელ ჩრდილ ქვეშ ძილი ზაფხულშია" უდიდესი ნეტარებაზე ნეტარებაა ზაფხულში ყველა ჩვენი გლეხისათვის!

პაპა ერთხელ ჩრდილ-ქვეშ ამ ღრანტეში მჯდარი და ყურძნით გამაძღარი ღრმათ დაფიქრდა. მას წამოუდგა თავის მესაფლაობა, მერე საბრალო თავის მამის სიკვდილი, თავის სიღარიბე. დაფიქრდა, რომ ორმოცის წლის ვაჟ-კაცია და აქამომდე დამმარხავიც არავინა ჰყავს: ცოლი ერთი საცოდავი რამ არის, ექვსი მისი გოგო ხომ თუ არ დაუმძიმებენ სულს, არას შეჰმატებენ სიკვდილის დროს—ვაჟი შვილი არა ჰყავს, რომ მასავით მოჯამაგირობით აუხსნას სული, ვენახი კოკოს უგირავია და ზედაშეც კი არ არის მის ბედობაზედ! ამ მწარე ფიქრებში გამძღარ პაპას აკი წეეძინა „ბნელ ჩრდილოში." შორს ისმის პაპას ხვრინვა! სადღაა მისი სიღარიბე?—ის ხონთქარია ეხლა თავის უძვირფასეს ხალზედ. მაგრამ აგერ ძილში ესმის რაღაც ხმაურობა, თითქოს სიტყვის ღრუბელი მოდისო, ამ დროს პაპას თავს წაადგება ერთი საში-

ნელი კაცი, ხელში ლახვრით და სულსა სთხოვს პაპას... ესეც არ უძალიანდება, თავის საცოდავ სულს აბარებს ,,მიქელ-გაბრიელს,“ ესეც მაშინვე იქვე მდგომ კუდიან მგლის სახის ეშმაკს აბარებს მის სულს. ეშმაკი მიფრინავს კავკასიონის მთის ღრანტეებისკენ, თან მრავალი კუდიანი ეშმაკები მისდევენ და გალობენ: ,,მარტიაანთ მკვდარი არც ცხონებულა და არც ცხონდებაო!“ პაპა კი ტირის და ტირის... დიდხანს ტიროდა ესე პაპა და რომ გამოიღვიძა, ნატიო მიწა კარგა მეერწყო ცრემლით, როგორც მორწყამდა ხოლმე ბევრჯელ ის ოფლით. პაპამ თავი გაიქნია, პირ-ჯვარი გადიწერა, გადააფურთხა და ჩრდილიდან პაპანაქ მზეზე გავიდა... ამის შემდეგ ჩრდილში აღარ იძინებდა, გაიშოტებოდა ხოლმე, საბრალო, შუა ვენახში, მოსხმულ ვაზის ძირში, მზე გახურებულ შუბებივით აჭერდა დიდ შუბლზედ და იქიდან ხვითქი ოფლისა ნაკადულებათ გარუჯულ ლოყებზე სდიოდა ხვრინვის დროს.

ყავნის გათავების შემდეგ პაპამ ეს სიზმარი, როგორც ქრისტინეს, აგრეთვე სხვა გლეხებსაც უამბო. გლეხებმა მთელი სოფელი მოსდეს და ყველა ამბობდა: ,,მართალი იქნება—მაგათი მკვდარი არ ცხონდება—რა სეფისკვერ-ზედაშე უზამთ ძალას, ან ღვდლის საწირავიო“—,,საწყალს, რა ცხონებსო,“ ამბობდა ხოლმე ბევრი უფრო მკაფიოდა. ყველას დაჰვიწყებოდათ ქრისტეს სიტყვები: ,,არა შევა მდიდარი სასუფეველსა...“

თითონ პაპაც ისე დააფიქრა ამ სიზმარმა, რომ მაშინვე თავისი ცამეტი წლის ქალი დანიშნა ერთ თავისზე

უფრო საზრდლო გულის გლეხზე—ელიზოზე. ეს იყო ცალი თვალით ბრმა და გლეხები მეტ სახელს ბრმაელიას ეძახდნენ, აგრეთვე ჰრას მქონე, მაგრამ პაპამ ზედ სიძედ შეიყვანა, ოღონდ სიკვდილის შემდეგ მიპატრონოსო, ან რა იყო აქ გასაკვირველი! „სულს სული იცნობს და გულს გულიო," ამბობს გულთა-მხილაობა. ყველა ამას ჩააბარა პაპამ: თავის ყოყინებიც, ხენახიც, ქრისტინეც და სიღარიბეც. თითონაც ბევრი ხანი აღარ იცოცხლა ამის შემდეგ. სწორედ წარსულ ღვინობისთვეში პაპა კოკოს მოძმეს აზნაურ ვასოს ჩვესო ქვევრში სარეცხათ და რადგან მაშინ გულ-უხობაა ხოლმე ყველაფრისა ქართველებში და რადგან ვასომაც გამოცდილობით იცოდა, რომ პაპა სიმთვრალეში უფრო მარდიაო; იმიტომ ერთი ხუთიოდ სტაქანი ცხარე არაყი გადაამუშხა პაპას ქვევრში ჩაჯდომის წინეთ. პაპა ტვინ-შახურებული და გულ-გამხიარულებული საშინელის ძალით უსომდა ღვიას ქვევრის კედლებს. მერე მეზობლათ მჯდარ სხვა გლეხის ღვიის მოსმის ფხაკუნი და მღერა უფრო უმხიარულებდნენ გულს, უმღერებდნენ ისეც არყისგან მომღერალს ტვინს; ამაზე პაპა გაფოთდა და იძახოდა: ჰოი, და, გოგო და! ოდა შენი და! ჰაბადა, ბიჭოდა! ჰოი და გოგო და!" თან ხელები ისე გაახურა, რომ დაყვებს ძუძუებში საშინელის ძალით ირტყამდა და თუმც მაშინ არა შეეტყო-რა, მეორე დღეს საბრალოს ძუძუებიც და მთლად გულიც საშინლად გაუსივდა. ელიზომ დალაქიც მოიყვანა და ნესტარი დააკვრევინა, მაგრამ პაპა მაინც სამი დღის შემდეგ მოკვდა ამ სიტყვების თქმით:

— ელიბო, შენი ჭიიმე, სულ-აუხსნელს ნუ დამაგდებ; შენც ჭკვიანი იყავ—ნურას ნურავის აწყენინებ და გაისარჯე—იშრომე...

— გავირჯები პაპავ! ვიშრომებ!—ჩაჰსძახა მწუხარეთ ელიბომ თავის სულის და გულის ამხანაგ მომაკვდავ პაპას.

თითონ დარჩა ამის ფეხი... ქვეყნის მუშა! ხალხო სული თქვენ მაინც აუხსენით—თქვენთვის მშრომელს! და თუ სიცოცხლეში მის ტვინს თითონ აპოვნინეთ უსწორო, მაგრამ საკმაყოფილო გზა—სულს მაინც ნუ უზამთ მაგას!...

შაქრო.

1881 წ. იანვრის 27.

* *
*

დიდი ხანია, თავ-განწირულად
შენ განიზრახე საქმე კეთილი—
მოსპობა გწადის ბოროტებისა,
რომელიც ჩვენში არის მოფენილი.
წინასწარ-მთქმელად, გინდ იყო ერთი,
ნუ შეშინდები—ახსენე ღმერთი!

—

ყველა მოგვხვარსლა უსამართლობამ...
მსხნელად გამოსჩნდი... მაშ აჰა ხელი!
შაღავათს, ძმობას, პატიოსნებას
ეხლა კი მტკიცედ შენგან მოველი!
წინასწარ-მთქმელად, გინდ იყო ერთი,
ნუ შეშინდები—ახსენე ღმერთი!

—

ბევრი ისურვებს შენსა დაჩაგვრას...
მაგრა დაუხვდი—ვერ დაგძლევს ავი!...
იყავ ტანჯულთა მომხრე, ერთგული,
სიმართლეს დაბლა დაუკარ თავი!
წინასწარ-მთქმელად, გინდ იყო ერთი,
ნუ შეშინდები—ახსენე ღმერთი!

—

ხალხს ჩააგონე სიტყვა მართალი,
მაღალ აზრს მიეც გზა რიგიანი,—

* * *

გულში ჰკარ მტერსა მწვეტი ისარი
და მუდამ იყავ პატიოსანი!
წინასწარ-მთქმელად, გინდ იყო ერთი,
ნუ შეშინდები—ახსენე ღმერთი!!...

გიორგი ჭრელაშვილი.

## სახალხო ლექსი.

ვიტყვი და ვიტყვი შაირსა,
თუ არა ვთქვი, არ იქნება.
დედის ავათ მოკიდება
შვილისაგან რათ იქნება!
ვიცი, ზოგიერთა შვილი
დედას წიხლით ზედ შადგება,
მამას კარში გამოაგდებს:
„წადი, თვალიმც დაგიდგება!“
სადაც წავა, ინუგეშებს—
ბედის-წერა წინ დახვდება.
ბეწვის ხიდი ვიწრო არის,
ცოდვიანს არ გაესვლება.
მადლიანი რომ შადგება,
ბოგირ-ხიდათ ეჩვენება;
ცოდვიანი რომ შადგება,
გაწყდება და ჩავარდება.
ცოდვა, მადლი წიგნს აწონის,
საით უფრო დამძიმდება.
ერთი წლის სავალ გზაზედა
ეკალ-უკალი ფენია,
დგას კუპრიელის ქვევრია,
გარს უკიდია გენია,

ამხანაგის მოღალატეს
შიგ უდევს ენის წვერია.
ნათლიისა შემცოდესა
გამოსჭრიან სამწვადესა,
გაუხვრეტენ ენის წვერსა,
შიგ უყრიან წითელ გველსა.
დედა, ობლების გამშვები,
ეფარება კაცის მკვლელსა;
უბეში უსხედს გველები,
ეხვევიან ძუძუებსა.

# შიკრიკი.

ამ ერთის თვის განმავალობაში ჩვენ ფეხ-მარდა შიკრიკს მოურბენია მთელი საქართველო, რუსეთშიაც ყოფილა და კინაღამ სამზღვარ გარეთაც არ გადასულა. იმდენი ამბავი მოგვიტანა, იმდენი ახალი რამ შეგვატყობინა, რომ მე ვერც კი მომიხერხებია ყველაფრის გამოთქმა. ასე ამბობს: საქართველოში ბევრს მალამოსავით მოეცხო გულზე თქვენი „იმედიო," ბევრს ყელზედაც დაადგა, ასე რომ საშიშოა არ დაიხრჩვნენო, ყველანი გულ-მოდგინეთ ჩაიყურებიან იმაშიო—ქალნიცა და ვაჟნიც, მოხუცნი და ახალგაზდანი, მღვდელნი და ერნი, მსწავლულნი და უსწავლელნი, მდიდარნი და გლახაკნი, გლეხნი და თავადნი, ბატონები და მსახურნი, ლიტერატორნი და ჩინოვნიკნი, ხელოსანნი და ვაჭარნი,—ერთი სიტყვით, ყველა ალუძრავს და ყველაც აპირებს თავის საკუთარი დარდ-ბოროტის გამჟღავნებას „იმედის" წინაშეო. ამ ხელათ კი თან მოიტანა ორი ბარათი.

პირველი ბარათი გამოგზავნილი იყო ჩვენი ქართველი მანდილოსნებისაგან. ამ ბარათმა მე ძრიელ გამახარა, მით მომეტებულათ, რომა ამის წინაც ჩვენი იმედაშვილი ალტაცებით მელაპარაკებოდა საზოგადოთ ქალის მაღალ დანიშნულებაზედ ცხოვრებაში. დაულალავი იმედაშვილი იმდენს მელაპარაკა, იმოტელა მაგალითები

მომიყვანა ქალის მნიშვნელობაზე კაცობრიობის წარსულში, იმ სიმაღლეთ დააყენა დღევანდელი თავ-განწირული ბრძოლა რუსეთის ქალებისა ხალხის ბედნიერების ასპარეზზედ, რომ სულ პირში ბურთი დამიცო, გამაჩუმა და მტვრათ აქცია ჩემი იჭვნეულობა ამ საგანზედ, მეტადრე ქართველ მანდილოსნებზედ. იმედაშვილის ბაასმა ღრმათ ჩამაფიქრა ჩვენს ქალებზედ, და რამდენი ბევრსა ვფიქრობდი, რამდენი შორს უყურებდი ამ საგანს, იმდენი ჩემ ჭკვაში მომატებული ადგილი ეძლეოდა ქალს, ბოლოს კი სრულებით დავრწმუნდი ქართველი ქალის მაღალ მნიშვნელობაზედ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ამიტომ საჩქაროთ და გულის ძგერით გავტეხე კონვერტი. მოუთმენელად, მალე მინდოდა გამეგო, თუ რა დარდი და ბოლმა ექნებოდა ჩვენს ქალს «იმედის» წინაშე გამოსათქმელათ?

წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მე შიგ ვერა ვნახე-რა ნაწერი და ამის მაგივრათ ამოვიღე გულხელ დაკრეფილი და თვალ-ცრემლიანი ქალის სურათი. ამ სურათზედ გამოყვანილი ქალი იყო ქართულად ჩაცმული, სახეზედ ეტყობოდა, რომ ის არ იყო ერთი მრავალთაგანი, რომელნიც გამხდარან საბრალო მსხვერპლნი ქარაფშუტაობისა, ზნეობა და გონება დაცემულობისა. არა, იმისი სახე არ ეკუთნოდა ამათ! თვალების გამომეტყველება ამტკიცებდა იმ ქალის ჭკუის მოძრაობას, გონებასა და სწავლას. მთელი სახის იერი გვაჯერებდა მის დარბაისლობას, პატიოსნებას და სამოქალაქო ტანჯვას... ამ ამბავმა მე სრულიად გამაშტერა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რისთვის მიმეწერა მე ისეთი ტანჯული, წა-

მებული გამოხატულება, ისეთი გულ-ხელ დაკრეფილობა ქართველი ქალისა? ნუ თუ ეს იმის ნიშანია, ვკითხე ჩემ თავსა, რომ ჩვენში ქალმა არ იცოდეს თავისი საზოგადობრივი დანიშნულება, არ ესმოდეს თავისი საქმე და ეხლა ჩვენგნითა თხოულობდეს, რომ ჩვენ ვუჩვენოთ მას მიზანი ცხოვრებისა?!—არა, გამომესმა მე პასუხათ, ეს შეუძლებელი საქმეა ქართველობაში, სადაც მანდილოსნობას თვით განგების ხელით აქვს ნაჩვენები თავისი დანიშნულება და საღმრთო ვალი!..

ამისთანა ფიქრებით მოცული, მე მაშინათვე გავემგაზვრე ჩემ იმედაშვილთან, რომელიც ამისთანაებში და ბევრს სხვაშიც სწორეთ რომ მისწრებაა—იმას ძნელად შააყენებ, გააჩერებ და გააკვირვებ რითიმე! იმისი გონება დიდი ხანია შესჩვევია ფიქრსა და ამ ფიქრის საგნათ იმას არც ერთი ცხოვრების შესანიშნავი მოვლინება არ გადარჩენია. ამიტომ იმედაშვილმა სიამოვნებით გადაჰხედა სურათს. აავლ-ჩაავლო თვალი, გაიღიმა და თქვა—რამ დაგალონა ემაგრე? ნუ თუ არ იცი ამ პატიოსანი ქალის დარდი? მე ასეთი სურათი თუმცა არსაიდამ მამსვლია, მაგრამ ჩვენებური ქალი სულ ამ სახით ელანდებოდა ხოლმე ჩემ წარმოდგენასაო ჯერ მაშინ, როდესაც მე რუსეთში ვიყავიო. მერე გახსნა თავისი ყუთი და ამოიღო იქიდან თავისი ბლომა ნაწერები, რომელთაც ზევიდამ მსხვილი ასოებით ეწერა «ბეგლარის ბარგი,» გადაშალა და ამოიღო ლექსი, დაწერილი **1874** წელსა, და მითხრა—აი მაგ ქალის პასუხი, რომლითაც მე შორიდგან გულში ველაპარაკებოდი ჩვენს დებს, ქართველ

ქალებსო. ამის გარდა სხვაც ბევრი რამა მაქვს დაწერილი, მაგრამ აქამდის ჩემი გაუბედაობით არ დამიბეჭდინებიაო.

მე სიხარულით გადვიკითხე ეს ლექსი და ბოლოს მთლად მემეშვა გულზე, რომ „იმედს“ არ გაუჭირდებოდა-და ქართველი მანდილოსნების აზრის გაგება და მათთან გამოლაპარაკებაც.

 აი ეს ლექსი:

### ქართველ ქალებს.

გულადათ, დანო, ქართველთა ქალნო,
ხელი მიჰყავით მუშაობასა!
გასწიეთ წინა წმინდა მიზნისკენ,
უსმინეთ თქვენსა მოწოდებასა!...

—

ჩვენი ქვეყანა დაჩვეულია
ქალებისაგან აყვავებასა:
ქალსა რგეიბა მის განათლება—
წილში ხვდა იგი ღვთისა დედასა.

—

სადაც ანდრიამ ვერაფერი ჰქმნა,
ხალხმა უსმინა იქა ნინასა:
მის ქადაგებით უარ ჰყო კერპი
და მიჰყო ხელი ნათლის ღებასა.

—

**თამარ დედოფლის ღვაწლი—ამაგი**
ახლაც კი გვახსომს ქართველობასა,—

მისი სახელი, მის ძლიერება
უკვდავ უქმნია ისტორიასა:

—

მან შეჰკრა ერთათ ამერ-იმერნი,
სიმტკიცე მისცა მათსა ძალასა—
ასწია მაღლა თვისი ქვეყანა,
მედგრათ დაეცა გარეშე მტრებსა...

—

თქვენზედ აქვს ახლაც მამულს იმედი,
თქენგნით მოელის . . . . . :
საცდაც ჩვენ, კაცნი, ვერასა ვხდებით,
იქ თქვენ ნამდვილად გაატანთ თავსა,

—

თქვენგან თხოულობს სამშობლო მხარე
მხურვალის გულით საქმის შეცდასა,
ახალი სწავლის, მეცნიერების
ჩვენში მოტანას, გავრცელებასა.

—

უძლურ ქართველის მოღონიერებას,
მის ბრმა თვალების გახილებასა,
დახავსებული და დაცემული
ჩვენი ცხოვრების განახლებასა;

—

ნამდვილ მამულის შვილების აღზრდას,
ახალ თაობის გამხნევებასა,
მაღალი მიზნით და სიყვარულით
ჩვენს მოქმედების ერთათ შეკვრასა.

მ. იმედაშვილი.

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ იმედაშვილმა წამგლიჯა ხელიდგან შიკრიკის მიერ მოტანილი მეორე კონვერტი და ხმა-მაღლა გადიკითხა. ვამოდგა, რომა მეორე ბარათი უფრო ღირს საცნობი იყო. ეს ბარათი გამოეტანებინა შიკრიკისთვის პეტერბურღიდგან ქართველ მოსწავლე ახალგაზდას და თითონ ლექსსაც თავზე ეწერა—«ბარათი პეტერბურღიდგან». ლექსი ისეთ კითხვებს შეეხება, ისეთი ძვირფასი და მართალია, რომ ჩვენ დიდ დანაშაულობათ ჩავრიცხამდით იმის გამოუაშკარავებას საქვეყნოდ. ჩვენი საკუთარი სურვილიც რომ ამის წინაალმდეგი ყოფილიყო, მარტო იმედაშვილის სამდურავსა და საყვედურს ვერ გაუძლებდით. აბა, წაიკითხეთ თქვენ თითონ ეს ლექსი და თქვით—განა შეიძლებოდა, რომ ის დარჩომილიყო ჩვენი რედაქციის ღარიბ არხივში და არ დაგვებეჭდა ჩვენი მკითხველებისათვის?

### ბარათი პეტერბურღიდან.

დიდი მანძილით ვარ მოშორებულ,
მაგრამ გული კი სულ თქვენთან არის:
ჩემი ცხოვრება, ჩემი სამოთხე
ამ ქვეყანაზედ მარტო მანდ არის!...

---

ბევრჯელ შიმშილით მე კუჭი მეწვის,
ტანზედაც მცივა,—მაგრამ ამასა
არაფრათ ვაგდებ და არც კი ვიმცნევ,
ოღონდ პირ-ნათლად შევრჩე ჩემ თავსა.

მამულის კვნესა ღამით ძილს მიფრთხობს,
დღისით არ მაძლევს მოსვენებასა,
სისხლის ოფლს შუბლზე მარად ვიწურამ
და არ ვეძლევი ფუჭ ოცნებასა!...

—

მეცნიერების ჩაჩქანი მხურამს,
ტანზედ მაცვია მისი აბჯარი,
ბოროტებასთან შესაბრძოლებლად
ხელში მიჭირამს ფარ-ხმალ-ისარი.

—

ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ
ილიას „მგზავრსა" გულს უღრღნიდა,
ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს,
ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა:

—

—„რა უნდ წავუღო მე ჩემს ქვეყანას?
„გაიგებს იგი ჩემსა ენასა?
„მიმიღებს, როგორც თავის ღვიძლი-შვილს?
„და თვით საქმითაც ვიზამ რასმესა?!.."

—

მე ეს კითხვები კარგა ხანია
დამიძლევია, გამომიხსნია!...
ჩემ გულის ბოლმა, თქვენთან საკითხი
სიტყვა სრულებით სხვა ნაირია:

—

მექნება ნება ლაპარაკისა?
ხალხთან საუბრათ მე მიმიშვებენ?

სწორე სიტყვასა, სამართლიანსა
განა მე მისთვის მათქმევინებენ?...

---

ა ჩემი ტანჯვა და ჩემი დარდი,
რაზედაც უნდა პასუხი მომცეთ,
შიკრიკის ხელით თქვენი „იმედის“
რამე ნაგლეჯი მეცა გადმომცეთ.

სტუდენტი.

გამაოცხლებელი გავლენა იქონია ამ ლექსმა მთელ ჩვენ რედაქციაზე, რომელსაც მთელი თავისი იმედი დაუმყარებია მოსწავლე ახალგაზდობაზედ. მართალია, არც ხანში შესული და არც მოხუცებული არა სძაგს განუსაღვრელი სიძულილით, ძრიელ ბევრს იმათში პატივსაცა სცემს, კიდევაც ელოდება მათგან საკეთილო საქმეს; მაგრამ საზოგადოთ კი გული აცრუებული აქვს მათზე. ყველგან ასე ყოფილა და თვით ჩვენი ცხოვრებაც ამტკიცებს, რომ საქმის სიყვარული, საქმით გატაცება დავიწყებამდის, საქმის დაწყობა და ბოლომდის გატანა შეუძლიან მხოლოდ ახალგაზდობას, ოღონდ კი იმან მოიწადინოს. მოხუცებულებისაგან კარგი მარტო თანაგრძნობაა, რითაც ხშირათ ასაჩუქრებენ ხოლმე ახალ გაზდობას და ამხნევებენ საქმეში. და თუ არც თანაგრძნობას ელი მოხუცისაგან, მაშინ იმის ზედ შეხედვაც გიმძიმს.

ყოველივე ესეები ითქვა ჩვენს რედაქციაში და ბოლოს ერთხმათ გადავწყვიტეთ, რომ ახალგაზდა პოეტი იმედაშვილის ქისერზე დაგვედო ტვირთათ—სტუდენტე-

ბისთვის კაი ლექსით პასუხი გაეგზავნა. იმედაშვილმა ყოყმანი დაიწყო. იმანა თქვა, რომ პასუხი ლექსით ისეთ კაცს უნდა გასცე, რომელიც ან შენზე დაბლა დგა ნიჭით, ან შენოტელა შეუძლიანო. ამისთანა მშვენიერ ლექსს მე ვერ შევეტოლები და, თუ გინდათ პროზით მოუხერხოთ პასუხიო. მაგრამ ჩვენ არ მევეშვით, და იმანაც მოჰკიდა კალამს ხელი.

## პასუხი სტუდენტებს.

სამკალი გვაქვს მეტათ დიდი,
მომკლები კი არ გვიჩანან,—
თუმც მოსულან ორიოდნი,
გულ ხელ-დაკრეფილნი დგანან!

—

ავდრიან დღის ეშინიანთ,
უცდიან მზის გამოსვლასა!...
ამ ლოდინში დროც წაუვათ,
წაახდენენ მრთლად ყანასა:

—

თაგვებსა და თხუნველებსა
სულ მრთლად აკლებინებენ,
ნადირთ მასში აგორებენ.
ფრინველთ აკენკინებენ!

—

ვისაც გერჯით, მართლა, გული
სამუშაოთ, მოდით აქა!...

წინ დაგხვდებით, შამოგძახებთ:
გამარჯობა და ბარაქა!

---

კარგ ნამგლებთან წამოიღეთ
ტარიანი მჭრელი ცელი:
ყანას ნარი მოჰრევია,
არ დაგიჭრათ რომ მან ხელი!

---

საგულე და სამაჯური,
ვინძლო კარგა გამოიწყოთ,
სათითური გაიკეთეთ.
სალესავიც არ ივიწყოთ!

---

მოდით ეგრე მოწყობილნი,
დავერივნეთ ლამაზ ყანას,—
ჯერ ღვთის თვალი შიგ ტრიალებს,
თვალიც რჩება ზედ ქვეყანას.

---

მეთაურნიც ავირჩიოთ,
მაღლა შევქმნათ ჩვენ „მუშურა“—
ხალხის გული გავამთელოთ,
ვაძახნინოთ ჩვენზედ „ვურა!“

---

ვინც რომ გზაზედ გადაგვიდგეს,
ერთათ დავსცეთ მას თავს ზარი:
სადაც საქმეს ველტვით ძმურათ,
განა გვიდგნობს კლიტე-კარი?!..

მ. იმედაშვილი

იმედიშვილის პასუხი ყველას ჭკვაში დაგვიჯდა და გადავწყვიტეთ, რომ მაშინვე გაგვეტანებინა მარდი შიკრიკის ხელით იმათთვის, ვისკენაც ის მიქცეული იყო.

მ. ასათიანი.

1879 წ. 5 მარტსა.

# ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი.

... ანუ საგანი
რა არს, ვერ ვსცანი,
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?
გრ. ორბელიანი.

(სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. რომანი ლ. არდაზიანისა 18... წ.).

## I

ვინ არის დღეს ჩვენში პირველი კაცი?—რასაკვირველია, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ვინ ატრიალებს ჩვენი ცხოვრების ჯასრაკს?—რა თქმა უნდა, უ. ს. ი. მეჯღანუაშვილი. საითკენ არიან მიქცეულნი ჩვენი თვალები სიმშურნით და თან გაკვირვებით?—ს. ი. მეჯღანუაშვილისაკენ. ვის ეფინება ფეხ-ქვეშ ყოველი ჩვენგანი?—იმავე ს. ი. მეჯღანუაშვილს. ვინ დაიმონავა მთელი ჩვენი ყურადღება და პატივი?—სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა.

ერთი სიტყვით, მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი. ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბალისა. ეს ამშვენებს და აძლევს სპეტაკ ფერს დღევანდელ ჩვენ უფერულობას. ყველანი გულ-წრფელათ ვიტყვით, რომ უამისოთ ჩვენ ჩალათაც არ ვღირებოდით. ამიტომაც მეჯღანუაშვილს შეუძლიან ამაყათ და გულ-და-გულ შეჰყუროს ქვეყანას, რომ-

ლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს—დაუთმოს მას ყველგან უპირატესი ადგილი... რომ მოკლეთ ვსთქვათ, მეჯღანუაშვილი გახლავთ ყველაფერში მოწინავე პირი ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალი მთელი ხალხისა.

რის წყალობით დაუჭერია ჩვენ გმირს ასეთი მაღალი ადგილი, რით გამხდარა ასეთ მოწინავე პირად?—ჯერ პირველათ იმითი, რომ იმას ზურგზედ აკრავს ვეებართა ტოპრაკი, პირამდის გაჭედილი თითქმის ერთი მილიონი თეთრი ფულით; მეორეთ კიდევ იმიტომ არის იგი ძვირფასი, რომ ეს ამოტელა ფული იმას უშოვნია თავის საკუთარი ოფლით, თავის მეცადინეობით, თავის ჭკვითა და დაუღალავი მხნეობით. ჩვენ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრება არა საჭიროებს არც იმაში, რომ მან გაამხნეოს და გამოითხოვოს სწავლა-განათლება, არც იმაში, რომ კაცმა აღზარდოს თავის არსებაში მიუსყიდველი პატიოსნება, არც იმაში, რომ ვინმემ აღძრას საზოგადობრივი კითხვა, საქვეყნოთ სასარგებლო საქმე,—სადაც ყოველ ნაბიჯზე ფეხს წამოჰკრავ მარტო შენი ჯიბის ინტერესს, ამისთანა საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, კაცი სახელს დაიმსახურებს მხოლოდ ფულებითა! და ამიტომ რამდენი შენს ჯიბეს ემატება რიცხვი „თავკისა და ხოხბის ფერიანებისა“, იმდენათ შენი სახელი ვრცელდება და მაღლდება; რამდენათ შენი ჯიბე ცარიელდება, ფართოვდება და ამით უფრო დიდი თავისუფლება ეძლევათ თაგვებს მასში სათამაშოთ, იმდენათა კლებულობს შენი ღირსებაც, იმდენი საზოგადოების აზრში ჩამოდიხარ დაბლა და დაბლა, მანამ სრულებით არ მიეცემი აუცილებელ დავიწყებას.

მეჯღანუაშვილს ჩვენ თავ-და-პირველათ ვხედამთ ერთ უბრალო ბიჭათ, მერე უფრო უბრალო კინტოთ, რომელიც

ექვსი მაურით იწყობს ალებ-მიცემობას, ცხოვრობს წლითი-წლობამდე წარმოუდგენელი ხელ-მოჭერით და საშინელი წოწორაქობით, დაუღალავათ ადებს გროში-გროშსა და ბოლოს დროს ამოცურდება ცხოვრების სათაურში მთელი მილიონით. მეჯლანუაშვილს ჩვენი ხალხი იმიტომ უფრო შეჰხარის, რომ მასში ჰხედავს იმ შესანიშნავ მაგალითს, თუ როგორ შეუძლიან უბრალო მეჯლანეს და ბაზრის ბიჭს თავისი მხნეობით ერთ მშვენიერ დილას ამოყოს თავი ფართო, სანეთო საკუთარ სახლში და მასთან მთელი მილიონი ნაღდი ფულიცა ჰქონდეს ჯიბეში. რასაკვირველია, ფული მდიდარი ჩვენთვის მიწიერი ქმნილება არ არის, რაკი იმას ჯიბეში ფული ვეღარ სტევია; მაგრამ მეჯლანუაშვილს უფრო ემატება ტრფიალება და უფრო პატივსაცემია, რადგან ის ხალხში არ არის გამოყვანილი სხვის შემწეობით, არამედ იმას ყოველის ფერი მოუპოვებია თავისი ხელით, თავისი ოფლით. ამას დაუმატეთ ისიცა, რომ მეჯლანუაშვილი დაბადებითვე ისეთ გარემოებაში ჩავარდება, ისეთ წრეში მოუხდება იმას ტრიალი, რომ მან შეიძლოს თავისი ზნეობის გაფაქიზება. მკითხველის გული დაამებულია, რომ მდიდრებშიაც კი მოიპოება პატიოსნების სიყვარული და სიმყრალე— უსამართლობის შეძულება. ჩვენ გვიკვირს და გვიხარიან, რომ მეჯლანუაშვილი, რომელსაც გამოუვლია ათასნაირი ქარ-ცეცხლი ცხოვრებისა, შეუძენია უშველებელი ფული,— უცებ ასეთი კაცი თავით-ბოლომდის მომხრეა პატიოსნებისა, უცებ სწყევლის იგი ყოველნაირ გარყვნილებას და უნამუსობას, უცებ ამისთანა კაცის გულში მოიპოება მხურვალე სიბრალული ტანჯულთადმი.

ჩვენ არ შევხვედრივართ, რომ მდიდრის ცხოვრების სურათი დაგვიხატოს თვალ-წინ, და იქ ვერ დავინახოთ მრა-

ვალი გულის ამრევი და შესაზარელი მოვლენაები. მეჯლანუაშვილში კი ამაებს ვერასა ვხედამთ. არამც თუ ასეთი იქ არს სჩანს-რა, არამედ მთელი მისი ცხოვრება ჩვენში ჰბადებს დიდ თანაგრძნობას. ჩვენ, როდესაც კითხვაში მივადგებით ისეთ ადგილს, სადაც მეჯლანუაშვილი გაჭირვებულია, მაშინ იმას კი არა ვნატრულობთ —«ღმერთო ნუღარ წამაყენებ მეჯლანუაშვილს ფეხზეო,» როგორც ყოველ სხვა მდიდარზე ვიცით ხოლმე, როგორც ყველა სხვა მდიდარის დაცემა და დაღუპვა რაღაც ნაირათ გვახარებს,—არა, ჩვენ ასეთ გაჭირების დროს გული გვიცემს— „ღმერთო ხელი მოუმართე მეჯლანუაშვილსაო." და როდესაც მივალთ იმ ადგილს, რომ მართლა მეჯლანუაშვილი გაიმარჯვებს, მაშინ ჩვენ დიდის სიამოვნებით ამოვისუნთქებთ ხოლმე. აგრეთვე მეტათ შევსწუხდებით ხოლმე, როდესაც მეჯლანუაშვილი, როგორც ყოველი მიწიერი, გაებმება ცხოვრების ჭუჭყიან მახეში. მაგალითად, ჩვენ თითქმის გული მოგვწყდა, როდესაც ლაგოდასის მახინჯმა დალაქმა მოტყუებით შერთო თავისი საძაგელი ქალი ნაცვლად მშვენიერი ქმნილებისა, რომელიც თავის ქალის მაგიერ აჩვენა და თავ-ბრუ დაასხა მის სილამაზით. ამისთანათ ჩვენ თავის დღეში არ შეგვყვარებია მდიდარი პირი საზოგადოთ, არც არავის დაუმსახურნია ჩვენგნით ასეთი უანგარო სიყვარული.

ავტორს კარგათ ესმოდა ეს გარემოება და ამიტომ ჩვენ თვალ-წინ დაგვიყენა არა ჩვეულებრივი მდიდარი, რომლის გზა ქმმაკის გზას ადგა და რომელიც ამიტომ ყველას გვეჯავრება; არამედ ისეთი მდიდარი, რომელიც მისდევდა ანგელოზის გზას, რომ ასეთი ნათელი მაგალითითაც კი დაემტკიცებინა თავისი ნამდვილი აზრი, რომელიც ერთი გრძელი ძაფივით

მიზდევს მოთხრობას თავიდამ ბოლომდის. ავტორმა მეჯღანუ-აშვილი აღავსო ყოველივე სიკეთით, ააყვავა მისი ზნეობა და ხასიათი, მისი ჩვეულებები და გონებითი ძალა, რომ ამ სპეტაკ ნათელზე დაესვა მძიმე და შავი ბეჭედი,—რომ ეთქვა:

მდიდარი კაცი კარგი რა არი,
ავი რა იყოსო!

## II

ეს არის მოკლეთ გამოთქმული შინაარსი მთელი მოთხრობისა. მაგრამ ამ ერთი ბეწო წიგნში აღძრულია უმთავრესი კითხვები ჩვენი ცხოვრებისა. ყოველსავე ფურცელზე აწერილია რამე ძვირფასი მოვლენა. მეჯღანუაშვილს ყველა გატაცებით კითხულობს მიტომ, რომ აქ ხელის გულზე გადაშლილია მთელი ვეებართა კუთხე ჩვენი საკუთარი ცხოვრებისა. ამ ერთი ბეწო მოთხრობაში ჩვენა ვხედამთ „წიპლონკას" გზირ-დესეტნიკებს, რომლებსაც სრული ნება აქვთ ლამაზათ და საგრძნობლათ გითავაზონ კენჩხაში, თუ მოიწადინეს და კი ვერ დაგცინცლეს რამე შესაწირავი, გინდ ოთხი გროში, აქა ვხედამთ ცხადათ ჩვენი გლეხის დამოკიდებულებას ფულიანებზე, აქვე დახატულია ჩვენი თავადების შურისძიება, ჩვენი სასამართლოების უსამართლიანობა; აქა ვხედამთ, თუ რა დღეში უნდა ჩავარდეს ჩვენთან ლამაზი და უპატრონო ახალგაზდა ქალი, თუ მას აკლია თავისნიერი და მტკიცე ხასიათი. ერთი სიტყვით, მთელი სურათი ჩვენი დღითი-დღიური ცხოვრებისა უბრალო ხელოვნებით, ცოცხლათ გამოუხატნია ჩვენი თვალის-წინ განსვენებულს არდაზიანსა. ჩვენი საკუთარი თავის დანახვა, აღწერა, რომ შიგ არ იყოს ავტორისაგან გატარებული არავითარი იდეა, აზრი,—მაინც ძვირფასია ქართველი

მკითხველისათვის. და როდესაც მას ხელში ჩაუვარდება აზრით სავსე სურათები ჩვენი ცხოვრებისა, მათი ერთმანეთზე დამოკიდებულება ცხადათ სჩანს ჩვენთვის, როგორც „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილში," მაშინ ასრეთი წიგნი, გინდა ნაკლები ცოდნით და ნიჭით იყოს დაწერილი, მაღლა დგას ჩვენ მკითხველ საზოგადოების თვალში, ვიდრე მთელი უზარ-მაზარი გენია შექსპირისა, ბაირონისა, გეტესი და სხვანი.

ტყვილათ კი არ არის ნათქვამი, რომ ყვავს თავის საბუდარი ურჩევნია ხელმწიფის კოშკებსაო. რაც უნდა იყოს, ჩვენ გვიყვარს ყველაზე მომეტებულად ჩვენი საკუთარი ცხოვრება. აქ ყველაფერი გვეცნობა, თითოჯერ მაინც შეგვხვედრია ყველაფრის ნახვა, რაც ჩვენშუა ტრიალებს, გვესმის მისი ავან-ჩავანი. ამიტომ ჩვენი ტყაპუჭებში გამოკრული, ამოთართლული ტიტლუზა გლეხი უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ვიდრე რომელიმე შეგნებული, შედარებით უფრო მორთული და გასუფთავებული, ნემეცების ფრიცი, ან ფრანცუზების პიერი, თუნდა ისინიც გლეხები იყვნენ. ჩვენი ტიტლუზა ჩვენ გვეცნობა, შეგვიხედნია ათასში ერთხელ მის გამრუდებულ და საცოდავ ქოხში, გაგვიგონია ცეცხლის მომდები კვნესა, რომელიც ათასში ერთხელ ამოიჭრება ხოლმე მის დაფუფქულ გულიდგან. ჩვენ გვესმის ეს კვნესაც, იმის მიზეზიც ვიცით. ამიტომ, რაც უნდა ცხარე ცრემლით აგვიწერონ ნემეცების ცხოვრება, რაც უნდა უბედურებასა ჰგრძნობდეს ფრიცი ანუ პიერი, მაინც ჩვენში არ დაიბადება ცხოველი ინტერესი მათდამი. ჩვენ შეგვეცოდება ისინი, ვიტყვით, რომ ბედნიერებას არსად არ უწვიმნია უხვათო. მაგრამ ჩვენი გული არ დაიწყებს ძგარი-ძგურს ფრიც-პიერების გულთან თანასწორ. მათი ბედი ჩვენთვის არ არის საინტერესო, ჩვენ მათში სახელებიდამ

მოკიდებული გარემოებაებამდის ვერასა ვხედამთ ნაცნობს. არც იმოტელი განათლება გვაქვს, რომ საქმეებს და გარემოებას თავი დავანებოთ და ავიდეთ იმ მაღალ შეხედულობაზე, სადაც კაცი ყურს უგდებს მხოლოდ ადამიანის გულის ვითარებას საზოგადოთ, თვალს ადევნებს მხოლოდ საზოგადოთ კაცის სულის მდგომარეობას,—ან სურვილი გვქონდეს, რომ სხვა ხალხის მდგომარეობა შევისწავლოთ. ჩვენთვის ჯერ ეს სურვილი გაუგებარია. ამიტომ რომ ასეთი უმაღლესი სურვილი საზოგადოებაში წარმოსდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კარგათ იცის თავისი ცხოვრება, თავისი ბედი და უბედობა, საკუთარი ძალა და ღონე. რაკი კაცი თავის გარს-შემორტყმულს ხეირიანათ გაიგებს, მაშინ სულიერი წყურვილი არ დაკმაყოფილდება მარტო ვიწრო წრეთი, მაშინ ცნობის მოყვარეობა გადავა სხვა წრეზე, სხვა საგნებზე, რომელნიც დაშორებით არიან მასთან. მაშინ ჩვენთვისაც ნემცების და ფრანცუზების ცხოვრება ძვირფასი გახდება. მაშინ იქნება მათი ცხოვრება ჩვენსაზე მაღლა დავაყენოთ, მათი ბედ-იღბალი ჩვენთვის გულზე მოსაჭიდნი გახდნენ.

აგრეთვე, ჩვენ მკითხველ საზოგადოებას დღეს რომ გადაუთარგმნოთ მშვენიერი და უანგარო „ბრძენი ნატანი“ ლესინგისა, ჩვენთვის იგი გაუგებარი და უმნიშვნელო იქნება; „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ათასჯერ მაღლა გვეყოლება დაყენებული, ვიდრე გამოჩენილი ლესსინგის გამოჩენილი დრამა. ჩვენ ისიც არ გვესმის „ბრძენ ნატანში,“ მაშინ როდესაც მეჯღანუაშვილის თითო ნაბიჯი ჩვენთვის ანბანივით გასაგებია.

ქართულ მწერლებს არ ესმოდათ ამ აზრის ჭეშმარიტება. ამიტომ ყოველივე მათგანი მისდევდა ევროპიულ იდეა-

ლებს. ფაცა-ფუცით გვიწერავდნენ სხვა ქვეყნების ცხოვრებას, გვითარგმნიდნენ შექსპირ-გეტე-შილერებს. უნდოდათ ამით ჩვენი ხალხისათვის აეხსნათ თვალები, დაენახვებინათ დაწინაურებული ხალხის ცხოვრება და ჩაეგდოთ ჩვენში გაუმჯობესობის და უკეთესობის სურვილი. მაგრამ ყოველივე ეს ამაოთ დარჩა. ჩვენ უცხოეთის სახელებმა გულები დაგვიხეთქა: ეგმონტი რაღაც სასაცილო ქმნილებას წარმოგვიდგენდა, ლირზე მუცლები დაგვასქდა სიცილით. სახელების უცხოობით ჩვენ თვითონ თხზულებაებს მარტო დავხედეთ და გვერდზე მივაგდეთ. მაგრამ, აბა შეხედეთ მეჯღანუაშვილს! ვინც კი როგორმე გაიგო მისი დაბეჭვდა ცალკე წიგნათ, ყველას მოუნდა მისი გადაკითხვა, მისი მოპოება, და რამდენი ბევრნი გაიგებენ მის არსებობას, იმდენი მომატებული მუშტარი გამოუჩნდება ამ წიგნს. მიტომ რომ ეს წიგნი გველაპარაკება ჩარჩი-კინტუა სოლომანაზე, მის მშვენიერ დედა გაიანეზე, წიპლონკა დესეტნიკზე, მშვენიერ ელენეზე, ლუარსაბზე და მის შვილ ალექსანდრე რაინდიძეზე. ყოველსავე ამაებში ჩვენა ვხედამთ ჩვენ საკუთარ მამებსა, ჩვენი ცხოვრების შვილებსა. ჩვენ გვესმის მათი ქცევა, მათი მსჯელობა, მათი გრძნობები, მათი ოინები. ამიტომ ჩვენ სიამოვნებითა ვულაპამთ ყველა სიტყვას, რომელსაც წამოროშავს ყოველი მათგანი, თუმცა მათი სიტყვა შეგნებული კაცის და საზოგადოებისთვის სხვა დროს ცალ ფულათაც არ ეღირებოდა. მაგრამ, რა უყოთ? „ავია თუ კარგია, ქალო, შენი ქმარია.“ დიდი სისულელე იქნებოდა, რომ ჩვენც კაჭკაჭივით დაგვეჭირა საქმე, კაჭკაჭივით, რომელიც სანაგვესა ჭყენცამს და ბოლოს კი არიდებს.—რაც არის ჩვენი ცხოვრებაა. ამ ცხოვრებას უნდა მივადგეთ ჩვენი ცოდნითაც და გამოცდილებითაც.

ამ ცხოვრებასთან უნდა დავიჭიროთ საქმე. ბევრიც რომ გაი-ბეროს ბაყაყი, კამბეჩათ ვერ გადაიქცევა. ჩვენ არ უნდა დავ-ხუჭოთ თვალი ჩვენ საკუთარ მდგომარეობაზე. რამდენი თვა-ცილცათ დავუწყებთ მას ყურებას და არა ნაირ მოვლინებას არ მივცემთ დავიწყებას, იმდენი უფრო ჩვენი საქმე წინ წავა, იმდენი უფრო მალე მოვესწრობით იმ დროს, როდესაც ჩვე-ნი საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება უკეთესი ევრო-პიელების ნაწერები, უკეთესი მოვლინებანი ევროპიული ცხოვ-რებისა.

არა, იმიტომ ძრიელ მაღლა ვაყენებთ, მეტად ძვირფას-სა ვზდებთ არდაზიანის ერთი ბეწო „რომანს,“ რომ ავტორი არ მოუკიდა ამპარტავნულად ჩვენი ბედ-შავი ცხოვრების უფრო ბუდკრულ და დაბალ მოვლინებებს. ჩვენ არ შეგვფერის დღეს ოცნება მაღალ გმირებზე, როდესაც გვერდში ამოგვჩრიან ათა-სობით მეჯღანუაშვილები, „წიპლონკები;“ ქოსა დალაქები და სხვა ამისთანა გაუნათლებელი პირნი. ჩვენ დღეს ჩვენი ვაგ-ლახი გვაქვს. ამიტომ დიდის პატივით ვიხსენებთ არდაზია-ნის სახელს, რომ მან ასე გმირულად და სინიდისიერად აი-ღო ერთი კუთხე ჩვენი ცხოვრებისა, აღწერა იგი მთელი მი-სი უსვი ნაკლულევანებით და წვრილმანობით, დააკვირდა ჩვე-ნი ცხოვრების დაღრეჯილ მიმდინარეობას და აღწერა უკვდავი სახე სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა. აი ჩვენი ცხოვრე-ბის ნამდვილი ყვავილი. ჩვენ მხოლოდ ჯერ-ჯერობით უნდა შევყურებდეთ ამ და ამისთანა ბევრს სხვა ყვავილებს. ჩვენ-თვის ბაირონი არა არსებობს, გეტე ჯერ არ დაბადებულა, შექ-სპირი ჯერ არც კი ჩასახულა დედის მუცელში, თუმცა ევ-როპის საზოგადოებამ კიდეც მოიწყინა იგინი, მოხარშა მათი

გრძნობა და აზრები. ჩვენი სპეტაკი ვარსკვლავი მხოლოდ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილია.

მოთხრობის შინაარსი ჩვენში აღვიძებს უნებლიეთ ორ მეტათ დიდს საფიქრებელ აზრსა. ერთი შეეხება თითონ საზოგადოების მდგომარეობას, მისი ცხოვრების მიმდინარეობას; მეორე აზრი შეეხება საზოგადოების წევრის ცხოვრებას, მის დამოკიდებულებას პირველზე, მის მნიშვნელობას, მის მოქმედებას როგორც თავის დღეგრძელობისთვის, ისრე შესახებ საზოგადოებისა. ჩვენ თვალ-წინ გამოყვანილია სამშობლო საზოგადოების წევრათ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. თითონ საზოგადოების ინტერესებზე არდაზიანი არას მოგვითხრობს. მაგრამ აქ კრიტიკას აძლევს ხელში დიდ მასალას, რომ მან დააყენოს პირის-პირ მეჯღანუაშვილი და ჩვენი ცხოვრება.

აბა, მწერლის ღირსებაც იმითი დაფასდება, თუ რამდენათ შესძლებს მისი ცოდნა და დაკვირვება ამ ორ საგან შუა დამოკიდებულებაების აშკარათ გამოყვანას. აქ გამოჩნდება არდაზიანის კალმის ძალა და მისი მნიშვნელობა ჩვენ მწერლობაში.

## III

ერთი წლისა მაშინ იყო მეჯღანუაშვილი, როდესაც იმას მოუკვდა მამა. ღვთისაგან განაჩენი ვერა ებადებოდა-რა მის ახალგაზრდა, გამოუცდელ დედა—გაიანეს, თექვსმეტი წლის გაიანე, დაქვრივებული, ძუძუთა-უმაწვილით ხელში, უიმედოთ იჯდა თავის ბნელ და ნოტიო ქოხში და ცხარე ცრემლით

იმდუღრებოდა. არა ვითარი საშუალება არა სჩანდა არ საიდგან, რომ დედას ქმოვნა პატიოსანი ოფლით ერთი ლუკმა პური. ამ უბედურ მდგომარეობას დაურთეთ სიმშვენიერე გაიანესი და მაშინ წარმოიდგინეთ, რა ნაირი გზა უნდა ეჩვენებინა მისთვის მუხთალ სოფელს ცხოვრებაში? მართლათაც, აქეთ-იქითგან გამოჩნდნენ გულ-უხვი მუშტრები, რომლებმაც მოიწადინეს გაიანეს ხელის შეწყობა, თუ იგი დააკმაყოფილებდა მათ მხეცურ წადილებს. ან მის მეზობლებში სხვა რა წადილი უნდა გვეკითხნათ 1801 წ., როდესაც ამ საათშიაც ათასობით ხედავთ თქვენ გარშემო ხალხს, რომელიც დიდის კვესნით და თავის მოწონებით ნამუსსართმევს ყველა ქალს, ვისაც კი რამე თვალის ჩინი აქვს? გაიანე ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ან სიკვდილი უნდა მოენახა, ან ნამუსის დაკარგვა, თავის შერცხვენა. მაგრამ რადგან მისი მტკიცე და განწვრთნილი, გასუფთავებული გული ვერას გზით ვერ შეურიგდებოდა ნამუსის წართმევას, ამიტომ იმან ისევ სიკვდილი აირჩია. აი ამ სასოწარკვეთილების დროს გამოუჩნდა კეთილ ანგელოზათ კნეინა დარეჯანი რაინდიძისა, რომლის ოჯახი რაღაცა პატიოსნებით და კეთილად მოჭზერამდა ყველას, ვინც კი მას მოხვდებოდა. კნეინა რაინდიძის გულ-კეთილობამ დაიყოლია თავ-მოყვარეობა და თავსნიერი ხასიათი გაიანესი, და გაიანეც ენდო, დასახლდა დარეჯან რაინდაძისას სახლში, როგორც მისი შვილი და თანასწორი.

ასეთი ღირსეული დედა, როგორც გაიანე, ჭკვიანი და პატიოსანი, მასთან ასეთი ღირსეული და ხელ-გაშლილი კეთილი ოჯახი, როგორც რაინდაძისა,—ყოველივე ესენი გახდებიან აკვნათ, სადაც ჩვენი პატარა მეჯლანუაშვილის გონება და გრძნობა ვარჯიშობენ ერთ მიმართულებისაკენ. მასთან ეს

ზნეობიითი და გონებითი აღზრდა მეჯლანუაშვილისა გასტანს იმ დრომდის, სანამ ჩვენი გმირი შესრულდება თვრამეტი წლისა. დედისაგან ესმის სულ მუდამ მხოლოდ კარგი და ზნეობა გამწვრთნელი ამბები მისი ცხოვრებიდგან. მასთან სოლომონს ასწავლიან წერა-კითხვას ქართულად, ჩააგონებენ ვეფხვის-ტყაოსანს“ და სხვა წიგნებს. ყოველივე ესეები მასში სწვრთნიან მშვენიერ, კეთილ ხასიათს, ჭკვიანურ შეხედულებას ცხოვრებაზე და ბუნებაზე, როგორც კი შეიძლება ამ საზოგადოებაში.

მაგრამ, აგერ გარდაიცვალა კნეინა დარეჯანი, მათი შემწყნარებელი და უკეთესი პატრონი. გაიანეს საშინლად უყვარდა კნეინა, ვერ აიტანა მისი სიკვდილი და თითონაც თან გადაჰყვა. სოლომანა დარჩა სრულებით დაობლებული; ველარ გაბედა კიდევ რაინდაძისას ყოფნა, გამოეთხოვა და შეუდგა თავის საკუთარ გზას. ალექსანდრე რაინდაძემ აჩუქა წამოსვლისას ხუთი მანეთი.

ავტორმა ჩვენ წინათვე შეგვაყვარა პატიოსანი სახე გაიანესი. მის თავ-გადასავალი ჩვენ გულს ეკალივით სჩხვლეტამდა. და აქედამ ჩვენი სიყვარული და სიმპატია გადავიდა მის შვილზე. ჩვენ მოუთმენლად ველოდებით, რა დღეში ჩავარდება დაობლებული სოლომანა, რომელსაც ქვეყანაზე აღარავინ არ ეგულება, რომელიც სრულებით მოკლებულია ნათესავებს და მეგობრებს, რომელიც რაინდაძის სოფლიდგან მოდის თბილისის ქალაქში. ჩვენ უყურებთ ამ მშვენიერ ახალგაზდას, ჩვენ გვინდა შევიტყოთ გაიანეს შვილის მომავალი. ერთი ვნახოთ, რას გააწყობს ჩვენი სოლომანა თავის ახალგაზდობით? მასთან ჩვენ ვხედამთ, რომ სოლომანამ არ იცის არა ნაირი ხელობა, მოსამსახურობა არ შეუძლიან, მი-

ტომ რომ თავადიშვილურ ფუფუნებაშია გაზრდილი. ჩვენ ვიცით ისიც, რომ აქამდის ეს ახალგაზრდა სულ სოფლად იზრდებოდა და ქალაქის ცხოვრებისა არა გაეგებოდა-რა; არავითარი გამოცდილება არა ჰქონდა. იგი იყო მხოლოდ გულკეთილი, შეგნებული, გამბედავი და ჭკვიანი ახალგაზრდა. სხვა არაფრისაგან არა ძალა არ ებადა ჩვენ სოლომანსა. მისი სწავლა აქამდის არ გასცდა, რომ ამით ახალგაზრდამ ლუკმა პური იშოვნოს. მაშ რა უნდა ქმნას ჩვენმა გმირმა, როგორ უნდა გამოიჩინოს თავი ცხოვრებაში? რა საშუალებას უნდა მიჰყოს ხელი? ალექსანდრეს ხუთი მანეთით რა უნდა გასძღეს ადამიანი, რომელსაც წლითი-წლობამდის სულის მობრუნება, ჭამა-სმა უნდა!

რამწამს მეჯლანუაშვილი ჩამოვიდა ქალაქში, მაშინათვე თავისი მამა-პაპური ქოხი კითხვის-კითხვით იპოვნა ციხის უბანში. ქოხი ისევ ისე იყო გამოკეტილი, როგორც ჩვიდმეტის წლის წინად გაიანემ გამოხურა და უნებურად თავი დაანება ამ საბუდარს. სოლომანამ გააღო კარი, შევიდა ბნელ და სიომოდებულ ქოხში. იქ ნახა ყოველივე ის საცხოვრებელი, რაც შეადგენდა მისი დედის კუთვნილებას და სოლომანის სამკვიდროს. აქ იდგა პატარა აკვანი, არტახებით, რომელშიაც ერწეოდა პატარა სოლომანი. იქვე იყო ის ტახტი, რომელზედაც ასე მწუხარეთ დასტიროდა თავის ბედს საწყალი ახალგაზრდა ქვრივი ქალი — გაიანე. წარმოიდგინა ჩვენმა ჭაბუკმა თავისი წარსული, დედის მდგომარეობა ამ დახშულ ქოხში, ამოუჯდა გული, კინაღამ თავ-ბრუ არ დაეხვია, შეუგუბდა სული, ცრემლებიანი გამოვარდა გარეთ, გამოხურა კარები და თავის გონებაში გადაწყვიტა, რომ აღარ დაბრუნებულიყო იქა; მაგრამ სად წავა უც-

ხო კაცი ამოტელა ქალაქში? ვის მიადგება სოლომანა კარს? თავი სახლში ერთი ღამის გატარება ვერ გაბედა. მიდის და თითონაც არ იცის, სად უნდა წავიდეს, სად იშოვნოს ბინა?

აქ თვრამეტის წლის სოლომანა სწორეთ იმავე სასოწარკვეთილებაში ვარდება, როგორშიაც იწურებოდა მისი თექვსმეტი წლის დედა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გაიასვეს ტვირთათ აწვა ერთი წლის სოლომანი, და ჩვენი ჭაბუკი კი სრულებით მარტოკა იყო.

როგორც გაიანე იყო ბედისაგან მისული, რომ ან უნდა დაეკარგა ადამიანის ღირსებაები და მისცემოდა ცხოვრების ათასნაირ სიმყრალეს, ასე მისი შვილის ბედიც შეუწყნარებლივ უყურებდა თავის მსხვერპლს. აგერა ჩვენმა სოლომანამ გაბედა ერთ დუქანში შესვლა, სადაც გარყვნილი კინტოები ქეიფს ეწეოდნენ. სოლომანამ ჯერ არა იცოდა-რა გარყვნილობისა, მიეკედლა მათ, ლოთობაში და ღვინის სმაში გაატარა რამთენიმე დღე და ღამე. მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები და მისვდა ამ კინტოების გარყვნილებას და სიწუწკეს, როდესაც იმან თავის ჯიბეში ველარ იშოვნა ალექსანდრესაგან ნაჩუქები ხუთი მანეთი. მაშინ კინტოებმა აუხსნეს თავისი ვინაობა—გამოდგა, რომ ერთი მათგანი იყო დახელოვნებული ჯიბგირი, მეორე—წამსდარი ქალების საყვარელი, მესამე—მათი გამსაღებელი. ყველა მათგანი მიჰდევდა რამე დაცემულ ხელობას და მითი შოულობდა სარჩოს. მასთან ჩვენ სოლომონსაც დაჰპირდენ, რამე ისეთივე კარგი ხელობა ეშოვნათ, ოღონდ ამას დაეჭირა მათთან კავშირი...

როგორია მკითხველო! ახალგაზდა უმაწვილი ეძებს ცხოვრებაში რომელსამე გზას თავის დასარჩენათ, და რას აძლევს

მას პირველ ნაბიჯზევე ჩვენი უფერული და დაცემული ცხოვრება? რა გზაზე აყენებს უკანასკნელი გაიანეს შვილს?—პირველივე ფეხის გადადგმაზე ცხოვრება ეუბნება ჩვენ მშვენიერ ახალგაზრდას: „რა ძალიან თავს იტეხამ, ჩემო გამოუცდელო მტრედო! აჰა ხელადა ღვინით და ყანწი ხელში. გაატარე შენთვის დროება, იმხიარულე და იქეიფე, რამდენიც გნებავდეს, ოღონდ კი შენ ამპარტავნულად ნუ შეხედამ ასეთ ჩიტებსა და გვრიტებს, როგორებიც არიან დუქანში ლოთი-ფოთი, გასალასანაყებული და ადამიანის გრძნობა დასშული კინტოები. თან შენ გულადად მოეკიდე ხელი ყოველნაირ გარყვნილობას და მდაბალ, დაცემულ ხელობას, შენთვის ტკბილი და უხვი ლუკმა ღმერთს მზათ აქვს დამზადებული."

რა უნდა ქნას აქ ჩვენმა სოლომანმა? გაალოს გული და ჩაისხას სულში თავისი ანგელოზები, რომლებმაც უჩვენეს მას პირდაპირი ცხოვრების გზა?—აქ მოთხრობის მკითხველს უსქდება გული, რომ მისი შეყვარებული სოლომონი არ გაიტაცოს სოფლის უდიდესმა და გარყვნილმა უფსკრულმა. ელვასავით გაირბენს მკითხველის თავში ის საზიზღარი წარმოდგენა, ვითომც აგერ ცხოვრებას დაელოს უმქილო და ვეებერთა ყბა, სავსე ყოველი ბოროტებით და სიბილწით; გული იმსებს ათასნაირი სევდით, რომ ჩვენი მეჯღანუაშვილი არ ჩაყლაპოს ამ საშინელმა და დაუნდობელმა ყბამ. ჩვენ ყველამ ოცობით და ასობით ვიცით ისეთი საზარელი მაგალითები, რომ ამ ყბას ვერ ასცდენია არამც თუ ასეთი უთვის-ტომო, უპატრონო ობოლი, როგორისაც დღეს ჩვენა ვხედამთ მეჯღანუაშვილს; არამედ ამ ყბაში უკვალოთ გამქრალა და ათასობითაც ქრება ჩვენი თვალის წინ ბევრი ისეთი ქმნილებაც, რომელსაც ბედი უწყობს ხელსა და ეპატრონება, რომელსაც

არც საცხოვრებელი აკლია და არც კეთილის მყოფელნი. მაშ რა იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს საზიზღარი ვეშაპი, რომლის მისწრაფებათაც თითქმის ყველა ჩვენგანი წინ-დაუხედავლათ ის სდევს, ეს ვეშაპი აგრეთვე შეუწყნარებლივ არ მოიგდებს კბილს ქვეშ უბედურ ახალგაზრდას, სრულებით გამოუცდელ მეჯლანუაშვილს? მით მომატებულათ მოგვდის თავში ეს საშინელი სურათი, რომ ჩვენ სოლომანსას ისიც ამოართვეს ჯიბიდგან, რაც რამ ებადა, რომ იგი დარჩა ცარიელი ჯიბით სხვა ყოველ მხრივ სიცარიელესთან.

მაგრამ რანაირ სიამოვნებასა ჰგრძნობს ამ შავი ფიქრების შემდეგ ჩვენი გული, რა ნაირათ დაწყნარდება მკითხველის სული, როდესაც ავტორი მისცემს ჩვენ სოლომონს იმოტელა სულის ძალას, რომ იგი, როდესაც შეიტყობს კინტოების ვინაობას, აენთება ზიზღობითი პატიოსანი ცეცხლით, შეხედავს პირის-პირ ამ უზომო უბსკრულს გარყვნილებისას, იტყვის მამაცათ—„თუ-უ კაჭ-კაჭო“ და გადასტკებს მას თავზე, უცებ გავარდება დუქნიდგან და თავს დაანებებს ამ საშინელ და საზიზღარ დუქანს. ჩვენი შიში და გულ-შემატკივრობა უცებ გაივლის, სიმშვიდე და სიხარული დაიჭერენ შავი ეჭვის ადგილს ჩვენ გულში. მაგრამ მაინც, ცოტა ხნის უკან ისევ აღიძვრება ათასნაირი ფიქრი ჩვენ თავში. ჩვენ მაინც ერთიანათ დაწყნარებას ვერ მოვასწრებთ, მაინც ჩვენ არ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი სოლომანს სრულებით უპატრონოა, როგორც აქამდის იყო, და მასთან ზედ დაემატა ის ახალი მწუხარება, რომ იმას ერთი გროში აღარ შერჩა ჯიბეში: მისმა კეთილმა ანგელოზებმა დასვეს იგი ცარიელზედ.

ჩვენ იმავე გულის-ცემით მივსდევთ მეჯღანუაშვილს უკან. გვინდა გავიგოთ, მეორე ნაბიჯზე რას დაახვედრებს მას ბედი. ჩვენ გვიკვირს, რომ ახალგაზრდამ გაჰკურცხლა ისევ იმ მოტირილი ქოხისკენ, რომელიც ასე გაწყრომით დაუტევა მან რამდენიმე დღის წინათ. მაგრამ კი კარგა გვესმის ის გამოუთქმელი სიამოვნება, ზნეობითი შესვენება, რომელსაც ჰგრძნობს ჩვენი ნორჩი სოლომანი ამ ადგილზე, სადაც მან პირველად დაინახა ქვეყანა, სადაც ასე ცხარე სვე სდევნიდა მის გაიანეს. სოლომანმა ნახა და დარწმუნდა, რომ ეს ქოხი, რომელშიც ბნელათ დგას ჩვიდმეტი წლის დაგუბებული სევდი და საშინელი სინესტე; ქოხი, სადაც მწუხარების მეტი ჯერ არა ენახა-რა არავის,—ნახა, რომ ეს ქოხი გაცილებით სჯობის იმ გარყვნილობით გატენილ დუქანს, სადაც ასეთი მხიარულებით ატარებდნენ დროს მისი პირველი ქალაქელი ნაცნობები. მეჯღანუაშვილმა არჩია ამ ქოხში სიკვდილი დუქანში გაფუჭებულ, თუმცა მაძღარ, ცხოვრებას. მთელი ორი დღე და ღამე სოლომანმა დაჰყო ამ მამა-პაპის ქოხში, უჭმელ-უსმელმა. ჩვენ ვიწვებით მისი მდგომარეობით, მაგრამ კი მეორეს მხრით გვიხარიან, რომ ნამუსი და პატიოსნება არ უძლევა ცხოვრების გაფუჭებას. ჩვენც გულის ცემით ყურს უგდებთ, როდემდის გასტანს ასეთი ვაჟ-კაცური ბრძოლა ახალგაზრდისა ცხოვრების მიუენებლობასთან. ნუ თუ მეჯღანუაშვილი შიმშილით მოკვდება? და თუ არ შეეჩვევინება შიმშილს და სიღარიბეს, ნუ თუ ეს მშვენიერი, გრძნობით სავსე, ხელ-უხლებელი ყმაწვილი გახდება მსხვერპლათ ზნეობითი დაცემისა?

მესამე დღეს მეჯღანუაშვილმა მოიგონა თავისი მწუხარე სვე; სასოწარკვეთილებაში მოსულმა, ცალკე შიმშილისა-

გან ფერდი-ფერდ გაცმულს არავითარი აზრი მოზდის თავ-
ში. მას არ შეუძლიან იფიქროს, აიღოს, დაიღოს და ერთ
რომელსამე გზას დაადგეს. მისთვის ყოველ გზაზე, ყოველ
ბილიკზე აშენებულია გადაუსვლელი კედელი, ბედმა შეუკრა
მას ყოველ მხრით გზა, გარდა ერთი გზისა, რომელიც გარ-
ყვნილების მორევით გატენილია და ყელამდინ ცურავენ შიგ მისი
ნაცნობი კინტოები. რა უნდა ქნას ამ ჩვენებური ბედის ნამ-
დვილმა შვილმა?— არაფერი! თითონაც არ იცის და ვერც
ჩვენ მივხვდებით, რას იქს ჩვენი ახალგაზდა. როგორც ვთქვით,
მესამე დღეს კარგათ ჩაცმული, (ტანი-სამოსი რაინდაძის სასლ-
ში შეუკერეს) მაგრამ დამშეული ჩამოვიდა ჩვენი მეკვლანუაშვი-
ლი მოედანზე, სადაც მან ნახა ათას ნაირი ხალხი,
ათას ნაირი სავაჭრო. იქ რასა ჰყიდიან და ყიდულობენ, აქ
რას აიჯასებენ და რაზე მოზდით ბაასი. ჩვენ მეკვლანუაშვილს
დაუღია საწყალს უმგზავსოთ ყბა და შეჰყურებს გაშტერებით
ყოველსავე მოძრაობას გარ-შემორტყმულისას... ამ ყბა-ღიაო-
ბაში გამოუჩნდება იმას ლუკმა პური, აქ გამოიდარებს სო-
ლომანას ბედი, აქ ამოუჯგა მას მზე, რომელიც გაათბობს მას
და მისცემს სარჩოს, აქ მოეწმინდება მას თვალზე ცრემლი,
მოეშვება გულზე სევდა. აქ მისი იღბალი აკმარებს მას გამო-
ცდილებას, ტანჯვას. აქედან მისი ცხოვრება სხვაფრივ დატ-
რიალდება. ამას იქით ჩვენი გულიც დაწყნარდება, სოლომანი
აღარ იქნება ჩვენგნით საგლოვი. ნეტარი დღე დაადგება მას.

## IV

როგორ მოხდა ესა, როდესაც ცხოვრება ჰპირდებოდა,
გაენადგურებინა, გაემტყვრებინა ობოლი ახალგაზდა! ის კი
არა თუ ამან მისცა უკანასკნელს უკეთესი ადგილი, დასო იგი

პირველებში, გაუშალა კალთაში ყველაფერი, რაც კი თვალსა და გულს ესატრებოდა!

დავბრუნდებით ჩვენ ისევ იმ მოედანზე, სადაც მეჯლანუა-შვილი პირველად გამოვიდა იმედ გადაწყვეტილი და მეტათ დამშეული. იგი უცებ შედგება ერთ ალაგზე, სადაც სოფლე-ლი გლეხისაგან პურსა ვაჭრობს ერთი ვიღაც მოქალაქე. მეჯ-ლანუაშვილი დიდხანს უყურებს, როგორც რიგდებიან იგინი. ჩვენი გმირი უცებ, სხვის მაგალითით, გაჰბედავს მათში შუა-მავლობას. ვაჭარს ცოტათი მოამატებინებს, გლეხ-კაცს დაბლა დააწევინებს პურის ფასს. მისი შუამავლობა, დალალობა გას-ჭრის მიტომ, რომ მას კარგათ აცვია, და გლეხ-კაცი პატივს დასდებს მის საცმელს. ვაჭარი ყველაზე იაფათ და მოგებით იშოვნის პურს, მეჯლანუაშვილის წყალობით. ამიტომ იგი არ დარჩება უმადური, მაშინვე სიკეთისათვის უთავაზებს ერთ ახ-ლათ-ახალს ბაღდადს. სოლომონს მეტად გაუხარდა დილა ადრიანზე ასეთი მოულოდნელი საწირავის მიღება, მაგრამ სიხარული უფრო გადიდდება და გაცხოველდება, როდესაც ერთ ჩინოვნიკს თვალი მიუვა ამ ბაღდადზე და სამ მანეთად იყიდის.

ასრეთ, სულ არარაობით კაცს გროში გაუჩნდა ჯიბეში. მაგრამ ეგ რა გინდათ! სამი მანეთი ისე მარტოკა არ დარ-ჩებიან ჯიბეში, იმათ მოემატებათ კიდევ ცოტა რამე. ჩინოვ-ნიკმა სთხოვა ჩვენ სოლომანს, რომ ეყიდნა მისთვის სადილი. სოლომანა არ დაუზარდა, საჩქაროთ მოართვა. ამი-სათვისაც შაურ-ნახევარი გაიგრა ჩინოვნიკიდგან ობოლმა. ასე მუდამ დღე ელოდებოდა ჩინოვნიკის ჩამოვლას სადილობის დროს, უყიდდა საჭმელს და მიიღებდა საჩუქარს. გულ-კეთილ-მა ახალგაზდამ განიზრახა მადლობის გადახდა თავის კეთა-

ლის მყოფელისა, გავიდა ქალაქ გარეთ, იყიდა ერთი ბატკანი და მიართვა ჩინოვნიკს. უკანასკნელმა, რომ არ ჩამოუვარდეს პირველს გულ-კეთილობაში და გულ-უხვობაში, თავის მხრით აჩუქა ერთი მანეთი.

ამ ორი-სამი დღის მიტრიალებ-მოტრიალებამ სოლომანი გონზე მოიყვანა. იმან გაიგო, საიდგანაც უბერამს ცხოვრების ქარი თბილისში.

თუ მეჯღანუაშვილს არა ჰქონდა არც სწავლა და არც-რა ხელოსნობა იცოდა, რითაც ნამდვილ რამე სასარგებლო მწარმოებელ საქმეს შესდგომოდა, იმან იპოვნა ისეთი ხელობა, რომელშიც სიმარდის მეტი არა დასჭირდებოდა-რა, სადაც მხოლოდ ხერხი იყო საჭირო. იმან დაიწყო წვრილი ვაჭრობა, ჩარჩობა. სააღდგომოთ მოახერხა ბატკნების იაფად ყიდვა და ძვირათ გაყიდვა; გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომას ყველა ნაირი ხილი შეადგენდა მის სავაჭროს. ისეთი დღე არ გავიდოდა, რომ სოლომანს ორი მანეთი მოგება არ ენახა. ზამთაში ქათმებსა ჰყიდულობდა და მოგებითა ჰყიდდა. მასთან არას დროს უკან არ დაიწევდა, თუ საშუა-მავლო, სადალალო საქმე გასტყუვრებოდა სადმე. ერთი სიტყვით, ჩვენი პატარა ობოლი ყმაწვილი ცეცხლივით მოეკიდა ჩარჩობას, როგორც წყალ წაღებული ჩალას. მოსვენებას არ აძლევს ჩვენი გმირი თავის თავს. დილით ადრიანათ მზე მას ვერ ამოუსწრობს. მირბის ქალაქის ნაპირებში, რომ იქ დახვდეს რამე საზრდო, გლეხებისაგან ჰყიდულობს და თავ-გადაგლეჯილი მორბის ქალაქისაკენ გასასაღებლად. მასთან საკვირველი ის არის, რომ სოლომანამ თუმცა ნელ-ნელა ფული ჩაიგდო ხელში, მაგრამ იმას ერთხელაც არ მოუვა რამე გარყვნილური აზრი, ფულებს ისე არ ეპყრობა, როგორც ყველა ჩვენი დროის ჯიელი ეკიდება

ხოლმე. სოლომანი უფრთხილდება ფულებს, ინახავს. ეს გა-ფთხილებაც სწორედ შესანიშნავ წერტილამდის მიდის. ეს ერთი ბეწო ბიჭი ითმენს საშინელ ნაკლულევან ცხოვრებას, სადაც არავითარი სიამოვნება და დროების გატარება არა სჩანს. რადგან დაუდგრომელი შრომის მეტი არა აგონდება-რა ჩვენს გმირს. იგი დაწრწის დილიდგან საღამომდის, არ ისვენებს, არაფრით არ გაერთობა. სოლომანას არ გაახსნია არავის, როგორც ვიცით, და ამიტომ ერთი სულიერი არსება არა სცემს მას ხმას, არავინა ჰკითხულობს მის ვინაობას, ისიც ვერ ვის ვერ შესჩივლებს თავის დარდებს, ვერავისთან ვერ გაიზიარებს თავის სიხარულს. ნათესავებს და ამხანაგებს მოკ-ლებული სოლომონი, დილიდამ საღამომდის დაუწყნარებელი, საჭმელ-სასმელშიაც ითმენს საშინელ და წარმოუდგენელ სი-ღარიბეს. ის მხოლოდ ერთ მშრალ პურზეა დამყარებული. ტანთ-საცმელი მისი ერთი რუსის ფარაჯაა, უბრალო პერან-გი, წაღებს მარტო ზამთრის სიცივე აცმევინებს, სხვა დროს კი ფეხ-შიშველობა იმას არათ მიაჩნია.

სოლომანის სული ისეთი მაგარია, რომ თავის უმაწვილობაში საკუთარი სურვილით ეძლევა ამ სიღა-რიბეს, ამ გაჭირებულ ცხოვრებას. იმას ფული საკმარისი შე-მოზდის, მაგრამ ის ცარიელ პურზე მაღლა არ ადის არას დროს—მისთვის არც დღესასწაული სუფევს, არც ერთი და არც მეორე. წლითი წლობამდის ის მისდევს ერთსა და იმავე ცხოვრებას, რომელიც ჩვენ გვაკვირვებს ამ ერთი ბეწო უმაწ-ვილში. ხანდისხან სოლომონის სულის ძალა იქამდის მიდის, რომ ცარიელ პურსაც არა სჭამს, თუმცა ფული არ კი აკლდება, დღითი-დღე ემატება. რა ნაირათ უხარიან ჩვენ ას-კეტს, როდესაც იგი რომელსამე დღეს დაივიწყებს გამრას

პურის სახელს და ორ დღეში ერთხელ მოუხდება მას პირის გასველება მშრალი პურით!

და ამ სახით, თუ მოთხრობაში აქამდის ჩვენ მიგვიტაცებდა მეჯღანუაშვილის უბედურება, აქამდის თუ ვემდუროდით ჩვენ ცხოვრებას, რომელმაც საშინლათ გაუჭირა საქმე პატარა ობოლს, სიღარიბის შვილს,—ამას იქით მოთხრობაში ჩვენი ინტერესი გადადის სრულებით სხვა კითხვაზე. ამას იქით ჩვენ განსაკუთრებით ვუყურებთ მეჯღანუაშვილის თავის გამომეტყებას, მისი ამტანი სხეული, გაუტეხავი და კლდესავით გული გვაკვირვებს ჩვენა. ერთის მხრით განცვიფრებული ვუყურებთ ასალგაზდის ასეთ წარმოუდგენელ ზნეობით ძალას, მეორეს მხრით, ჩვენ არ გვესმის, რათ იწუხებს სოლომონ თავსა, რათ ითმენს ასეთ საწყალურ ცხოვრებას, რათ იკლებს სიამოვნებას, რომელსაც ყოველივე სიკეთე მისთვის უფრო საჭიროა, ვიდრე სხვისთვის, ვისაც ნათესავები მაინცა ჰყავს, მეგობრები მაინც გააჩნია? რაიას ხდება მსხვერპლათ მშრალი პურისა და ასეთი დაუდგრომელი შრომისა, რომელსაც იმას ფული საკმარისათ მოუგია, რომელსაც იმას ცოტაიი მაინც სახსარი აქვს?

აგერ ერთი წელიწადი გადაავლო მეჯღანუაშვილმა ტფილისში. გამოჰკრა პარკში თავის ნაწვავ-ნადაგევი ოც-და-თუთხმეტი თუმანი მოგება და გასწია წითლიანისკენ თავის ლუარსაბ რაინდაძესთან, ვის სახლშიაც მან ბოვშობაში იპოვნა თბილი და მოყვარული ბინა. იმას უნდა, რომ თავის ფულს მისცეს ახალი გზა, ე. ი. სარგებლით გაასესხოს. რაინდაძეს მაშინ უჭირდა ფული. გაუხარდა სოლომანის ბედნიერება და თამასუქით ივალა მისგან ოც-და-ათი თუმანი. მასთან აჩუქა ერთი ურემი პური, წლის სარჩო, გულ-უხვმა თავადმა. სო-

ლომონს ძრიელ მოეწონა ეს საჩუქარი, სოფელში იყიდა კიდევ ხუთი თუმნის პური, ჩამოიტანა თბილისში და მაშინვე გაყიდა.

მეორე წელიწადს უფრო მოუმატა მხნეობას და წლის ბოლოს სამოცი თუმანი კიდევ ნაღდი წაიღო სოფელში გასასესხებლად. გლეხები დიდის სიხარულით იღებდნენ ვალს და სამ მანეთში ერთ კოდ პურს სარგებელს აძლევდნენ წელიწადში ჩვენ მეჯღანუაშვილს. მეორე წელიწადს ჩამოჰქონდა თბილისში პური და ჰყიდდა. ნაღდი კი ისევ ნაღდათ რჩებოდა გლეხებს ვალათ. თან კინტოობა და ჩარჩობა არ მოუშალა ჩვენმა გმირმა ასე, რომ მოგებას მოგება მოჰქონდა, ფული ფულს იგებდა, მრავლდებოდა, სოლომანსაც მხნეობა ემატებოდა. რამდენსამე წლის შემდეგ იმისი შემოსავალი ხუთას თუმანზე ზევით წავიდა წელიწადში. მთელი ქართლის სოფლები მისი მოვალენი იყვნენ. მაგრამ როდესაც იმისი თანხა ისეთი უშველებელი გახდა, რომ გასესხება აღარ შეიძლებოდა, მასთან სოფლელები ჭკვაში ჩაცვივდნენ და სარგებელს აღარ აძლევდნენ მეჯღანუაშვილს, ჩვენმა გმირმა თავისი ასპარეზი გადიტანა კახეთზე და ბორჩალოზე. კახეთში ღვინოებსა ყიდულობდა, ბორჩალოში საქონელს — ცხვარ-ძროხა-ცხენებით ვაჭრობდა. ამისა გამო მისი შემოსავალი უთვალავი იყო. სესხობას თავი დაანება სოლომანმა და ფული თავის ქოხში ორმოში ინახა. თვითონ ისევ ისე უბრალოთ ცხოვრობს, ისევ კინტოს ტანისამოსში გამოხვეული. მას ვერავინ ვერ იცნობს. ყველას ერთი საცოდავი ღლახა კაცი ჰგონია ჩვენი სოლომანი. მეირთამს ცოლსა, ეყოლება შვილები, გაიზრდებიან საშინელ სიღარიბეში და არც ამათ გამოუჩენს თავის ვინაობას, თავის ფულიანობას.

ამითა თავდება პირველი ნაწილის შინაარსი, მეორეში სულ სხვა ანგარიშს დავინახამთ.

## V.

წიგნის მეორე ნაწილში სრულებით გამოიცვლება დეკორაცია. ერთმა უბრალო გარემოებამ შესცვალა სოლომონის ფიქრები და მისი მომავალი. ეს იყო რაინდამის ლაქიის ნასხვა თბილისში. ამ ნასხვამ სოლომანი მოიყვანა გონზე.

იმან განიზრახა თავის საუნჯის გადაქექა, ფულების დათვლა. ჩაიკეტა კარები, აანთო სანთელი, ამოზიდა ხურჯინით თავისი ხაზინა და მიჰყო თვლას ხელი. კარგა ხანი თვალა. სოლომანს არ ეგულებოდა, რომ მისი სიმდიდრე ასრე ვრცელი იქნებოდა. მას ეგონა, რომ ბევრი, ბევრი ჰქონდეს შეკრული ოცი ათასი თუმანი, მაგრამ როდესაც გადათვალა ორმოცი ათასი და დაინახა, რომ დაუთვლელი ფულიც იმოტელაა; ნახა, რომ მისი ქონება სწორეთ ოთხმოცი ათას-თუმნამდის წასულა, მაშინ იმის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, გონება მისდილი, თითქმის შეშლილი მივარდა სოლომანი თავის საყვარელ ფულებს და ისე დაჰკოცნა მათ, რომ ასეთი გემოვნებით იქნება ზოგმა თავის გულის ყვავილსაც ვერ აკოცოს.

გახარებულმა აიღო ისევ თავის ოქროები და ჩაზიდა ხურჯინებით იმავე ორმოში, სადაც აქამდის ინახებოდნენ. გააქრო სანთელი და გააღო სახლის კარები.

ვინ იფიქრებდა, რომ ამ უბადრუკ ქოხში, სადაც ძაღლსაც კი არ ეცხოვრებოდა, ამოტელა შეძლება იყო დამარხუ-

ლი! ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ფული ცხარე ოფლით მოუჯრეფის ჩარჩუა სოლომანას, რომელიც უკანასკნელ მათხოვარზედაც ნაკლებ ცხოვრებდა და აცხოვრებდა თავის ცოლშვილს! რა გული უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ ამოტელა უზომო საცხოვრებელთან, გამოიმეტოს თავისი გიმნაზიაში მოსწავლე ვაჟი იმ სიმდაბლაზე, რომ სწავლის ბეჯით მოკიდების მაგიერ სპიჩკის კოლოფებით აყიდვინოს ამხანაგებში და გროშობით ფული აგროვებინოს! რა რკინის ხასიათით უნდა შეიჭედოს კაცი, რომ თავისი მეუღლე გზავნოს დილით-საღამომდის პარკით აკიდებული ბაზარში და საპონი აყიდინოს, როდესაც სასლი ოქროს ზოდებითა აქვს გატენილი! რა ნაირი დევის სული უნდა ჰქონდეს, რომ ამოტელა სიმდიდრე დამალოს ორმოში და თავის თექვსმეტი წლის ქალი კი ატაროს უბრალო ოსტატ დედა-კაცთან, რომელიც ერთ წელიწადს ანბანის კითხვას ვერ ასწავლის ადამიანს! გული შუაზე სქდება, როდესაცა ჰხედამთ ამ ვეშაპს, რომელსაც არათ მიაჩნია, რომ მთელი მისი სახლობა დაგლეჯილ-დაფლეთილი დაიარება, არასა სჭამენ ცარიელი პურის გარდა, მაშინ როდესაც ორმოში ოთხმოცი ათასი თუმანი კვნესის და არავინ კი არ იცის ესა, გარდა სახლის უფროსისა! უნებურათ მოზდის კაცს თავში ასეთი ანდაზა, რომ „ავი ძაღლი არც თითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.“

ბევრი მკითხველთაგანი დაიკრამს გულზე ხელსა და იტყვის: «აფსუს! ფლავი ვის უდგას და მადა ვისა აქვსო!» ბევრი ინატრებს, რომ თავგვათ გადაიქცეს და წეეპაროს ამ საიდუმლო ორმოს, გამოზიდოს იქიდგან წვრილ-წვრილათ იმოტელა საცხოვრებელი და მშრალზე დასოს მეჯღანუაშვილი, რომელმაც არ იცის სიმდიდრის გამოყენება.

მოიცადეთ, სიმდიდრეს ახლა კი მოეხსნება პირი, დიდხანს ვერ იქნება დაგუბებული, არ შეიძლება, რომ სადმე არ გადასკდეს ამოტყდეს ფულის მორევმა. მართლაც, შემდეგში ამ ფულს მიეცემა დანიშნულება.

მაგრამ როგორც მეჯლანუაშვილმა ნელ-ნელა დაიწყო ფულის შოვება და ბოლოს მილიონერი გახდა, აგრეთვე ნელ-ნელა, უჩქარებლივ, დიდის შესავლით მიჰყვება ფულების გამოჩენას. აქ გული არ გამიძლებს, რომ წიგნიდგან არ ამოვიღო მშვენიერი ადგილები, საიდამაც მილიონის პატრონი პირველად დაიწყობს სიუხვეს. აი ეს ადგილები:

„პირველად შემოვიდა ჩემი ქალი, თექვსმეტი წლის თამარ... მასამდისინ არ დამინახავს, რომ იმას ეცვა გახუნებული, მოკლე ჩითის კაბა, ჭუჭყიანი მიტკლის პერანგი და ქუსლებ დაყრევინებული ქოშები მიშველა ფეხებზე.

„თვალებიდამ ცრემლები გადმომცვივდა; დავინახე თამარ, მაგრამ გული შევიმაგრე და თამარს გავუცინე. თამარს გაუკვირდა ჩემი სიმხიარულე, რომელიც მხოლოთ სადმე თუ ნახავს იმას ჩემს პირისახეზე.

„— თამარ-ჯან! ჯერ პურს ნუ სჭამ, ვარგი სადილი მოგვა. ვუთხარი მე ღიმილით და მამობრივის გულ-მტკივნეულობით.

„თამარ დამაცქერდა და უნდოდა წაეკითხა ჩემს სახეზედ მიზეზი მხიარულებისა და მამობრივის ალერსისა. ვფიქრობ, რომ თავის სიცოცხლეში პირველად გაიგონა ალერსი!...“
91 გვერდი.

„მოვიდა ჩემი მეუღლეც. აქ არ ავწერ იმის ტანისამოსსა — ქალზე უკეთესად არ ეცვა — მაშინვე შევატყე, რომ ჩემი სოფიკო მოგებით უნდა მოსულიყო, ამიტომ რომ სხვა-

სე პარკი წმინდა ჰაერით წაიღო გასასეირნავათ დილით ადრე და ცარიელი პარკით-და მოიტანა;

„— ბიჭურუმ, სოფიო-ჯან! მიყვარხარ, მიყვარხარ! აბა მაგისთანა დედაკაცი უნდა, აი! ვუთხარი მე მხიარულად.

„როგორც თამარს, ეგრეთვე სოფიოს გაუკვირდა ჩემი ალერსი და სიმხიარულე, ნამეტნავად გაშლილი სუფრა, სავსე სხვა და სხვა საჭმელებითა, რომლის მზგავსი აღდგომასაც არა ჰქონია. სოფიომ ხმა არ გამცა; სოფიო ცალის თვალით გადმომხედავდა სოლმე... მუნჯსავით დაჯდა სუფრაზე, სჭამდა საჭმელსა ნაზათ, თითქო მტრისას იჯდა და მტრის წყალობას სჭამდა..." 93 გვერდი.

ჩვენ ნუ გავარჩევთ ჯერ ამ საშინელ სურათს. ჯერ ნუ ამოუშვებთ გულიდგან იმ განცვიფრებას, რომ მამა თავის ქალთან თუთხმეტი წლიწადი სცხოვრობს და დაბადებიდგან აქამომდე პირველად ალერსებს თავის შვილს, პირველად უცინის თავის თამარს. ნუ გავიფიქრებთ, რომ მისი ცოლი სოფიო სადილზე ისე ზის, თითქო მტრისას მიყოფებოდესო. ეს ადგილი მხოლოდ მისთვის მოვიყვანეთ, რომ დღეს მეჯღანუაშვილმა დათვალა თავისი ფულები და მხოლოდ დღეს შერცხვა უადამიანოთ ქცევისა თავის ცოლთან და შვილთან. მხოლოდ დღეს გადაწყვიტა—თბილი და სველი ლუკმა ეჩვენებინა თავის სახლობისთვის და დღეის იქით დაიწყო ფიქრობა, თუ როგორ უნდა მოიხმაროს თავისი ფულები. თითონ ეშინოდა ფულების გამოჩენა, რომ ქურდობა-ავაზაკობა არ დაეწამნათ და არ დაეჭირნათ ციხეში ჩვენი მეჯღანუაშვილი. დაიბარებს მაშინვე თავის შვილის მონათლულ ოჰანეზას და გამოუტყდება მას საკვირველ სიმდიდრეში. ნათლიისაგან გაიგებს ტყაპუჭიანი მილიონერი, რომ იმას ხელსაც არავინ ახ-

ლებს, რომ იმას სიხარულით მიიღებს თბილისი, როგორც თავის უკეთესს წევრსა და მოქალაქეს, ნათლად ურჩევს, რომ სოლომან ისაკიჩმა იყიდოს კარგი სახლი, მორთოს ყოველი სიმშვენიერით, საყვაროს მდიდრული ნივთებით და დაიწყოს ნამდვილი ხელ-გაშლილი ცხოვრება.

მადლობა ღმერთს! ძლივს ჩვენი მეჯლანუაშვილი გაიგებს, რომ ფულები ორმოში დასალპობად არ მოუგონია კაცსა. მაშინათვე დაუკვრამს ძვირფას ტანისამოსს თავის ცოლ-შვილს, თითონაც მოირთვება ლამაზათ, დაიკიდებს ოქროს მეწყვს, შეიტანს თავის ფულებს ბანკში, და ამას იქით სოლომან ისაკიჩ მეჯლანუაშვილში ვეღარ იცნობენ მისი თანა-მოძმე ჩარჩუა-კინტოები წინანდელ სოლომანს.

ამას იქით მეჯლანუაშვილი სანთელივით გამოანათებს ჩვენს ქალაქში. ეხლა ის გვერდში ამოუდგება ყველას, ვინც ქალაქის მზეთ ითვლება. აქ მეჯლანუაშვილი გაზდგამს განზე ფესსა და აბა, კედლებო, გაიწით! ეს ის სოლომანა აღარ გახლავთ, რომელიც აქამდის ფაცხაში მკრებოდა ტურასავით. ეხლა ესა ბრძანდება სოლომან ისაკიჩ მეჯლანუაშვილი, რომლისთვისაც მთელი გოლოვინის პროსპექტი ვიწროა... მართალია, მაინც ჩვენი გმირის გვარი ცუდი სიტყვიდგან არის შემდგარი, მსმენელს თვალ-წინ წამოუდგება მისი მეჯლანე მამაპაპა, და ამიტომ, რასაკვრელია, სოლომან ისაკიჩსაც უჩოთირება, სცხვენიან; მაგრამ თითონა ბრძანდება კიცა,—კაცი და მერე როგორი კაცი!

გვარის ცუდი ჩამომავლობა იმას რას უზამს? მით უმომატებულად, რომ მარტო იმას ხომ არა აქვს ასეთი სათაკილო გვარი, რომელიც აშკარათ ამტკიცებს დაბალ ჩამომავლობას! მომატებულ ნაწილს თბილისის მდიდრებისას ასეთი და

ამაზე ცუდი გვარებიცა აქვს, ამიტომ რომ ყველას კინტოობიდგან დაუწყვია და ბოლოს „კაცათა ქცეულა, რაღა!“ ან გვარი რას მიქვიან, თუ ჯიბე ფერდებ-ჩაცვივნილი არ არის! შენ ფული თქვი, თორემ დანარჩენი, რაც გნებავს, ყველაფერი შენ ხელთ არის. ასე ფიქრობს ყველა თქვენი მაყურებელი, უფალო ს. ი. მეჯღანუაშვილო. მაშ თქვენ ვილასი და რილასი გრცხვენიათ და გეთაკილებათ? ყველას თქვენი მოკრძალება შიში და სიყვარული აქვს. თქვენ იფიქრეთ სიდიდეზე—პატარაობას და სიცუდეს არავინა გწამებსთ.

აი, უმთავრესი საგანი რომანისა. მე იმიტომ გარდავეცი მკითხველებს შინაარსი ამ წიგნისა მეტად ვრცლად, რომ, ჩემის აზრით, ეს შინაარსი ღირსია დიდი ყურადღებისა და დაწვრილებითი გარჩევისა, მით მომეტებულად, რომ ამ ფრიად ღირსეულ საგანზე ჩვენ მწერლობაში ორიოდე სიტყვის მეტი არა თქმულა-რა, თუმცა ჩვენ მწიგნობრობას ამაზე უმჯობესი არა აბადია-რა...

(შემდეგი იქნება).

სტ. ქრ—შვილი.

P. S. შემდეგ იმ ნიჭისა, რომელიც გამოიჩინეს ჩვენმა „კრიტიკოსებმა“ და რომელიცა მდგომარეობს იმაში, რომ მათ არამც თუ ნაწერის აზრის გაგება არ შესძლებიათ, არამედ თითო სიტყვის გაგებაც გასჭირებიათ, აუხსნიათ სურვილისამებრ თვისისა ჩვენი ნათქვამი და ამიტომ დაუმახინჯებიათ,—მე მინდა გაუწიო მათ სიკეთე და გავაგებინო შემდეგი: სადაც ამ სტატიაში ნახმარი მაქვს სიტყვა „ჩვენ,“ აქ ამ სიტ-

ყვით მე მინდა გამოვსთქვა საზოგადოთ ჩვენი ხალხის შეხე-დულობა საგანზე და არა ჩემი აზრი. საკუთრათ მე მეკუთ-ნის ის აზრი, რომელშიაც ნახმარია პირველი პირი ნაცვალ-სახელისა მხოლოობითი რიცხვით—„მე." ასე არის მიღებუ-ლი ლიტერატურაში, მეტადრე როდესაც უნდათ დაცინვითი კი-ლო მისცენ ნაწერს. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ჩვენმა მკით-ხველებმა კარგათ იციან, გარდა ჩვენი საბრალო „კრიტიკოსებისა," რომლებისთვისაც საჭიროთ დავინახე ასეთი ანბანური ცნობა მწერლობისა შემეტყობინებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ-ჯელ არ გამამეორებინებენ ამისთანა გაკვეთილების მიცემას, და ამას იქით მაინც ისრე არ შეირცხვენენ თავებს, როგორც „იმედის" პირველ ნომრის საცოდავ, სასაცილო და ამიტომ შე-წყნარებელ „გარჩევაში" გამოიჩინეს. არ შეიძლება — არ იპ-რიანოს ღმერთმა და ჩვენი მწერლების თავებზე სამუდამოთ ხე-ლი აიღოს; არ შეიძლება არ გადმოჰხედოს მათ მოწყალის თვალით და ერთი ცვარი ტვინი მაინც არ ჩაუშვას მათ გოგ-რაში და ნახევარ ცვარი სინიდისი მათ გულში. ნახვამდის, „კრიტიკოსებო," ღმერთმა შეგინდოთ შენაცოდარნი თქვენნი, ნებსითნი და უნებლიეთნი!..

ს. ჭ.

# ერთი ჩვენი მწერლობის სენი.

მწერლობა არის გონებით, გრძნობით და მოქმედებით ხალხის მაღლა ამწევი ძალა: იმან უნდა გახსნას დახშული გონება ხალხისა და გააცნოს მას ყოველივე, რაც კი იმის გონივრულ არსებისათვის დასაკმაყოფილებლად საჭირო არის; უნდა ჩანერგოს მის გულში ის გრძნობანი, რომლებიც საჭირონი არიან მის გასათბობლად და ზნეობით ასამაღლებლად; უნდა დააყენოს იმ გზაზედ, რომელსაც ნამდვილად შეეძლოს იმის მატერიალურად კეთილ-მდგომარეობისადმი მიყვანა. სხვა ნაირად ვსთქვათ, მწერლობამ უნდა გაუსწოროს ხალხს ხასიათი, უჩვენოს მას მისი ნაკლულევანებანი და მათგან განმთავისუფლებელი საშუალებანი.

მაშასადამე, რამდენათაც მწერლობა ვრცელია რომელსამე ხალხში, იმდენათ უფრო ბევრს სიკეთეს უნდა გამოველოდეთ მისგან. „ერთი ჭკუა კარგიაო," ამბობენ რუსები, „და ორი კიდევ უკეთესიო." დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ერთ ჟურნალს ანუ ერთ გაზეთს იმდენი სიკეთე არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს, რამდენსაც მოუტანენ ორი ჟურნალი ანუ ორი გაზეთი. ეს იმიტომ, რომ ერთი მეორეს შეუნიშნავს ნაკლულევანებას, შეუსწორებს მიმართულებას, შეხედულებას და ასე ერთმანეთის დახმარებით უფრო ცხადათ და სწორეთ გამოიკვლევენ იმ საგნებს, რომლებიც კი შეეხებიან ხალხის გონებითს, ზნეობითს და მატერიალურ მდგომარეობებს, მათს

გაუმჯობესობას და მაღლა აწევას. რაღა თქმა უნდა, რომ რამდენათაც უფრო ბევრი ჟურნალ-გაზეთები იქნებიან ხალხში, იმდენათ უფრო მეტს სიკეთეს მოუტანენ მას ისინი.—აქედგან ცხადათა სჩანს, რომ, თუ კი ჩვენის ხალხისათვის სიკეთე გვსურს, თუ კი ცოტათაც არის შეგვტკივა მისთვის გული, უნდა სასიხარულოთ მიგვაჩნდეს ყოველი ახალი ჟურნალის ან გაზეთის დაბადება, ყოვლის ღონის-ძიებით უნდა ხელს უწყობდეთ მათის განმრავლებისადმი ლტოლვილებას. ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ასე და არა სხვა ნაირათ მოვიქცეთ, იმიტომ რომ ჩვენ—ქართველები, რომლებიც შევადგენთ კავკასიის აქეთა მხარის უმთავრეს ხალხოსნობას, სალიტერატურო საქმეში მოკლებულნი ვართ არა თუ უმთავრესობას, არამედ სხვა ხალხებთან თანასწორობასაც. ჩვენ დედა-ქალაქ თფილისში სომხური და, განსაკუთრებით, რუსული, თუ ჟურნალები არა, გაზეთები მაინც ბევრათ აღემატებიან რიცხვით ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც არიან მხოლოდ სამი ანუ, უკეთ ვსთქვათ, ორი—„დროება-ივერია“ და ეს ჩვენი ახალი ჟურნალი „იმედი...“ ვიმეორებთ, სასიხარულო უნდა იყოს ჩვენთვის ყოველი ახალი ჩვენ ენაზედ ჟურნალ-გაზეთის დაბადება და მოვალენი ვართ ამ გვარ საქმეს ხელს უწყობდეთ.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრით ჩვენს მწერლობას თავი სტკივა, გული ერევა და ტანი უცახცახებს. როგორათაც ყოველი თავ-მინებებული ავათმყოფობა, ეს ჩვენი მწერლობის სენიც თან-და-თან მძლავრდება და მით უფრო დაუყოვნებლივ ითხოვს წამალს... თვითეული ექიმი, სანამ წამალს მისცემდეს ავათმყოფს, სცდილობს ხოლმე გაიგოს, თუ რაში მდგომარეობს ავათმყოფობა; რა მიზეზისაგან წარმოს-

დგა და რა გარემოებაებმა განამძლიერეს. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ შესახებ ზემო-აღნიშნულის ჩვენის მწერლობის სენისა: ჯერ უნდა აუწეროთ თვითონ ეს სენი, შევიტყოთ მისი მიზეზი, გადავხედოთ იმ გარემოებაებს, რომლებითაც იმან ჩვენ მწერლობაში ფეხი მოიკიდა, და შემდეგ, შეძლების დაგვარად, მივცეთ მას წამალი...

1866 წელში დაარსდა თბილისში გაზეთი „დროება“ და აქამდისინ განაგრძობს ცხოვრებას. ამ გვარი სიკეთე ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, გარდა „ცისკრისა,“ თუმცა საკმაოდ დაარსებულან სხვა-და-სხვა დროს ამ ოცის წლის განმავლობაში, არ ღირსებიათ.

ხანგრძლივი სიცოცხლე „დროებისა,“ რასაკვირველია, სასიამოვნოა ჩვენთვის; მაგრამ ვაი-ვაგლახი ის არის, რომ ამ გაზეთს, სხვა ნაკლულევანებაებთან, რომლებზედაც იქნება თავის დროზედ ლაპარაკი ჩვენ ჟურნალში, მთლად ძვალში და რბილში გამჯდარი აქვს ის სენი, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ. ჩვენ კიდეც ვფიქრობთ და არც უსაფუძლოა ეს ჩვენი ფიქრი, რომ მიზეზი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების განსვენებისა, თუ სულ ყველასი არა, ზოგიერთის მაინც, იყო „დროება.“ ჭკუა-შერყვილივით დაუწყო ამ გაზეთმა დევნა ყოველ ქართულ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, როგორაც სდევნის განურჩევლად ბრალიან და უბრალო კერძო პირებს; იმათ წასახდენათ არა ზოგავდა და არ ზოგავს არავითარ საშუალებაებს: მათ სიტყვა-აზრების დამახინჯებას, ლანძღვა-გინებას, ჭორს, ცილის-წამებას, უსაფუძვლოთ კიცხვას; ასე გამინჯეთ, ხშირათ ცრუ-წინასწარ-მეტყველობაზედაც — მკითხაობაზედაც კი თავს სდებს ხოლმე, თუმცა, სასიამოვნოდ ჩვენდა, უმეტეს ნაწილათ პირში ჩალა-გამოვლებული რჩება ხოლმე, რომ ეს სიტ-

უგები „დროებისადმი“ სიმტრეში არავინ ჩამოგვართვას, რო-გორ აზრსაც, უეჭველია, ამის შემდეგ, ეს გაზეთი დაუყოვნებლივ გაავრცელებს ხალხში, ჩვენ გვსურს წარმოუდგინოთ მკითხველებს ნამდვილი ფაქტები; მაგრამ შორიდგან კი ერ დავიწყობთ საქმეს, რომ ნამეტანათ არ შევაწუხოთ ისინი. არც საჭიროა, სწორე მოგახსენოთ, ნამეტანი ფაქტების გაჭიანურება შესახებ „დროების“ მახინჯ მიმართულებისა საზოგადოთ და იმის შეუსაბამო ყოფა-ქცევისა კერძოთ, იმიტომ რომ, ეჭვი არ არის, ჩვენმა მკითხველებმა, ცოტათ არის, თუ ბევრათ, იციან იმის ავან-ჩავანი...

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ამ ორი წლის წინათვე განვიზრახეთ ამ ჩვენი ჟურნალი „იმედის“ გამოცემა და ვითხოვეთ მართებლობისაგან ნება-რთვა. იმის მაგიერ, რომ ან სულ გაჩუმებულიყო „დროება“ ამაზედ, რადგანაც ჯერ გამოცემის უფლება არ მიგვეღო, ან არა და შეეტყობინებინა თავის მკითხველებისათვის ეს ამბავი, როგორათაც საზოგადოთ სასიამოვნო, იმან, ჩვეულებისამებრ თვისისა, გაალო პირი და, იმ განზრახვით, რომ წინათვე დაეკარგა ახალი ჟურნალისადმი საზოგადოების მხრით ნდობა და თანაგრძნობა, გაიძვერულ კრეჭით და ჩვეულებრივის „შევიტყეთ“-ი და „მაგრამ“-ით აცნობა მათ, რომ ამ მომავალი ჟურნალისაგან არავითარ სიკეთეს არ უნდა მოველოდეთო, რადგანაც ბიჭ-ბუჭებისაგან გამოიცემა და არავინ გამოჩენილი მწერალთაგანი იმაში არ მიიღებს მონაწილეობასაო...

ეს „დროების“ სენი გადაედო ჟურნალ „ივერიასაც“ და ამანაც, თანახმად „დროებისა,“ მორთო ლექსათ კიცხვა მომავალი ახალი მწერლებისა და თითქმის გადაამეტა კიდეც იმას, ვირებათაც კი ახსენა. ამ დროიდგან ერთმა მეორეს

მისცეს ბანი, სხვა-და-სხვა თავიანთ განყოფილებებში, და ჯერ კიდევ ხორც-შეუსხმელ ჟურნალს ტყავის ძრობა დაუწყეს. ღმერთმა უშველოს რუსულ გაზეთის «Обзоръ»-ს! ცოტა არ იყო იმან ჩააკმენდინა ხმა ამ არავისთან მეომრებს და ლაზათიან-ნათაც მოიკუმშა. გაჰყარდა ხმაც, ვიდრემდე ,,იმედის" გამოცემაზედ ნება-რთვას არ გვაძლევდნენ. ეს ხმა დაიყუჩებული იყო, რა-საკვირველია, იმაზედ, რომ ტიფლისის ჯარავითაში პასუხი ჩვენ არ გამოგვდიოდა. დაუშოშმინდათ გულები ,,დროებას" და ,,ივერიას" და, მომავალში უფრო შეძლებულ ბრძოლისათვის ამ გვარ მოვლინებასთან, განიზრახეს შეერთება და კიდეც აასრულეს თავიანთი განზრახვა (აბა სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო?). ,,ძველი ივერსაო, მადლი ღმერთსაო," ამბობს ანდაზა, — რას სხვა-და-სხვა მიმართულებანი დააბრკოლებდნენ, თუ ღმერთი გწამსთ, მათ ერთად შეაკავშირებს?!..

მოსწყინდათ ,,იმედის" დიდი ხნის ლოდინი იმ პირებს, რომლებიც გვპირდებოდნენ ამ ჟურნალში თანამშრომლობას, და განიზრახეს სხვა სახელით და სხვა პირის რედაქციის ქვეშ ქართული ჟურნალის გამოცემა; მისცეს ნიკო გაბაშვილის სა-ხელზედ მართველობას თხოვნა და მალეც მიიღეს ჟურნალი ,,მიმომხილველის" გამოცემის უფლება. მაინც და მაინც აღარ იმღერა, თავიანთ ,,დროება-ივერიას", და გაუყუჩდა გარემო-ებას; გაუყუჩდა, მაგრამ ბოღმით კი გული სავსე ჰქონდა. გა-იმართა ახალ ჟურნალზედ ხელის-მოწერა, დაიწყო პირველი ნომრის პირველი სტატიის ბეჭდვაც; მაგრამ როდესაც ,,მი-მომხილველმა" ამ მდგომარეობამდის მიაღწია, იმას დახვდა ის, რასაც რუსები ეძახიან ,,მსხვალ-წერტილი განებას": მოხდა რედაქციაში რაღაც განსხვავებულება, ერთის თანამშრომელთაგა-ნის წყალობით და მეოხებით, და შეიქნა ჟურნალის საფუძ-

ველი. „დროებამ“ ყურები ცქვიტა; მაგრამ, სამწუხაროდ მის და, ბედის წერამ, თითქო ამას მოელოდაო, საქმე სხვა ნაირათ დაატრიალა: მოულოდნელათ გავიგეთ, რომ მართებლობამ ჟურნალი „იმედის“ გამოცემის უფლებას მოგვცა. ერთი ჟურნალის სახელიც გულს უწუხებდა „დროება-ივერიას“ და ორი კი გამოეჭიმნენ თვალ-წინ! ახლა კი ბოღმა ყელში მოაწვა და, თუ ამ მდგომარეობაში პატარა დიდ ხანს დარჩენილიყო, თქვენი მტერია, დაისჩობოდა...

შეებრალა ბედის-წერას საქართველო და ჯერ მოუსპო სამუდამოთ ეს ერთად-ერთი მწერლობის ნაგლეჯი „დროება-ივერია:“ სამწუხაროდ ჩვენდა და სასიამოვნოდ მისა, ნინო გაბაშვილისამ გამოაცხადა, რომ ის აღარ გამოსცემს ჟურნალ „მიმოხილვას.“ აღტაცებაში მოვიდა „დროება“ ამ შემთხვევით და, გაქვსთ სიცოცხლე, იმან იყარა დაბადებამდის, ბებიის წყალობით, მომკვდარ „მიმოხილვაზედ“ თავისი ბოღმა, გულის ჯავრი, თავის წარსული წლის № 258-ს მოწინავე სტატიაში, დაუვიწყარ „დაბადებაბამდი სიკვდილში!“ აქ კი აღარ დაგვაჯერა თავის ჩვეულებრივს „შევიტყეთ“-ს და „მაგრამ“-ს; რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, შეეცადა დიენასვებინა თავის მკითხველებისათვის, რომ ის ძალიან შორს მჭვრეტელია, ნამდვილი წინასწარ-მეტყველი. შემდეგ პოუნათლავი „მიმოხილვის“ ანდერძის აგებისა, „დროებამ“, სიხარულისაგან კანკალით, წარმოსთქვა შესხმა, რომელშიაც გააცნო მათ ისტორიული ქართულ ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობა, შეატყობინა, რომ მიზეზი მათის გაუქმებისა მდგომარეობდა მათ გამომცემლების უქონლობაში და უნიჭობაშიო, მაინიჯა ამ, შემლების-და-გვარად, სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეთ შეჩვენება, გაჰკენწლა მაშინ მომავალი

ეს ჩვენი ჟურნალი „იმედიც“ და დაიწყო წუწუნი იმაზედ, თუ რა ვნებას და ზარალს აძლევს ლიტერატურას ის გარემოება, რომ ახლად დაბადებული ჟურნალი ანუ გაზეთი ბევრი-ბევრი ერთ-ორ წელიწადს გასძლებს ხოლმე და შეიძლება, რომ დაბადების უმალვე კი მიიცვალოსო. კარგია, თქვენმა მზემ! ბატონ-ყმობა გადავარდა და ახლა ლიტერატურაში ნებავთ ამ გვარი საქმის შემოყვანა! შეუძლებელს არ შეეძლო, ბატონ-ყმობის დროს, სიტყვის ამოღება; არც ახლანდელს ჩვენს ლიტერატურაში უნდა ჰქონდეს შეუძლებელს თავისუფლად ხმის ამოღების ნება, „დროების“ აზრით. ჩვენ წინ გვინდა წასვლა, სიხარულით მივილტვით მომავლისაკენ და თავის ამ გვარ საქმეში მოწინავეთ მთვლელი „დროება“ რატომ ასე, ოჩანი ცხენივით, უკან იწევს?! ნეტავი თუ რა საბუთით ამბობს ამას. ალბათ იმის რედაქტორს სამზღვარ გარეთ და რუსეთში უნახავს ზოგიერთი შეძლებით გაძლიერებული რედაქციები და იმაზედ კი სრულებით არ გარკვეულა, რომ გამოეკვლია, ამ გვარივე შეძლებით დაიწყეს იმათ საქმე თავდა-პირველათ, თუ არა. თითონ „დროებას“ კი ძალიან შეძლებული შეუდგა თავის საქმეს? ვითომ ეკიდა ზურგზედ თეთრით სავსე გუდა?! საეჭვო არის; ჩვენ გუდა ჭადებით და ჯღანებით სავსე კი გვინახავს და ფულებით კი, სწორე მოგახსენოთ, თითქმის არასოდეს.

რაც შეეხება იმას, ვითომც ჩვენი განსვენებული ჟურნალ-გაზეთების გაუქმების მიზეზი მათ დამაარსებლების უნიჭობა და საზოგადოთ ლიტერატურული მოუმზადებლობა ყოფილიყოს, ამაზედ ლაპარაკი იმდენათ საჩოთიროა, რომ გვიკვირს, როგორ ამოიღო ამაზედ ხმა „დროებამ“! შთამომავლობას, მხოლოდ შთამომავლობას შეუძლიან მიუდგომლათ

დაფასება იმისა, თუ რომელი „დროების“ და განსვენებული ჟურნალ-გაზეთების მთავროსნებში უფრო უნიჭო იყო? ჩვენ კი ძალიან საჩოთიროთ მიგვაჩნია ჩვენი თანამედროვე გაზეთისათვის ამ საქმის შესახებ პირუთვნელი სიტყვის წარმოთქმა.

ის გვარწმუნებს, რომ ზოგიერთი ჩვენი ჟურნალი ანუ გაზეთი ერთი-ორი წელიწადი მხოლოდ გასძლებს ხოლმე, ან კიდევ უფრო ცოტას, სრულებით არავის არ მიაჩნია საძრახათ და „დროება“ ტყუილათ ჰხვევს ამ თავის საკუთარს აზრს ჰსაზოგადოებას. საზოგადოებამ ძალიან კარგათ იცის, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.“ ვის რას აძლევს შენ ხანგრძლივს სიცოცხლეს, თუ კი ეს შენი სიცოცხლე უსარგებლოა ქვეყნისათვის? ვის რათ უნდიხარ, თუ კი შენი დიდი ხნის სიცოცხლით მხოლოდ ობს უკიდებ ისეც უფერულ ქართველების ცხოვრებას? ნუ თუ ორის ან ერთის წლის ცხოვრება იმისთანა ჟურნალის ანუ გაზეთისა, რომელიც სტოვებს კეთილს კვალს ხალხის ცხოვრებაში, უმჯობესი არ არის იმ გაზეთის ცხოვრებაზედ, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში ჭორიკანაობის მეტს არაფერს არ აკეთებს?...

ამან ყველამ ჩაიარა, „დროების“ ნაწერებმა, შემდეგ მათის წაკითხვისა, აასრულეს თავიანთი დანიშნულება... წარსულის თვის 18-ს, სამწუხაროდ „დროება-ივერიისა“, გამოვიდა № 1 ჩვენი ჟურნალი „იმედისა“. ლაპარაკით დაუსრულ ბეჯითედ „დროება-ივერიის“ თანამშრომლებს ეს გარემოება, მაგრამ საზოგადოების დასანახვებლათ, გამოაცხადეს, „დროების“ ამ წლის მე-39 ნომერში, მისი შინაარსი და, მის ვარგისობაზე ეჭვის გასაღვიძებლად მკითხველებში, დაწერდნენ მეტ მცირე ხანში დალაგებით მოლაპარაკებას შესახებ ამ ჟურნალისა.

ჩვენც დაუწყეთ რასაკვირველია ლოდინი და ვფიქრობდით, „აცა ვირი სეხედ გაგა, თუ არაო." აკი ღმერთი გაუწყრა და ვერ გავიდა! დალაგებით მოლაპარაკების მაგიერ, „დროება-ივერიამ" მიაქცია თავის დავრდომილი ყურადღება „იმედის" საზოგადოებაში გავრცელების საშუალებას, სტატიების ვითომც ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ ადგილებს და, ჩვეულებისამებრ თვისისა, მოჰყვა ლანძღვა-გინებას აქ ახალად დაარსებული ჟურნალის თანამშრომლებისას, მათ სიტყვა-აზრების დამახინჯებას და სხ.

„დროების" ამ წლის მე-40 ნომერში ერთი მის თანამშრომელთაგანი ამოუყვარა უგან მკითხველებს (ალბათ „დამალიანას" თამაშობდა, რადგანაც საზოგადოთ მის თანამშრომლებს ბევრი სხვა-და-სხვა ბავშური თამაშობა სცოდნიათ) და „წერილში რედაქციისადმი" დაიწყო ქადაგება იმაზედ, თუ რა უფლება ჰქონდათ „იმედის" მოლავწყეთ, რომ პირველი ნომერი თავიანთ ჟურნალისა გაუგზავნეს უფასოთ თითქმის ყველა განათლებულ ქართველებსაო, — ეს საშუალება შეესება გაჭრობას და არა ლიტერატურასაო; რედაქციისაგან ბოდიშის მოხდა მკითხველებთან ცხადათ ამტკიცებს გაგზავნილ ნომრის სისუსტესაო, ლიტონის სიტყვით შეატყუებინა მკითხველებს ამ პატრიოტის ღირსმა პირმა. შეგვეცოდა ეს აზრით ავადმყოფი და იმავე გაზეთის მე-41 ნომერში რამდენიმე აბი ჩავაყლაპეთ, რომლის რეცეპტიც ჩვენს მკითხველებს, უეჭველია, გაცნობილი ექნებათ. ღმერთმა ჰქნას და წამლათ გადაექცეს ჩვენს პაციენტს და დაიხსნას უდროვოთ ტვინის ავადმყოფობისაგან! აქ ერთი შენიშვნა გვინდა წარმოვსთქვათ, რომელსაც, რასაკვირველია, „დროებაში" ადგილი არ ექნებოდა და უბედურებაა, რომ „დროება-ივერიის" თანამშრომლები სხვის

თვალში ბეწვსა ხედვენ და თავიანთსაში კი ჯირკსაც ვერა?! „იმედის" რედაქციას ჰკიცხავენ იმაზედ, თუ რათ იხმარა ზემო აღნიშნული საშუალება თავის ჟურნალის გასავრცელებლად, ხელის-მომწერლების მოსაპოვებლათაო; თითონ კი ყურები გაგვიბრუეს განცხადებით, თუ მრთელი წლის „დროება-ივერიის" ხელის-მომწერლები, წლის დამლევს, უფასოთ მიიღებენ ალბომს სურათებითაო, რომლებსაც დაგვიხატავს უფასოთ უ. ბერიძეო. ნეტავი თუ რას ეძახიან ისინი ამ საშუალებას, სხვის უფასოთ შრომის თავიანთ ჟურნალ-გაზეთის გასავრცელებლად ხმარებას?! რას ნიშნავს იმათის აზრით ის, რომ „ივერიის" ყდაზედ ყოველთვის აცხადებენ—ჟურნალ-გაზეთის ფული ხელის-მომწერმა „დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაშიო. ნუ თუ აქ არ გამობჭყვივის ის ვაჭრული ანგარიში, რომ ფულს ცოტაც არის სარგებელი მოაგებინონ?! მექოთნეს საითაც უნდა, იქით გამოაბამს ქოთანს ყურსაო, ამაზედ იტყვიან.

პირველი მარტი მდგომარის წლისა საზოგადო და რუსეთის ისტორიებში ჩასაწერი შეიქნა: ამ დღეს მოჰკლეს რუსეთის თვით-მპყრობელი ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე II განმათავისუფლებელი. ჩვენი მწერლობის ისტორიაშიაც შესანიშნავათ დარჩება ეს დღე, რადგანაც ამ დღეს „დროებამ" და „ივერიამ" ერთხმად დაამტკიცეს თავიანთი გონებით და ზნეობით მახინჯობა და იმედის უარყოფა.

ძალიან საჩოთირო სიტყვებით გამოჩოჩდა უ. აკაკი „დროების" ამ წლის მე-44 ნომერში „იმედთან" და მის თანამშრომლებთან საომრათ, საჩოთირო სიტყვებით, როგორათაც ამ უკანასკნელებისათვის, ეგრეთვე და უმეტესათ თა-

ვისთვის და თავის ამხანაგებისათვის, კაცი, რომ მოხუცდება, ბავშვის ხასიათს მიიღებსო, იტყვიან. სამწუხაროდ ჩვენდა, ბავშური ხასიათის ნიშნები თან-და-თან ემატებიან უ. აკაკის და მის მოხუცებას მოგვითხრობენ! „იმედზედ“ სალაპარაკოთ გამოდის და, პირველად ყოვლისა, ბავშვების სხვა-და-სხვა თამაშობაზედ ბაასობს; განსაკუთრებით იმას მოსწონს „დოღობია,“ რომლის აღწერასაც რაღაც აღტაცებით შედგომია. ჰო, მივხვდით ამ აღტაცებას: „იმედის“ თანამშრომლები გამოჰყავს დოღებათ! ეს მით უფრო საფიქრობელია, რომ თითონ „იმედს“ კაფიეთათ დაარქვა „ხოხორიკი,“ გამოუკოპიტებელი ნამორი. თუ „იმედის“ თანამშრომლები, როგორც ახალი მწერლები, დოღები არიან, ნეტავი თუ თითონ აკაკი და მისი ამხანაგები, როგორათაც ძველი მწერლები, ვინ უნდა იყვნენ?! უეჭველია დედა-დოღები უნდა იყვნენო, ყველა იტყვის ნამდვილი ანალოგიით. ამაზედ იტყვიან აი, „კაცი რომ თავის-თავს უზამს, ისე მტერი არ მოეკიდებაო!“ განა ასე თავის შეურაცხყოფასაც იქნება კაცისაგან, თუ კი იმაში დახშული არ არის ადამიანობა?! მაგრამ რა გაეწყობა, კაცი თავისუფალია შესახებ საკუთარის არსებისა! შესახებ სხვის არსებისა კი რა მოგახსენოთ! ან როგორ მოუვიდა უ. აკაკის „იმედის“ თანამშრომლების დოღებთან შეთანასწორების აზრი? დოღი არის ისეთი შინაური ცხოველი, რომელიც გაურჩევლათ ყველაფერში დინგს ურევს და კმაყოფილი ღრუტუნებს თავის-თვის, როგორათაც საზოგადოთ „დროების“ მეფელეტონეები. „იმედის“ თანამშრომლები ღმერთა დაიხსნას ამ გვარის საქმისაგან! იმათი დევიზია: „სიმართლე და ჭეშმარიტება.“ მოხსენებული აზრის სიმახვილო-

ქათვის ეს აკაკი, რასაკვირველია, ღირსია საჩუქრისა და, როგორათაც პოეტს, ვასაჩუქრებთ შემდეგის ლექსით:

მოგდურების ჩანგური,
მიჰყვე ახლა სიელი სტვირსა,
თორემ მოგელის პანდური,
გაგიმურვენ მრთლად ცხვირ-პირსა.

ამასთან საჭიროთ ვრაცხთ ვაცნობოთ მკითხველებს, რომ „მახლ-და-მალ“ კი არა, როგორც აკაკი ამბობს, სრულებით წინააღმდეგ ამ გვარის მოქმედებისა, გამოვიდა „იმედი.“ „დროება-ივერიის“ რედაქცია ძალიან სცდილობდა, რომ არ დაბადებულიყო ეს ჟურნალი, როგორც ჩვენ შევიტყეთ, რადგანაც უიმედობაში უფრო კარგათ ურევდნენ იმის წევრები ხელებს და ისეც დაბრმავებულ ხალხს კიდევ უფრო მიეაბრმავებდნენ, თავიანთ სასარგებლოდ და მათ საუბედუროდ. მაგრამ რაღაც ბედმა იმუშავა და, მათთვის გულზედ ეკლათ დასასობათ, განხორციელდა „იმედი!..“

ეს ყველა ასე, მაგრამ რატომ უკვირს ეს აკაკის, რომ „მღვდლის შვილები“—„დიაკვნები“ ჰლიტერატურო ასპარეზზედ გამოსულან? ეს ხომ უეჭველათ ასე უნდა ყოფილიყო. მაშ ვის შეეძლო აკაკის და მის ამხანაგების მწერლობის ანდერძის აგებაო ყოველივე წესის აგება მხოლოდ მღვდელ-დიაკვნებს შეუძლიათ, და ბედის-წერამაც საქმე ისე მოიყვანა, რომ „იმედში“, რომლის დანიშნულებაც არის—დაჰსთრგუნოს ყოველგვარი ჭორებითი, ჩნებითი და მოქმედებითი მასხრობა; მაშასადამე მწერლობისაც მიიღებენ მონაწილეობას „დროება-ივერიისაგან“ მოძულებული „დიაკვნები“. რა საძრახისია, თუ ღმერთი გწამსთ, „მღვდლის ნაშიერობა“, მწერლობაშია თუ ცხოვრებაში, რომ ასე მომაკვდინებელ ცოდ-

გათ მიაჩნიათ „დროება-ივერიის" თანამშრომლებს. ნუ თუ ჯერ არ გაუგიათ, რომ მწერლობაში ზოგიერთ მღვდელის შვილს ისინი მუხლზედაც ვერ მოსწვდებიან?!.. ვურჩევთ შეისწავლონ საზოგადო მწერლობის ისტორია, რომ ამ გვარი შეცდომაების წამოროშვა აღარ შეეძლოსთ, თავიანთი თავების შეარცხვენათ და მწერლობის დასამცირებლად...

აბა ერთი ახლა გადავხედოთ იმას, თუ რა ნაკლულევანებები უპოვეს „დროებამ" და „ივერიამ" „იმედის" თანამშრომლებს ამ ჟურნალის პირველ ნომერში.

პირველი საგანი, რომელიც „დროება-ივერიის" თანამშრომლებს ყველზედ დასდგომიათ, არის „თუჯი", როგორც სიტყვაც, ავტორის უნებურათ და მის აქ არ ყოფნაში, ჩაუმატებია კორრექტურის გასწორების დროს. გვიკვირს, რომ ამ თუჯიულაპიებს არ მიუქცევიათ თავიანთი ყურადღება იმ კორრექტურულ შეცდომილებაებისათვისაც, რომლების წყალობითაც ზოგი ასო წაღმა ზის და ზოგი კიდევ უკუღმა, ზოგი „აპლაკულათ" და ზოგი „დაპლაკულათ"; ან კიდევ იმ შეცდომაებისათვის, რომ ზოგან ზედმეტული სიტყვაა გამოშვებული, ზოგან კავშირი და სხვ. იმათი კრიტიკული ნიჭი ხომ ამ გვარ წვრილმანებს იქით ვერ წავა?!

რადგანაც „დროება-ივერიის" თანამშრომლებმა მინერალოგიის ცოდნა დაამტკიცეს იმით, რომ, თითქო სხვამ არავინ იცოდა, თუჯი კაცის ხელით კეთდება და მიწაში არ მოიპოვება (ან კი ამ მეცნიერების ნაწილში როგორ არ ჩინ-და იყვნენ ისინი განვითარებულნი, რადგანაც ზოგიერთნი იმათგანნი ქვა-ბუნდის მებნაში და გასაღებაში ღამის არის დაბერდნენ), მოუნდომებიათ აგრონომიაშიაც შეტოპვა და შე-

უტოპამთ ისე, რომ სწორეთ სასაცილოა იმათი მდგომარეობა. თქვენი მტერია, თუ იმათ თავიანთ მამულებს, თუ კი აქვსთ სადმე, ხელი მოჰკიდეს და დაიწყეს იმათი შემუშავება! რა მშვენიერი მოსავალი მოუვათ, თუ კორდი ანუ რამდენიმე წლის გაშვებული მიწა გაზაფხულზედ მოხნეს და შიგ ქერი, სიმინდი, ან დიკა დათესეს! გვგონია, ბეღლების კეთებას, ან ყიდვას ვერც კი აუვიდნენ და! მიწას, თუ ნასიმინდარი არ არის, შემოდგომაზედ მოხნავენ ხოლმე, რომ დაიფხვიერდეს, გაზაფხულზედ კიდევ დათესენ და ააკავებენ ხოლმე. „დროება-ივერიის" თანამშრომლებს კი „ხვნა" „თესვათ" მიუღიათ, უცოდინარობით თუ განგებ, ღმერთმა იცის! ან რა იმათი საქმეა, თუ ღმერთი გწამსთ, აგრონომია?! რა საჭიროა მათთვის ან ფურგუნები, ან გზების გაკეთება?! რათ მოეწონებათ იმათზე ლაპარაკი, როდესაც ცეცხლის მატარებლები და ბედაურები იმათთვის მზათ არიან; ისინი ხომ თავიანთ ცხვირს იქით აღარაფერს და აღარავის არ ხედავენ! ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ სხვა-და-სხვა აგრონომიული ცნობები ძალიან საჭირო არიან იმათგან და იმათ გვარ სხვებისაგან დაჩაგრული ხალხისათვის, რომლის ოფლის მონაგრითაც ისინი მატარებლებით დაბრძანდებიან და სასტუმროების პატრონებს ჯიბეებს უვსებენ, რის სამაგიეროთაც უკანასკნელები პირველებს „ლიპებს" უსუქებენ სხვა-და-სხვა რამეებითა და ამისათვის, უკაცრავათ იმათთან, ვერ მოვიშლით ხანდის-ხან აღნიშნულ მეცნიერების საგნებზედ ლაპარაკს. მაგრამ რა ვსთქვით ესა?! დაბალი ხალხისათვის აკი ზრუნავენ ისინიც! ზრუნვა არ არის, მაშ რა არის, რომ „ივერიის" ამ წლის მესამე ნომერში ეს კრიტიკოსი წუწუნებს იმაზედ, თუ რაღა ეშველება

გლეხ-კაცსაო, რომ დღეობები, ქელეხები, ქორწილის და ნათლობის წვეულებაები მოესპოსო?!

სადღა შეუძლიან იმ საცოდავს სული მოიბრუნოსო, თავისი მგზავსები ნახოსო, პატარა ხანს დაობებულს ცხოვრებას თავი დაანებოსო და იგრძნოსო, რომ ისიც კაცია, ისიც ხალხში ტრიალებსო და ტოლი და ამხანაგი იმასაცა ჰყავსო?!

მაგრამ, რათ გინდათ, ხალხის ცხოვრების და მის ჩვეულებაების დაარსების მიზეზების ცოდნაშიაც რომ კოჭლები ყოფილან „დროება-ივერიის“ თანამდრომლები! დავიწყოთ დღეობებიდგან.

დღეობებს ანუ ჯვარობებს თავ-და-პირველად სრულებით არ ჰქონიათ ის მხიარულების მნიშვნელობა, რომელსაც ეხლა აძლევსთ იმათ უ. კრიტიკოსი. იმ გაჭირვებაების დროს, რომელიც გამოუვლია საქართველოს ხალხს, იმას ჰქონია დამყარებული თავისი იმედი უბედურებისაგან დახსნისა მხოლოდ ხატზედ და ჯვარზედ. სალოცავათ წასვლა რომელსამე ეკკლესიაზედ, ცოტათაც არის შორს მყოფზედ, მარტო ერთის ან ორის ოჯახისათვის, მტრებისაგან შიშის გამო, შეუძლებელი იყო; ამისათვის მთელი სოფლები შეიყრებოდნენ და წავიდოდნენ ხოლმე. ამ გვარათ, დღეს, ხვალ შეიყარნენ ხოლმე მლოცავები ეკკლესიაზედ და დაწესდნენ ჯვარობაები. რადგანაც ჩვენი ხალხი, ცოტათ არის თუ ბევრათ, დაეხსნა იმ უბედურებაებს, რომლებმაც დაბადეს ჯვარობები, მაშ რა უშლის ამათ მოსპობას? სწორეთ, არაფერი, ჩვენის აზრით... არც ქელეხებს და ნათლობების და ქორწილის წვეულებაებს აქვსთ ის დანიშნულება, რომელსაც უფ. კრიტიკოსი აძლევს. ვინ არ იცის, რომ, ქეიფის და დროების გატარების მაგიერ, მასპიძლები დიდ წვალებაში, დავი-დარაბაში და ვაი-ვაგლახში

არიან ხოლმე? ან რა დროების გატარებაა, თუ ღმერთი გწამსთ, გრძნობის დაკარგვამდის ღვინით დათრობა და ერთმანეთის ჩეხა და ლანძღვა-გინება?!

ტყუილათ, ძალიან ტყუილათ დაფიქრებულან „დროება-ივერიის" თანამშრომლები იმაზედ, თუ რაღა დარჩება ხალხს დღეობები, ქელეხები და ნათლობის და ქორწილის წვეულებაები რომ წაერთვასო?! ნეტავი სხვა რამე მართლა ხალხისთვის სასიკეთო საქმეზედ დაფიქრდნენ ხოლმე ისე, როგორც ამაზედ დაფიქრებულან. იქნება ღმერთს ეშველა და რამე სარგებლობა მოეტანათ! განა ოჯახური კმაყოფილება კი სიამოვნება არ არის? განა საქმისთვის სხვა-და-სხვა ალაგს წამსვლელი კაცი კი ვერ ნახავს ხალხს, თავის ტოლებს და ამხანაგებს? განა ყოველს სოფელს, ხშირათ რამდენსამესაც ერთათ, თავისი ყრილობა, თუ ეკკლესიური, თუ სხვა, სადაც კაცს შეუძლიან თავი გაართოს, ცოტა აქვს?.. თუ გნებავსთ, ამას სულ ყველაფერს თავი დავანებოთ: განა არ შეიძლება მოხსენებული დამღუპველი ჩვეულებების მაგიერ ხალხში გავრცელდნენ, სადაც არიან და გაძლიერდნენ, „იარმუკები", რომლების წყალობითაც ერთმანეთის ნახვაც შეიძლება, დროების გატარებაც და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესობაც? სადაც ყველას შეუძლიან იაფათაც მოიპოვოს, რაც კი იმისთვის საჭირო არის, და პირიანათაც გაასაღოს თავისი ნაწარმოები?.. იქნება „დროება-ივერიის" თანამშრომლები შეშინდნენ იმაზედ, რომ თეატრი, სასტუმრო და სხვა დრო-გასატარებელი ადგილებიც არ წაგვართვას ახალი ჟურნალი „იმედის" რედაქტორმაო. თუ ეს მართლა ასეა,—ტყუილათ შეშინებულან,—იმათ ნება აქვსთ რამდენიც უნდოდესთ, იმდენი იქეიფონ. მაგრამ ის კი არ შეგვიძლიან, ჩვენის გულ-კეთი-

ლობით, რომ არ მოვაგონოთ იმათ, თუ რა შედეგი მოაქვს ხოლმე ამ გვარ შეხედულობას საქმეზედ: ხშირათ იმათთანა, თუ გნებავსთ ჩვენისთანაც, დღეს ქეიფს სწევს ხოლმე და ხვალ, ყელამდის ვალში ჩავარდნილი, თავს გარეთ ვეღარ ჰყოფს, ან კიდევ უფრო უარესი ქმართება—თავს იკლავს. ან იქნება მოხსენებული ქეიფის წევის მოსარჩლე პირები იმ ანდაზას მისდევდნენ, რომელიც ამბობს, რომ „დღევანდელი კვერცხი მირჩევნიან ხვალინდელ ქათამსაო.“ ნუ დაივიწყებენ, რომ ეს ანდაზა უფრო საჩუქარზედ არის ნათქვამი და არა იმაზედ, რომ რაც გვაქვს დღესვე შევჭამოთ და ხვალ მშიერის მუც-ლით ვიწანწალოთ. განა კარგი იქნებოდა, რომ იმათ მამა-პა-პებს ყველაფერი, რაც კი მოუპოვებიათ, შეეჭამათ და იმათ-თვის სიცოცხლის მეტი არა დაეტოვებინათ რა? მაშინ ხომ, ეჭვი არ არის, ამ გვარი მკვახეთ და უსაფუძვლოთ მობაასეე-ბი არ ეყოლებოდნენ მკითხველებს, როგორებიც არიან „დრო-ება-ივერიის“ თანამშრომლები? რაღა გვეშველებოდა?!... ეს ამ გვარი უსაფუძვლოება სჯაში „დროება-ივერიის“ თანამშრომლებისა წარმოსდგება იქიდგან, რომ საქმეს საძირ-კველში კი არ სძებნიან, არამედ მარტო თავიანთ ცხვირ-წინ. ყველაფერს მარტო თავიანთ საზომავზედ ზომავენ, ყვე-ლაფერს თავისებურათ ხსნიან. ცინიანობა, ჯიუტობა საზო-გადოთ ცუდი საქმეა და მწერლობაში ხომ მომაკვდინებელი ცოდვაა!

უმეტესი ყურადღება „დროება-ივერიის“ თანამშრომლებს მიუქცევიათ ვითომც „იმედის“ სტატიების ერთმანეთის წი-ნააღმდეგი ადგილებისათვის; მაგრამ ვერც ამ მხრით გასულან ფონს. ერთ ადგილს (გვ. 82 და 83) ამბობენო, ქადაგებს უ-კრიტიკოსი, რომ ჩვეულების მოსპობა დაბალ ხალხში ადვი-

ლეთ შეიძლებაო და მეორე ალაგს (გვერ. 50) გვეუბნები-
ანო, რომ ძალიან ძნელია ამ გვარი საქმეო. რათ ავიწყდე-
ბა, ან რატომ არ იცის, როგორც კრიტიკოსმა, რომ ჩვეუ-
ლებას, რომელიც მომდინარეობს რამდენიმე ათასი წელიწადი
და რომლის შესახებაც არის ლაპარაკი მე-50 გვერდზედ, და
ჩვეულებას, რომელიც დაარსებულა რამდენიმე ასი წლის წი-
ნათ და რომლის შესახებაც არის ლაპარაკი მე-82 და 83
გვერდებზედ, დიდი განსხვავება აქვსო ერთი-ერთმანეთისაგან
ხალხის ცხოვრებაში. პირველი ძვალში და რბილში აქვს ხალხს
გამჯდარი,—როგორც გასჯდომია „დროება-ივერიას“ ის სენი,
რომელზედაც ამდენი ლაპარაკი გვაქვს,—და მეორე კი შეად-
გენს ჯერეთ თითქმის გარეგანობით ჩვეულებას, რომელსაც
შიგნით არსებაში არ შეუდგამს მაინცა-და-მაინც მაგრათ ფეხი.
ხალხის ცხოვრებას ამ შემთხვევაში არა აქვს არავითარი გან-
სხვავება კერძო პირის ცხოვრებისაგან. ის ჩვეულება, რომელიც
კი ბავშვობაში მიუღია ადამიანს, რასაკვირველია, უფრო ძნე-
ლი მოსაშორებია, მინამ ვაჟ-კაცობაში რამდენიმე წლის წინათ
მიღებული, რომელიც, გარემოების-და-გვარად, შეუძლიან შეც-
ვალოს მან თავის სასარგებლოდ... ერთმანეთის ვითომ წინა-
აღმდეგი ადგილები უპოვნია უ. კრიტიკოსს კიდევ სტატიებ-
ში—„რამდენიმე სიტყვა ჩვენ მეურნეობაზედ“ და „ბიბლიო-
გრაფია.“ პირველის ავტორი მეურნეობის ფეხზედ დასაყენებე-
ლად საჭიროდ რაცხსო. რომ ყოველს სოფელს საკუთარი
დეპო ჰქონდეს, საკუთარი ბაზარიო, ამბობს ის, და მეორის
ავტორი კი „ივერიის“ თანამშრომელს როსტომაშვილს ჰკიც-
ხავსო იმაზედ, თუ როგორ გაბედა და წარმოსთქვა დეპოე-
ბი ძალიან საჭიროა ჩვენის სოფლელებისათვისაო. ალბათ ან
სულ არ წაუკითხავს უ. კრიტიკოსს აღნიშნული სტატიები,

ან, თუ წაუკითხავს, განგებ ამახინჯებს აზრებს. პირველი ამბობს ისეთ ჭირნახულის დეპოებზედ, რომლების წყალობითაც სოფლის ხალხს შეეძლოს თავისი ნაწარმოების შუა-მავალ პირებისაგან დამოუკიდებლად გასაღება, და მეორე ტყუილ დროს დავარგვათ სოფლის როსტომაშვილის პროექტის შესრულებას—ჩითების, თავშლების და სხვა ამ გვარების საზოგადო დეპოების გამართვას სოფლებში თვითონ სოფლელებისაგანვე. სად არის აქ აზრების ერთმანეთის წინააღმდეგობა უ. კრიტიკოსმა?! ალბათ სიზმარში მოელანდა, რადგანაც, შემდეგ ჩვენი ბიბლიოგრაფიის წაკითხვისა, ძალიან აღელვებული დაეძინებოდა.

მესამე და უფრო შესანიშნავი ვითომც ჩვენი თანამშრომლების ერთმანეთის აზრების წინააღმდეგობა მდგომარეობს, უფ. კრიტიკოსის აზრით, იმათ შეხედულებაებში შესახებ ჩვენის სამშობლო ენისა. ერთი ამბობსო, ღაღადებს ის, თუ რა საჭიროა ენის დაცვა, რომელსაც არავინ გვედავებაო, მეორე კი „მიედ-მოედება“ და იმასისო, რომ ჩვენს ენას სასამართლოებში ვეღარ ვხმარობთო, მეშვიდე კლასიდამ ჩვენი ენა პირველ კლასში დაბრუნესო და ქართული ენის მასწავლებელი ჯაგლაგ მოქირავეთ გახადესო. ალბათ უ. კრიტიკოსს უნდოდა დაენახვებინა მკითხველებისათვის, რომ ისა არის ნამდვილი „დროება-ივერიის“ თანამშრომელთაგანი, რომლების წადილი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოპირ-და-პირის ლაპარაკს ყური უგდონ და გაიგონ იმისი აზრი, არამედ იმაში, რომ როგორმე დაიჭირონ ის სიტყვაში და ასოებში. ან რა იმათი საქმეა აზრი?! დიდი ხანია იმათ აზრზედ ხელი აიღეს და იმათი ძალაც მხოლოდ ამაში მდგომარეობს! ყველანიც ასეთი თვალით უყურებენ იმათ და არც სხვა რამეს გა-

მოელიან იმათ მწერლობისაგან, ამ მოლოდინს ისინიც თავის მხრით არასოდეს არ ამტყუნებენ ხოლმე, ყოველთვის ამართლებენ! ვერ ვიტყვით, რომ ეს ცუდი თვისება არის, იმიტომ რომ ნაკლულევანების ჩვენება იმათ ძალიან სწყინთ და გულს უხეთქამსთ. ჩვენც არ ვაწყენინებთ და საქვეყნოთ ვაღიარებთ, რომ ისინი ძალიან ჩინებულ საქმესა შვრებიან, რომ მუდამ უაზრონი არიან. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ იმ უაზრობას, რომელიც უ. კრიტიკოსმა გამოიჩინა შესახებ ჩვენ ჟურნალში მე-93 გვერდზედ დაბეჭდილი სიტყვების. აქ ავტორი ამბობს:

«თითქო ქვეყანაზე, გარდა ათასში ერთი მახინჯებისა, მოიძებნებოდეს ს ა ლ ი  კ ა ც ი, რომელსაც ან თავისი სამშობლო არ უყვარდეს და ან იმისი ენა, ანუ კიდევ თითქო მოიძებნებოდეს რომელიმე სულელი, რომელიც ჩვენ მოგვედავებოდა ან ენას და ან სხვა რამე ქართულს; ან გინდა მოძებნილიყოს ასეთი სულელი, თითქო იმას შეეძლოს, რომ წაგვართვას, გამოგვწუწნოს ისა, რაც ჩვენ სხეულს შეუთვისებია და ბუნებათ გადაქცეულა!»

ამ სიტყვების აზრი, რასაკვირველია, მხოლოდ ის არის, რომ ვისაც სამშობლო ეჯავრება, ის არის ავათმყოფი, მახინჯი და სულელი. ამავე სიტყვების აზრი არის, რომ ის კაცი, რომელიც კი მოინდომებს წაართვას ხალხს ბუნებითი ენა, სულელია, ებრძვის ქარის წისქვილებს, ანარცხებს თავს კედელს, რადგანაც არ შეიძლება იმის წართმევა, რაც კაცს ბუნებათ გადაქცევია. ამის მეტი აზრი ამ სიტყვებს არა აქვსთ-რა, როგორც ყოველი მკითხველი მიხვდება, გარდა „დროება-ივერიის» მახინჯი ჭორიკანაებისა, რომლებიც აფთხილებენ მკითხველებს „იმედმა" აღტაცებაში არ მოგვიყვანოსთო.

არა ნაკლები უაზრობა გამოიჩინა უ. კრიტიკოსმა შესა-

ხუბ ჩვენი ჟურნალის მე-90 გვერდზედ დაბეჭდილის სიტყვე-
ბისა. აქ ჩვენ ვამბობთ მართლა იმას, რომ, თუმცა ქართველი
მწერლები ძლიან ნიჭიერნი და ნასწავლნი ბრძანდებიანო, მაგ-
რამ იმათ აქამდის ვერ უჩვენეს სხვასა ვერც თავიანთ ნიჭი
და ვერც სწავლასაო; ჩვენ უკვე არავინ გვიცნობსო, ამისათ-
თვის მივაქციეთ ყურადღება მხოლოდ იმ განსხვავებას, რომე-
ლიც მდგომარეობს ჩვენსა და წინაპრებსა შუა შესახებ მწერ-
ლობის დანიშნულებისა, მოვალეობისა, ნამდვილი საქმისა.
ჩვენ დავაარსებთ მწერლობასაო, იმიტომ რომ მას დავაყენებთ
თავის გზაზედ, რომელსაც იმას არასდროს არ უნდა აექ-
ციოს თვისი, როგორც აქამდის უქცევდა ხოლმე ჩვენი წინა-
პრების წყალობითაო: „წინა-პრებს ვერ გამოვეტოვებით ვერც
ნიჭში და ვერც სწავლაში... აქ არც ნიჭის საქმეა და არც
სწავლისაო“, — ვსთქვით ჩვენ, ამ სიტყვებით ჩვენ გამოვთ-
ხოვეთ პატივის-ცემა ჩვენი წინა-პრების სწავლისა და ნიჭისად-
მი, ღირსებისა და თავ-მდაბლობის გამო წინათვე მოვუხადეთ
ბოდიში. მაგრამ, რადგანაც იმათ ზოგიერთს ნაგები არა სჯერებია-
სთ, რადგანაც კომპლიმენტებათ თქვა ჩვენგან ვერ წარმოუდგე-
ნიათ, ამიტომ უნდა მოვუვლოთ ჩვენს სიტყვას და, რაკი ალაგი
მოგვცა, მართლა მიმართულებაში კი არა სწავლა-განათლებაში
და ნიჭშიაც გამოვეტოვებით. თუმცა ისინი, თავიანთ და
თანაკლებათ სხვებიან, დამკვრებიან სასწავლებში და ჩინებულ
წარსული საუკუნეების არსთავებს, რომელნიც სულ ყოველთვის
დაუძინარად, ჩუმ-ჩუმად და ალერსით დაუნაწყებიათ შთა-
მამავლობისათვის; მაგრამ ჩვენც კი ჩვეულებით და ხშირადაც
დავეწაფებით უბეებს. რაც შეეხება სხვა მეცნიერებაებს, —
თუმცა „მარილის“ ავტორის, მართალია, ძალიან გვეშინიან —
არც აქ ჩამოვრჩებით, ღვთის მადლით, იმათ ოდენ.

ვერც პოეზიის თეორიებში ყოფილან „დროება-ივერიის" თანამშრომლები განვითარებულნი, თუმცა ამას კი, სწორე უნდა ვსთქვათ, მოველოდით იმათგან, რადგანაც იმისთანა გარემოებაებში და საზოგადოებაში არიან აღზრდილნი, რომლებშიც პოეზიას ეჭირა და უჭირავს კიდეც თითქმის პირველი ადგილი. სრულებით ავიწყდებათ, ან არ იციან, რომ პოეზიაც არის და პოეზიაც; რომ აღტაცებაში მომყვანი პოეზია ის არის, რომელიც აღამაღლებს გრძნობას და რომელშიაც, მაშასადამე, გამობრწყინვის სიმართლე. უაზრო და უსამართლოებაზედ აშენებული პოეზიისა კი რა მოგახსენოთ! — ეგ „დროება-ივერიის" თანამშრომლების საქმეა და ღმერთმა ნურც მოუშალოსთ... რათ მოეწონებოდათ იმათ, თუ ღმერთი გწამსთ, ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი პოეტური ლექსები, როდესაც იმათში სიმართლის მეტს ვერას ნახავდნენ?! ან ლობიოს ჭამა რომ ყოფილიყო შიგ, ან ღანძილი, ან ჯონჯოლი, ან ბობოლები, ან ყორნები, ან კიდევ სხვა რამეები, მაშინ სხვა იყო, — ყველა ესენი აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ჩვენი თანა-მედროვე პოეზიისათვის! აუცილებელი საჭიროა ეგრეთვე სხვა-და-სხვა ღრმა სიტყვების ხმარება, რომლებიც ნახევარს მკითხველების ნაწილს მაინც არ ეყურებოდეს. ამ გვარ მკითხველებისათვის ხომ სამყოფია ისიც, რომ იმათი ყურების ძარღვები ძალიან დაინძრევიან შეუჩვეველი სიტყვების გაგონებით!

„დროების" მე-44 ნომრის მეფელეტონეს შეხედულობით, უფრო კარგია, თუ ამ თვისებაებს თან დაერთობიან კიდევ აზრების და სიტყვების უგულმა მოქცევა, მაგალითებრთ: „ხეების" მაგიერ „ბალახების" ხმარება, „შინაური ცხოველების ნახირების" მაგიერ „ველური თაბუნებისა," ჯერ

ლეწვა ჭირნახულისა და მერე მოშკა, ან ჯერ მოშკა და მერე ნამკლების გალესვა და სხვ. მაშ აბა რითი გაირჩეს პოეზია პროზისაგან, ფელეტონი ჟურნალის სტატიისაგან?! რამდენა-თაც ეს თვისება უაღმატებულესია, მეფელეტონის აზრით, იმდენათ პოეზია მაღლა სდგას, და, უეჭველათ, იმიტომ მია-წერა სულ მრთლად „იმედის“ თანამშრომელებს უ. ტეტიკა-შვილის ლექსი, რომელშიაც, რასაკვირველია, ჩვენი დაბალი ხალხის მდგომარეობა და მის „იმედისადმი“ გრძნობა არიან გამოხატულნი...

ამ გვარის საქმეზედ შეხედულობის პატრონს, უფ. „დროების“ მეფელეტონეს, აუღია კალამი ხელში და მოუნდო-მებია „იმედის“ თანამშრომლების აზრებში ერთმანეთის ვი-თომც წინააღმდეგობის გამოჩხრეკა; რომ ვერ უპოვია, მიუ-ყვია ხელი თავის ხელოსნობისთვის—ერთი სიტყვის მაგიერ მეორე სიტყვის ხმარებისათვის და სიტყვის მნიშვნელობის გატრიზავებისათვის, მოუცია მასხრული კილო, და მიუკიბ-მოუ-კიბამს რაღაცეები. „სულიერ ქართველებს გარდა უსულო ქართველებიც გამოუჩენიათო“, გაკვირვებით ამბობს ის. ნე-ტავი თუ რა გაჰკვირვებია?! დიაღ, უსულო ქართველებიც არიან. ამ გვარი ქართველები არიან ყველა ის შინაური და გარეული „დროება-ივერიის“ თანამშრომლები, რომლებიც ყოველ რი-გიან ლტოლვილებისადმი მკვდრებივით უგრძნობელნი არიან. გარდა ამისა, ჩვენი საზოგადოთ ქართველ ხალხზე ლაპარაკი მარტო გლეხ-კაცობაზედ გადაუღია და ვითომც წინააღმდეგობა გამოუყვანია ჩვენი ბიბლიოგრაფიის წინასიტყვაობის აზრებთან, რომლებითაც უ. აბდუშელიშვილი სამართლიანათ ტყავს აძ-რობს „დროება-ივერიის“ თანამშრომლებს. ვისაც კი წაუ-კითხავს პირველი ნომერი ჩვენის ჟურნალისა, ცხადათ და-

ნახავს ამ შემთხვევაში უ. მეფელტონეს ტაკი-მასხარაობასა რომელსაც მეფელტონე ამ გვარ მოღვაწეობაში ყოფილა. მაშინ ეტყობა უ. „ივერიის“ მარტის წიგნის ბიბლიოგრაფი „ვეკფილდის მოძღვარი“-ს ნათარგმნზედ ფიქრობდა და სცდილობდა წინ წაერბინა ჩვენი ბიბლიოგრაფისთვის. ჯერ ამ უკანასკნელს თითქმის არაფერი არ წარმოუთქვამს, რადგანაც ნათარგმნი ჯერ სრულიად დაბეჭდილი არ არის, და მთარგმნელი კი, რაც ძალი და ღონე აქვს, ამტკიცებს, რომ მისგან სათარგმნელათ აღებული რომანი შესანიშნავი რამ არისო. ალბათ ეგონა, რომ უ. ბელინსკის სიტყვებით, რომლებიც ჩვენმა ბიბლიოგრაფმა მოიყვანა დასანახვებლად მთარგმნელისა, რომ სჯობდა იმას ამ რომანისათვის ხელი არ მოეკიდნა, გაუთავეს საქმე. ამაში ხომ შემცდარია და შემცდარი და წინამსწრაფობისთვის კი ერიდოს იმ შედეგს, რომელსაც ხალხი აძლევს ამ გვარ თვისებას. „დედის წინ მარბენალი კვიცი“, ამბობს ანდაზა, „ან მგლის პირსა ან წყლის პირსაო.“

ასე და ამ გვარად „დროება-ივერიის“ თანამშრომლები სცდილობდნენ, რომ არ დაბადებულიყო ახალი ქართული ჟურნალი; ასე და ამ გვარად გამოვიდნენ ისინი „იმედთან“ საომრათ *); ასე და ამ გვარად გასაკიცხი საშუალებებით იმა-

*) შესანიშნავია, რომ ერთსა-და-იმავე დღეს, პირველ მარტს, «დროება» და «ივერია» ტაკი-მასხარა «Фаланга»-თურთ (№ 9.) დაეცნენ თავს ნორჩ «იმედს.» ალბათ სურდათ უცებ შეენადგურებინათ; მაგრამ არც ისე შეუძლებელია ეს ნორჩი ჟურნალი, რომ იმათ შეუშინდეს. «მოვიდა სეტყვაო და წაიღო ქვაო»,—სწორეთ ასე მოუვიდათ აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებსაც. «დროება-ივერიის» ავან-ჩავანი ხომ დაწვრილებით გავიგეთ და ახა ერთი მივაბრუნ-მოვაბრუნოთ «Фа-

რას მათ ამ ახლად დაბადებული ჟურნალის დასამცირებლად. რა არის მიზეზი ამ გვარი „დროება-ივერიის“ თანამშრომლების შეუსაბამო ყოფა-ქცევისა შესახებ ახალი მწერლობის ორგანისა? საიდგან წარმოსდგა ამ გვარი სენი ჩვენი მწერლობისა? რითი ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს „დროება-ივერია“ ამ გვარ სამაგელ საქმეში?

„დროება-ივერია“, ცოტათ არის, თუ ბევრათ, თითონ-ვე გრძნობს, რომ ვერ ადგია კეთილს გზას და იმიშვის ახალმა ჟურნალმა ან გაზეთმა არ დამძლიოსო ზნეობით და მატერიალურათაო, ე. ი. არ გამოაშკარაოს ჩემი უვარგისო-

ლანга»-ც, ავავლ-ზავავლოთ თვალი და კბილებიც გაუშინჯოთ, ხომ არ დამტვრევია. ამ ჟურნალს, ანუ უკეთ ვსთქვათ, გაზეთს აზრების მაკ-გილობა ნდომებია გამოეჩინა და მახინჯობა კი გამოიჩინა. უ. მ. გურ-გენიძე, გამომცემელი და რედაქტორი «იმედისა», ფსევდონიმი ხომ არ არისო? რა აზრია აქ მიხვედრილი გართ, ვითომ რა არის და გა-მოუჩენელი მწერალიაო; მაგრამ ვიცით ისიც კარგათ, რომ «Фалан-га»-ს თანამშრომლებს სულ ყველგან ფსევდონიმი ელანდებათ, რად-განაც ყველა იმათი ფსევდონიმია. «ფულები,» არ წაგვიკითხავს «იმედი», მაგრამ ვერწმუნებით იმათ, ვინც ამის შესახებ გვითხრა რამეო, ე. ი. «დროება-ივერიის» თანამშრომლებსაო; ეს იქიდან გამოგვყავს, რომ სიტყვა-სიტყვით იმეორებს «დროება-ივერიის» სიტყვებს შესახებ «თუ-ჯისა» და «იმედის» მე-90 გვერდზედ დაბეჭდილი სიტყვებისა მწერ-ლობაზედ. შემდეგ უგზავნის «იმედის» რედაქციას თუჯის თა-გიან თანამშრომელს. დასტურ რომ თუჯის თავი უნდა ჰქონდეს იმ კაცს—ბარონია, თავადი თუ გლეხი, რუსი, ქართველი, თუ სომეხი—სულ ერთია,—რომელიც კი ენდობა «დროება-ივერიის» თანამშრომლე-ბის რამე ნათქვამს, განსაკუთრებით შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთი-სა. ამისათვის ეგზავნება «Фаланга»-ს რედაქციას თუჯის თავიანი თანამშრომელი უკანვე, კუთვნილებისამებრ, შეცდომით ჩვენ რედაქცია-ში წარმოგზავნილი... ავტ.

ბათ და მკითხველები არ წამართვესო, ეს არის პირველი და
უკანასკნელი მიზეზი იმის უშვერის ყოფა-ქცევისა შესახებ
ახალ ქართულ ჟურნალებისა საზოგადოთ და „იმედისა“ კერ-
ძოთ. ამით ხელმძღვანელობდა ის ახალ ჟურნალ-გაზეთების
დევნაში და ხელმძღვანელობს, როდესაც „იმედის“ თანამშრო-
მელების სიტყვა-აზრებს ამახინჯებს, უსაფუძვლოთ ჰკიცხავს
მას, უბრთხობს მკითხველებს და სხვ. ამაში მდგომარეობს
მიზეზი ზემოთ ნაჩვენების ჩვენის მწერლობის სენისა: რომ
ეს „დროება-ივერიისადმი“ ცილის-წამებაში არავინ ჩამოგვარ-
თვას, ჩვენ გვსურს წარმოუდგინოთ მკითხველებს ჩვენი სიტ-
ყვების დამამტკიცებელი ფაქტები მის ცხოვრებიდგანვე. შარ-
შან-წინ, როდესაც „დროება“ ებრძოდა ჯერ კიდევ არა-მყოფს
ჟურნალ „იმედს“, იმან წარმოსთქვა, რომ იმ შემთხვევაში,
თუ ეს ჟურნალი განხორციელდა, აუცილებელია—ან ის და ან
„ივერია“ არ მოკვდესო. ესევე აზრი ამოიგნავლა „დროე-
ბამ,“ როდესაც იმას მაგრა ჩაუყარა ბეჭვალებით „Обзоръ“-მა
და თავგვივით წრუწუნი დააწყებინა.

„განა შეიძლება ორი ჟურნალის ერთათ ცხოვრება ჩვენს
საზოგადოებაშიო?“! გაკვირვებით კითხავდნენ და კითხავენ
„დროება-ივერიის“ თანამშრომლები ყველას, ვინც კი ახალ
ჟურნალისადმი თანაგრძნობას გამოაცხადებდა ან აცხადებს.
„თუ ნიორი არ გიჭამია, კუჭი რათ გწვისო,“ ამბობს ან-
დაზა; თუ „დროება-ივერია“ ზემო-ნაჩვენები მიზეზით არ
ხელმძღვანელობს, მაშ რა თავ-პირს იმტვრევს ახალი ჟურნა-
ლის ბედის-წერაზედ? „იმედი“ მოკვდება, თუ დარჩება, საზო-
გადოების ყურადღებას დაიმსახურებს, თუ არა,—ეს შეეხება ამ
ჟურნალსვე. რა დამოკიდებულება აქვს ამ გარემოებასებს „დრო-
ება-ივერიასთან,“ რომ ასე სწუხს?! თუ „იმედი“ დიდხანს

ვერ გასძლებს, თუ ამ ჟურნალის რედაქციამ გასაკიცხი სა-შუალებს იხმარა მკითხველების მოსაპოვებლათ, თუ ეს ჟურნალი უვარგისია, როგორც „დროება-ივერია“ ღაღადებს, მაშ რაღას იჭაჭება ეს საცოდავი და ლამის არის ჯავრით გასქდეს, საზოგადოება დარწმუნებულია, რომ „დროება-ივერია“ დიდი ხანი სცხოვრებს, რომ იმას არ უხმარია იმ გვარი გასაკიცხი საშუალებს მკითხველების მოსასპოვებლათ, რომელიც იხმარა „იმედმა;“ მაშ ხომ უიმისოთაც დაუტოვებს „იმედს“ და მიმართავს ხანში შესულ და წინ-დამხედველ „დროება-ივერიას“. მაგრამ არა: ეს უკანასკნელი გრძნობს თავის მართლაც და უვარგისობას და იმიტომ შიშობს, იმიტომ არავითარ საშუალებებს არ ზოგავს ახალი ჟურნალის დასამცირებლათ, თუნდ ეს საშუალებანი მხმარებლის სისულელესაც კი ამტკიცებდნენ. აი ერთი ამ გვარი საშუალებათაგანი: ამ წლის „დროების“ № 45-ში უ. ვლ. მიქელაძემ დაიწყო განხილვა ეკ. გაბაშვილის რომანისა „დიდ-სკვაში,“ რომელიც იყო დაბეჭდილი „ივერიის“ № 3-ში, და უცებ, უმიზეზოთ, ლიტონის სიტყვით წამოიძახა „იმედზედ“ შემდეგი: „იმედის“ ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი ნომერი გამოვიდა, რომელმაც მოგვისპო ყოველი იმედი. ნეტავი ვიცოდე, ამდენ უნიჭოებს და უმეცრებს სად შეუყრია თავი!“

„საიდამ სადაო,“ თქვენი ჭირიმე, „და წმინდა საბაო“?! საიდგან გადასწვდა უ. ვლ. მიქელაძე „იმედს,“ როდესაც „ივერიაში“ დაბეჭდილ რომანზედ ლაპარაკობს?! ამ გვარი საქმის მომქმედს ეძახიან სულელს, იდიოტს, ყველამ იცის. მაგრამ ამ თვისებისაგან უ. ვლ. მიქელაძე ღმერთმა დაიხსნას! მაშინ ხომ თფილისის გიმნაზიაში მოზარდ ახალ-თაობას სულ დაგვიმახინჯებს გონებით! არა, ჩვენ აქ ვხედავთ

მხოლოდ ერთის მხრით უ. კლ. მიქელაძის კუსავით თავმოყვარეობას, რომელმაც, როგორც ქართული ანდაზა ამბობს, „ფეხი გამოჰყოლო და მეც ნახირ-ნახირაო,“ მეორეს მხრით და უმეტესად—იმ მიზეზს, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ და რომლის დასამტკიცებლათაც ეს ფაქტი მოვიყვანეთ. განა მკითხველების ასეთი დამცირებაც შეიძლება?! განა ისეთი სუსტი ჭკუისათ სთვლის „დროება-ივერია“ თავის მკითხველებს, რომ ისინი ვერ მიხვდნენ აზრს—„იმედისადმი“ სიმტრეს, სიძულილეს და მის წახდენის სურვილს?! დარწმუნებული იყვნენ „დროება-ივერიის“ თანამშრომლები, რომ ბევრს იმათ მკითხველთაგანებს უფრო მაგარი ტვინის ძარღვები აქვსთ მინამ თვით იმათ...

ეს არის, სწორეთ ეს არის მიზეზი ჩვენი მწერლობის სენისა, „დროება-ივერიის შეუსაბამო ყოფა-ქცევისა ახალ ჟურნალ-გაზეთების შესახებ. თუ გვინდა, რომ მოისპოს ჩვენ მწერლობაში აღწერილი მის სენი, უეჭველია, ბოლო უნდა მოეღოს ამ მიზეზს; წამალიც ისეთი უნდა იყოს, რომ უწიოს ამ სენის სამირკვლამდის. მაგრამ, სანამ ამ გვარი წამალის რეცეპტს შევადგენდეთ, ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმაზედ, თუ რა გარემოებაების წყალობით გაძლიერდა ეს სენი.

მოგეხსენებათ, რომ გაზეთი „დროება“ დაარსდა ისეთს დროს, როდესაც ქართველებში ის იყო გაიღვიძა სწავლა-განათლების სურვილმა. ერთი ჟურნალი „ცისკარი“ ხომ იყო და იყო, მიემატა ეს გაზეთიც და იმ დროს, ავათ იყო, თუ კარგათ, აკმაყოფილებდნენ საზოგადოების ჯერეთ მცირედს მოთხოვნილებაებს. მაგრამ სწავლა-განათლების სურვილი ჩვენში მალე გაძლიერდა, ხელის-მომწერლები, განსაკუთრებით „დროებას,“

თანა-დათან მოემატნენ. ამ გარემოების მიმხედველნი, ჩვენი ჟურნალ-გაზეთის მეთაურნი, იმის მაგიერ, რომ ამათაც დაენძრიათ ტვინის მარღვები და შეცდილიყვნენ საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, გატაცებულნი შეიქმნენ ერთის მხრით ანგარებით და მეორეს მხრით თავმოყვარეობით, დადგნენ იმ აზრზედ, თითქო საზოგადოება მწერლობისთვის იყოს გაჩენილი და არა მწერლობა საზოგადოებისათვის. ამ გვარი საქმეზედ შეხედულობის აღსრულებაში მოსაყვანათ საშუალებაც ხელთ ეპყრათ—კონკურენტები მწერლობის ასპარეზზედ არ ჰყავდათ, სახელიც მათი იყო და სახრჯვიც. ამისათვის მიჰყავდათ მწერლობის საქმე ისე, როგორც თითონ უნდოდათ, და არა მოთხოვნილების-და-გვარად დროებისა, გარემოებისა და საზოგადოების საჭიროებისა. ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ სხვა-და-სხვა ხალხების ლიტერატურის წყალობით, წინ წაურბინა სამშობლო მწერლობას და დაუწყო მას გულ-გრილათ ყურება.

მოისპო ჟურნალი „ცისკარი“ და მის მაგიერ დაარსდა ჟურნალი „ივერია.“ მკითხველი საზოგადოება გახარებული მოელოდებოდა მისგან რამე სიკეთეს. მაგრამ ესეც იმ გზა-სვე დაადგა, რომელსაც ადგნენ მისი წინა-მოადგილე და „დროება.“ ამ გვარ გარემოებაში ჩვენმა ჟურნალ-გაზეთმა, გასაგრძობლად თავიანთის სიცოცხლისა, საჭიროდ დაინახეს ის საშუალება, რომელსაც ჩვენ მწერლობის სენი დავარქვით და რომელზედაც ამდენს ვლაპარაკობთ.

რითი შეიძლება მოსპობა ამ მწერლობის სენისა? აი კითხვა, რომელიც, უეჭველია, დაიბადება თვითეული მკითხველის თავში, შემდეგ აქამდის ჩვენის სტატიის წაკითხვისა, და რომელზედაც უნდა ვაგოთ პასუხი. რადგან ჩვენგან ნაჩვენები

მწერლობის სენი ძალიან გაძლიერებულია, ამიტომ, რასაკვირველია, საჭიროა ძლიერი წამალიც. ამ გვარ ძლიერ წამალს ჩვენი მწერლობის ფეხზედ წამოსაყენებლად ჯერ-ჯერობით ჩვენ ვხედავთ მის გონებით, ზნეობით და მიმართულებით მახინჯობის საქვეყნოთ გამოაშკარებაში. ეს წამალი ჩვენ ვშინჯეთ „იმედის“ № 1-ის ბიბლიოგრაფიაში და შევატყეთ, რომ იქონია, ცოტაოდენიც არის, საიმედო მოქმედება; ვისაც კი უკითხავს ჟურნალი „ივერიის“ ნომრები და ახლა წაიკითხავს იმის ამ წლის მესამე ნომერს, ცხადათ დამტკიცდება ამაში. ამავე წამალს ვაძლევთ ამ ჩვენის სტატიითაც. იქნება ღმერთმა ქნას და ამ გვარათ წამლის ძლევის ხელ-შეწყობით დაიხსნას ჩვენი საცოდავი მწერლობა მის დიდის ავათმყოფობისაგან!...

ყოველ შემთხვევაში, ვიქონიოთ, მკითხველებო, იმედი, რომელზედაც „დროება-ივერიის“ თანამშრომლებს ხელი აუღიათ. ჩვენთვის ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; იმათთვის კი, მერწმუნეთ, წარსულიც და აწ-მყოც ბნელია...

მიხეილ გურგენიძე.

## ჩვენებური სასწავლებლების ახლანდელი მდგომარეობა.

*Non solum armis.*

ისტორიისაგან შენიშნულია, რომ რა ხასიათიც აქვს საზოგადოთ რომელიმე სახელმწიფოს, მის ცხოვრებას და მიმართულებას, თითქმის ყოველგან და ყოველთვის იმ ნაირივე ხასიათის და მიმართულებისა არის იქ უმაწვილ-კაცობის აღზრდაც. უფრო ნათლად და ცხადათ ამ აზრს მაგალითებით გავიგებთ. უწინდელ საბერძნეთში ორი სხვებზე უფრო შესანიშნავი სახელმწიფო იყო: ათინა და სპარტა. სპარტა მუდამ სხვა-და-სხვა ქვეყნების შეძენას და ხალხების დაპყრობასა ცდილობდა, გამდიდრების საუკეთესო საშუალებად მეზობელთ სახელმწიფოების გლეჯა-ცარცვა მიაჩნდა. იმ დროს ზარბაზნის და თოფის ხმარება არ იცოდენ და, რასაკვირველია, როგორც გამარჯვება მხედრის ღონეზედ, ისე დამარცხებაც მის ულონობაზედ და სისუსტეზედ იყო, უმეტეს ნაწილად, დამოკიდებული. ამ მიზეზისა გამო, სპარტელები, რომელნიც სახელმწიფოს მარტო მხედრებს უმზადებდნენ, ახლად-დაბადებულ ადამიანიშვილს რიგიანად დაათვალიერებდნენ ხოლმე და თუ უმაწვილი სნეული აღმოჩნდებოდა, საიქიოს გაისტუმრებდნენ, თუ არა და როგორც კი შვიდის წლის შეიქმნებოდა, დაუწყებდნენ ზრდას. ბავშვს ასწავლიდნენ გიმნასტიკას და სხვათა შორის აჩვევდნენ სიმშილის, წყურვილის, სიცივის და

ტკივილის ატანას და აგრეთვე ვერაგობას, რომ ამ ნაირად
აღზრდილი ბოვშვი ჯან-მრთელი, მაგარი, მხნე, გამბედავი და
ხერხიანი მხედარი გამხდარიყო. მის გონებით განვითარებაზე,
სულისა და გულის გაწვრთნაზე აღზრდა თითქმის სრულებით
არა ზრუნავდა. საბერძნეთის მეორე სახელმწიფოში—ათინაში—
სულ სხვა ნაირი წყობილება და მიმართულება სუფევდა; ეს
სახელმწიფო ბევრად უფრო მშვიდობიანობის მოყვარე იყო
და ამ მიმართულებას სასწავლებლებზედაც გავლენა ჰქონდა.
ათინაში შვილი დედ-მამას ეკუთვნოდა და არა, როგორც
სპარტაში, სახელმწიფოს. ამისთვის თუმცა სახელმწიფო შკო-
ლებიც იყვნენ, მაგრამ მშობლებსაც სრული ნება ჰქონდათ, ისე
აღეზარდათ შვილები, როგორც სურდათ. სახელმწიფო შკო-
ლებში თუმცა ჯანის გავარჯიშებაც ჰქონდათ სახეში და ას-
წავლიდნენ გიმნასტიკას, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა
სულის და გულის აღზრდაზე იყო მიქცეული, და ასწავლიდ-
ნენ ჰომერის და სხვათა პოეტებთა თხზულებაებს და მუზი-
კას. სხვათა შორის ეს მიზეზი იყო, რომ სპარტელებმა გა-
მოიჩინეს თავი ჯანით და ღონით, ათინის მცხოვრებლებმა კი
მჭევრმეტყველობით და ჭკუით.

რუსეთის ცხოვრებაში ერთს მეტად შესანიშნავ მოვლე-
ნებას შეადგენს ჩინოვნიკობა. ჩინოვნიკის პირველ მცნებას
შეადგენს, როგორც მოგეხსენებათ, მორჩილება. ყოველ ჩინო-
ვნიკს შეუძლიან თავისი აზრის ქონება იმდენად, რამდენადაც
თაც ეს აზრი ეთანხმება მისის უფროსის აზრს, ან უკეთ
ვსთქვათ, რამდენათაც მას (ჩინოვნიკს) ნება ეძლევა უფროსი-
საგან. სწავლა ჩინოვნიკისათვის მაინცა-და-მაინც დიდი საჭირო
არ არის—ის მიუცილებლად უნდა იყოს მხოლოდ ჭსიხატა-
რი. დიაღ, შეხედავს თუ არა თავის უფროსს, ჩინოვნიკი მა-

შინკე უნდა მიხვდეს, რას ფიქრობს მისი უფროსი, ერთის თვალის შეკვრით უნდა ამოიკითხოს, რაც სურვილი სწერია მისი უფროსის გულის ფიცარზე და დაუყონებლივ შეუდგეს ამ საქმის ასრულებას. ენა ჩინოვნიკს თაფლივით ტკბილი უნდა ჰქონდეს, წელი თასმასავით მოქნილი, სიარულიც სხვა ნაირი უნდა იცოდეს, ის უნდა ტრედივით დაგოგავდეს, რომ ფეხის ბრაგა-ბრუგით უფროსი არ შეაწუხოს. როცა კი საჭიროდ დაინახავს, მას უნდა შეეძლოს ცხარე ცრემლის ღვრა, თუ გინდ სიხარულით აღტაცებულიც იყოს, და გიჟივით ხარხარი, თუ გინდ გული ნაღვლით უდუღდეს. რასაც ჩინოვნიკს ეს თვისებები არა აქვს, ის თავის ადგილზე ვერ გამოდგება.

ამ მოხელეების ხასიათი მთლად ქვალორბილში აქვსთ გამჯდარი რუსეთის სასწავლებლებს: მინისტრს ექვემდებარება მაზრის მზრუნველი, მზრუნველს დირექტორი, დირექტორს ინსპექტორი, ინსპექტორს ოსტატი და ზედამხედველი — და ყველას მორჩილი და მონა გახლავსთ შაგირდი. აღზრდა ყოველივე ღონისძიებას ხმარობს ჩაუნერგოს შაგირდს გულში ხათრი, მორჩილება, კრძალვა და ბევრს არას შეგიწუხდებათ, თუ სასწავლებლიდგან მას არც ჯანმრთელობა გამოჰყვება და არც მეტი რამ ცოდნა.

რუსეთის სასწავლებლების ხასიათის ამ ნაირი მოკლე განმარტების შემდეგ, სანამ ჩვენებურ სასწავლებლებზე ვიტყოდეთ რამეს, გავიხსენოთ შემდეგი. ახლანდელ რუსეთს მარტო ევროპაში იმაზე მეტი ადგილი უჭირავს, ვინემ დანარჩენ თვრამეტ დიდ და პატარა ევროპიის სახელმწიფოებს და სამთავროებს.

აზიაში—კავკასია ხომ შედარებით პატარა ადგილია, მაგრამ ამ ადგილზე ცხრა საბერძნეთისთანა პაწაწა სახელმწიფო დაეტევა. ამას გარდა ციმბირსა და შუა აზიაში იმოდენა ადგილი უჭირავს, რომ ახლანდელი საფრანგეთის ოდენა ოც-და-რვა სახელმწიფო მაინც მოეტევა ზედ; მაგრამ, თითქო თავის ტყავში არ ეტევაო, რუსეთი დღემდის სულ სხვა-და-სხვა ადგილების შეძენას და ხალხების დაპყრობას ცდილობდა. დაპყრობა, უეჭველია, ბევრად უფრო ადვილია, ვინემ განათლების და რიგიანი წყობილების მინიჭება, დაპყრობილი ხალხის შეთვისება და ძმობა.

მთელს კავკასიის მხარეში თითქმის ხუთი მილლიონ ნახევარი მცხოვრებელია (5.470,070). წასულ წელს ყველა სასწავლებლების (საშუალო და დაბალი, სავაჟო და საქალო) რიცხვი შეადგენდა სამი ათასზე ცოტა მეტს (3,111). მაშასადამე თვითო სასწავლებელი გასვდება თითქმის ათას რვა ასს მცხოვრებელს (1758). ამ სასწავლებელთ რიცხვში—ოთხი სავაჟო და ხუთი საქალო პროგიმნაზიაა, სამი რეალური სასწავლებელი და ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი. დანარჩენი (3,087) სულ დაბალი სასწავლებლები არიან, რომელთ რიცხვში ურევია ორი საოსტატო სემინარია.

ყველა ამ სასწავლებლებში სწავლობს ოთხმოც-ათასზე ცოტა ნაკლები (79,746) შაგირდი. მაშასადამე, ავ-კარგათ თითქმის სამოც-და-ცხრა სულს ერთი ბავში ეზდება სასწავლებელში.

შაგირდების ზემო მოყვანილი რიცხვიდგან სავაჟო გიმნაზიებში სწავლობს თითქმის ორი ათას ასი კაცი (2,091), რეალურ სასწავლებლებში თითქმის ათას ორასი კაცი (1,190), საოსტატო ინსტიტუტში სამოც-და-ათი (69). ხუთ საქალებო გიმნაზიაში თითქმის იმოდენა სწავლობს, რამდენიც ოთხ სავაჟო გიმნაზიაში (2070), სავაჟო და საქალო პროგიმნაზიაში და საოსტატო სემინარიებში სწავლობს ათას ცხრაასზე ცოტა მეტი (1,936). დანარჩენი (72,389) დაბალ სასწავლებლებში სწავლობენ.

რუსები, როგორც ჩინოვნიკები, და სომხები, როგორც ვაჭარნი, კავკასიაში უმეტეს ნაწილად ქალაქებში სცხოვრებენ, მასთან საშუალებაც ბევრათ მეტი აქვსთ, ვინემ არა თუ ჩვენებურ დაბალ ხალხს, არამედ თავად-აზნაურობასაც. ამ მიზეზისა გამო კავკასიის სასწავლებლებში მოსწავლეთ უმეტეს ნაწილს შეადგენენ რუსები, სომხები (ასე განსჯეთ თათრებიც) და ძლიერ მცირე ნაწილს—ქართველები. აი-გვარად ასს მოსწავლეში ოც-და-თექვსმეტი (35,8%) რუსი ურევია, ცხრამეტი (18,8%) თათარი, თვრამეტი სომეხი, თერმეტი მთიული და მხოლოდ ათი ქართველი (10,5%). აქედგან სჩანს, რომ ზემო მოყვანილ მოსწავლეთ რიცხვში (79,746) რვა ათას სამას ქართველზე ცოტა მეტი ურევია (8,369). ჩავაგდოთ მთლად ქართველების რიცხვი ისე, როგორც ცნობილია 1878 წლის სტატისტიკიდგან, არვაას ორმოც-და-ათი ათას კაცათ (850,000)—გამოვა, რომ ას ერთ ქართველს მხოლოდ ერთი ხომ მგვა ეზდება სასწავლებელში, ე. ი. ქართველთ მოსწავლეთ რიცხვი ერთ პროცენტსაც ვერ შეადგენს.

ზემო მოყვანილი საზოგადო კავკასიის მხარეში მოსწავლეთ რიცხვი (79,746) ეკუთვნის იმ სასწავლებლებსა რო-

მელნიც კავკასიის მაზრის მზრუნველის ზედამხედველობას ქვეშ არიან. ამას გარდა სასულიერო და სამხედრო ნაწილში და სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, რომელნიც ხსენებულს მზრუნველს არ ექვემდებარებიან, სწავლობს კიდევ თითქმის თორმეტი ათას სამასი კაცი (12,281). ამ რიცხვშიდაც რომ ასზე ათი ქართველი ვიანგარიშოთ, (ანუ 10,5%), გამოვა, რომ მთლად კავკასიის ყველა სასწავლებლებში თითქმის ცხრა ათას შვიდას სამოცდა (9,758) ქართველი სწავლობს, ე. ი. ერთი ბოვშვი ეზდება სასწავლებელში მხოლოდ ოთხმოც-და-შვიდ ქართველს.

სწავლა-განათლების საქმე ჩვენს ქვეყანაში, რომ ისე კარგ მდგომარეობაში იყოს, როგორც ვსთქვათ ევროპიის ბუნებით (და ისეც) ღარიბ სახელმწიფოში—ნორვეგიაში, სადაც ათას კაცში ერთს ძლივს შეხვდებით, რომელმანაც წერა-კითხვა არ იცოდეს, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. იქ ყოველ ექვს კაცში ერთი სასწავლებელში დაიარება. ჩვენშიაც რომ ისე იყოს, მაშინ ცხრა ათას შვიდასის (9,758) მაგივრის მაგიერათ ჩვენ ქართველთ ას ორმოც-და-ორი ათასი მოსწავლე მაინც გვეყოლებოდა. ნორვეგიაში, ყოველ სოფელში, სადაც ოც-და-ათი მცხოვრებელი მაინც დგას, უსათუოდ შკოლა არის გამართული. ჩვენში კი აი რასა ვხედავთ: სოფელს ჭულაშში თითქმის ოთხი ათას ექვსასი (4,596) სული დგას და იქაურ შკოლაში ორმოც-და-თვრამეტს (58) მეტი არა სწავლობს. მუხურაში ორი ათას ორას სულში (2,205) თერთმეტი (11) იზდება შკოლაში, სამეგრელოში სოფელს ხორშში სცხოვრებს ორი ათას რვაასი სული (2,791) და შკოლაში ეზდებათ მხოლოდ რვა (8) ყმაწვილი. ხორგაში თითქმის ორი ათას შვიდას სულში (2,673) შკოლაში

იზრდება თხუთმეტი კაცი (15). ეს კიდევ ძლივ იყოს; ან როგორი დიდი სოფლები არიან მაგ. ქუთაისის გუბერნიაში სრულებით უსასწავლებლოთ: ფერსათი, რომელშიდაც სცხოვრებს ათას ორმოც-და-ათი (1,049) სული, სურები—ათას შვიდასი (1,704), სამიქაო—ათას რვაასი (1781), ბებუთი—ათას ცხრაასი (1,901), ბედათი—ათას ცხრაასზე მეტი (1,943), ოცხანა—ათას ცხრაასზე მეტი (1,934), აბასთუმანი (სამეგრელოში)—ორი ათასზე მეტი (2,059), შრომა—ორი ათასზე მეტი (2,137), ჰახულანი—ორი ათას სამასამდის (2,267), უხუთი—ორი ათას ხუთასზე მეტი (2517), ყულის-კარი—ორი ათას ექვსასი (2,601), საზანო—სამი ათასზე მეტი (3,043) და ჯვარი—ოთხი ათას რვაასზე მეტი (4843). ვიმეორებ არც ერთ ამ ქალაქების ოდენა სოფლებში შკოლა არ არის.

მთელი კავკასიის სასწავლებლების შესანახავად, რომელიც სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს ექვემდებარებიან, სახელმწიფო ხაზინიდამ მმართებლობა ხარჯავს წელიწადში რვაას ოც-და-ორ ათასს ორას ორმოც-და-ექვს მანეთს და შვიდ შაურს (822,246 მ. 35 კ.), ე. ი. თვითონ კავკასიელის განათლებაზე ახარჯებს სამ შაურს და კაპეიკის მესამედს. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ფულიდგან სამოც-და-ცხრა ათას ექვსას ორმოც-და-თორმეტ მანეთ ნახევარი (69,652 მ. 50 კ.) კავკასიის სამასწავლებლო ადმინისტრაციას ეძლევა და ორმოცი ათას ას ოთხმოცი მან. (40,180 მ.) უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე კავკასიის შაგირდებს. ამ ბოლოს ნაჩვენები ფულით ას ჩვიდმეტი (117) კავკასიელი იზრდებოდა მაშინ უმაღლეს სასწავლებლებში; მათ რიცხვ-

ში ურევს თექვსმეტი ქართველი, რომელთაც ეძლევათ წლი-წადში ხარჯათ ორიათას სამას-სამოცი მანეთი (2360).

გარდა ამისა კავკასიის სასწავლებლებს შესანახავად აძლევენ ფულით შემწეობას ყოველ წელს კავკასიის ქალაქები და საზოგადოებანი, ასე რომ მთლად კავკასიის სასწავლებლების წლიური ხარჯი შეადგენს ერთს მილიონს რვაასს ოც-და-ოთხ ათასს ექვსას ოცდა-ორ მანეთს (1,824,622 მ.).

ამ შემთხვევაში შესანიშნავია ის მოვლინება, რომ ევროპიის რუსეთის ყოველი ქალაქი მეტს ხარჯავს თვითო თავის მცხოვრებლის განათლებისათვის, ვინემ რომელიმე კავკასიის ქალაქი. ავიღოთ მაგალითად თბილისი, როგორც კავკასიის მხარეში დიდითაც და შეძლებითაც უპირველესი ქალაქი და შევადაროთ განათლებაზე მისგან წლიური დანახარჯი ევროპიის რუსეთის რამდენიმე ქალაქების წლიურს ხარჯს.

თბილისი, რომელშიდაც ოთხმოც-და-თერთმეტი ათასი სული დგას (91,000) და რომლის ქალაქის საზოგადო გასავალი ოთხას სამოც-და-თხუთმეტ ათას მანეთზე მეტია (475,047 მ.), განათლებაზე ხარჯავს ოც-და-ოთხ ათას მანეთზე ცოტა მეტს (24,147 მ.) და თვითო თავის მცხოვრებლის განათლებისათვის ხარჯავს ოც-და-ექვს კაპ. (26). ტამბოვში მაგ. ოც-და-ექვსი ათასი (26,000) მცხოვრებია, სასწავლებლებზე კი ეს ქალაქი ორმოც-და-თერთმეტ ათას მანეთზე მეტს (51,359 მ.) ხარჯავს. ყოველ მოქალაქეს განათლებაზე ახარჯებს თითქმის ორ მანეთს (1 მ. 98 კაპ.)

როსტოვში (რომელიც დონზეა) ორმოც-და-ოთხი ათასი მცხოვრებია (44,000) და სამოცათასს ცოტას მანეთზე მეტს (60,510) ხარჯავს განათლების საქმეზე,—თვითო მოქალაქის განათლებაზე თითქმის შვიდ აბაზს (1 მ. 38 კაპ.)

კორპუსში ორი ზომა ნაკლებია, ვინემ თბილისში და თითქმის თფილისის ოლქის ხარჯავს განათლებაზე (23,161 მ.). ყაზანში თითქმის იმდენი მცხოვრებელია, რამდენიც თბილისში არის (93,000) და ოცდა-ჩვიდმეტ ათას მანეთს ხარჯავს განათლებაზე,—თვითო მოქალაქის განათლებაზე ორ აბაზზე მეტს (42 კ.) და სხვ.

რუსეთის სახელმწიფოში ცამეტი სასწავლებლო მაზრა არის, რომელნიც განათლების მინისტრს ექვემდებარებიან: პეტერბურღის, მოსკოვის, ხარკოვის, ყაზანის, დერპტის, კიევის, ვილნოსა, ოდესის, ვარშავის, ორენბურგის, თურქესტანის, ციმბირის და კავკასიის.

სწავლა-განათლების საქმე ყველაზე უკეთ დერპტის მაზრაში მიდის; იქ ას სულზე ორმოცდა-შვიდი (47,5$^0/_0$) სასწავლებელში იზრდება;—მერმე ვარშავისა, რომელშიდაც ასზე თითქმის ცხრამეტი (18,8$^0/_0$) იზრდება სასწავლებელში და შემდეგ მოსკოვისა, რომელშიდაც ასზე თითქმის თერთმეტი (10,7$^0/_0$) სწავლობს. ყველაზე მცირე თურქესტანის მაზრა არის, რომელშიდაც თითქმის სამას კაცში ერთი სწავლობს (0,3$^0/_0$); კავკასიის მაზრაში თითქმის ასი სამოც სულზე ორი სწავლობს (1$^2/_3$ $^0/_0$); საშუალო სასწავლებლებითაც ჩვენი მაზრა მეტად ღარიბია.

ციმბირის მაზრაში ხუთი (5) სავაჟო გიმნაზია არის და სამი საქალო, ორენბურგის მაზრაში ექვსი (6) სავაჟო და ხუთი (5) საქალო, ვილნოს მაზრაში—რვა (8) სავაჟო, კიევის მაზრაში—თერთმეტი (11) სავაჟო და ხუთი (5) საქალო, ხარკოვის მაზრაში—თერთმეტი (11) სავაჟო და რვა (8) საქალო, ოდესის მაზრაში—თორმეტი (12) სავაჟო და თოთხმეტი (14) საქალო, ვარშავის მაზრაში—თვრამეტი (18)

სავაჟო და თოთხმეტი (14) საქალო, პეტერბურგის მაზრაში თხუთმეტი (15) სავაჟო და შვიდი (7) საქალო, მოსკოვის მაზრაში—ოცი (20) სავაჟო და თორმეტი (12) საქალო, კავკასიის მაზრაში კი მხოლოდ—ოთხი (4) სავაჟო და ხუთი (5) საქალო.

თურქესტანის მაზრის საშუალ სასწავლებლებზე ლაპარაკი არც კი ღირს,—ერთი სავაჟო პროგიმნაზიის მეტი არავითარი საშუალო სასწავლებელი არ არის ამ მაზრაში.

აქედგან ვხედავთ, რომ თურქესტანის მაზრის გარდა, კავკასიის მაზრა განათლებით რუსეთის ყველა მაზრებზე უკანა დგას.

აქამდის ნათქვამიდამ მკითხველი დაინახავდა მხოლოდ ჩვენებური სასწავლებლების რიცხვის სიმცირეს, მათ სიცოტავეს; გარდა იმ ხასიათისა, იმ სულისა, რომელიც მათ ძვალ-რბილში აქვსთ გამჯდარი, და რომელიც ჯავრით არის ზემოთ ნაჩვენები, სხვა კიდევაც ბევრი არა გააჩნიათ-რა ჩვენებურ სასწავლებლებს

სახალხო შკოლები, მგონია, მისთვის უფრო გახსნეს ჩვენში, რომ წარდგინებაში სასწავლებლების რიცხვი მეტი აღმოჩენილიყო და მტერს არ ეთქვა, კავკასიის განათლებაზე არა ზრუნავენო. სწავლა ჩვენებურ სახალხო შკოლებში წერა-კითხვას ჯერ აღემატება: ორიოდე რუსული ლექსი და სიმღერა თუ გაიზეპირა ბავშმა, მერმედ ისიც უაზროდ, როგორმე კაჭკაჭივით, ის არის და ის, მით გათავდება მისი აღზრდა. თითქმის ყოველ ჩვენებურ სახალხო შკოლაში სრულებით მოუმზადებელი ოსტატი ასწავლის, რომელიც ან რომელიმე დაბალი კლასიდგან გამოურიცხავთ, ანი არა და ბევრი, ბევრი თუ უეზდის სასწავლებლის კურსი მაინც შეუსრულებია. სახალხო

შკოლების პროგრამმაც იმ ნაირად არის შედგენილი, რომ ხეირიანი მასწავლებელიც ვერას გახდება: ან მალა-უხებურათ უგულმა აწარმოებენ, ან არა და სასწავლებელს გამოათხოვებენ. ჩვენებური გლეხობა კარგათ გრძნობს, რომ ამ ნაირად აღზრდილი ბოვშვები ვერც იმ მწარე ოფლით მოპოებულ გროშს უზღვენ, რომელიც მათზე დახარჯულა და ვერც არავის თავის სწავლით გამოადგებიან; დრო რომ დაუკარგავსთ, მუშაობას მოსხლეტიან, ის კიდევ სხვა არის. ამიტომ არის, რომ ძლიერ ბევრგან იხვეწებიან ჩვენებური გლეხები, თუ შეიძლებოდეს გაგვათავისუფლეთ შკოლისაგანაო. ან კი ვინ გაამტყუნებსთ—პურს ითხოვენ და პურის ნაცვლად იმათ ქვას აჩეჩებენ ხელში!

დავანებოთ თავი ამ წვრილ სასწავლებლებს, რომელთაც ათასნაირი სახელები ჰქვიანთ, უეზდის, ქალაქის, დაწყებითი, ნორმალური (დაცინვა ხომ არ არის!) და სხვ., და შევუდგეთ საშუალი სასწავლებლების განხილვას.

გერმანიის გიმნაზიებზე ერთს მეტად გამოჩენილ მეცნიერს უთქვამს: რასაც ჩვენებურ საშუალ სასწავლებელში ასწავლიან, მერომ იმდენი ვიცოდე, ჩემზე უფრო სწავლული ევროპაშიაც თუ იქნება ვინმეო. ჩვენებურ საშუალ სასწავლებლებზე ამის თქმა თუმცა ძნელია, მაგრამ, უეჭველია, მეტის-მეტად შესანიშნავი გულისყური უნდა ჰქონდეს კაცს, რომ რასაც მათში ასწავლიან და სასტიკათ მოითხოვენ, ყოველივე დაიხსომოს და შეითვისოს. დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თვით მასწავლებელი ძნელად დაიჭერს ეგზამენს ჯერ და იმ საგანშიდაც, რომელსაც ასწავლის, არა თუ ყველა დანარჩენ საგნებში, თუ იმას ისე სასტიკად დაუწყე ცდა, როგორც თვითონ სცდის. ეს მიზეზია კიდეც, რომ ჩვენებური საშუალო სასწავლებლის გამოსავალ უმაწვილმა

რა-ვითხვის მეტი თითქმის არაფერი არ იცის. ამაში ადვილად დამეთანხმება ყინც ყოფილა უმაღლეს (განსაკუთრებით სპე-ციალურ) სასწავლებელში, რადგან კარგათ ესმება, რა ტანჯ-ვას და თავი-ვაზლახიც დასჭირვებია უმაღლეს სასწავლებელ-სათვის მომზადებაში. არც გეოგრაფიის სერიოზი ცოდნა, არც ისტორიისა, არც ლიტერატურისა და არც მათემატიკისა ჩვენ-ნებურ შაგირდს სასწავლებლიდგან არ გამოაქვს. ფიზიკა და მათემატიკური გეოგრაფია, მეხნია, მარტო ესტესტატებს დასამშვენებლად ითვლებიან. ლათინურ და ბერძნულ ენებს იმოდენად ვერა სწავლობენ, რომ ვერს გამთავემ ერთი უბრა-ლო წიგნი ლექსიკონისა და გრამატიკის შეუწევნელად გადათარ-გმნოს. ფრანცუზული და ნემეცური ენების ცოდნაზე ლაპარა-კი არც კი ღირს. მერვე კლასის შაგირდებში ნახევრობა ოლენდორფის და მარგოს ყველა სტატიებსაც ვერ გადათარ-გმნის, თუ სიტყვები არ მოსმენა და გრამატიკაშიაც არ ჩა-იხედა. ბუნებითი საგნები, სამშობლო ენები და ხატვა ხომ სრულებით მოძულებულნი არიან.

ამისთანა ცოდნას ყმაწვილი კაცი სწირავს თავის სიყმაწ-ვილეს, ჯანსა და ღონეს, თითქმის თავის სიცოცხლესაც! ამისთანა სწავლის შილებისათვის ის იტანჯება სასწავლებელში თითქმის ათ წელს და გამოდის იქიდგან უდროვოდ მოხუცე-ბული, გამხდნარი და წელში გაწყვეტილი!

შეიძლება, ამისთანა აზრი ჩვენებური სასწავლებლების მეთაურობაზე შემცდარიც იყოს, შეიძლება ძველ ენებს და ზო-გიერთ სხვა საგნებს ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებში ბევრათ უკეთ ასწავლიდნენ, ვინემ ჩვენ გვგონია, მაგრამ მაინც დარწმუ-ნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენებურ სასწავლებლებს აუ-არებელი ნაკლულევანებები აქვსთ. მასწავლებლებს და ინსპექტორს ნაკ-

ღუღქვანება იმაში მდგომარეობს, რომ მათში კურს გამთავეს არც იმისთანა სწავლა გამოაქვს, რომელიც პირად მას გამოადგეს ცხოვრებაში და არც იმისთანა, რომ საზოგადოების ხეირიან წევრად გამოდგეს, ესმოდეს ავი და კარგი და ცდილობდეს საზოგადო მდგომარეობის გაუმჯობესობას. ჩვენის აზრით, ბევრად უფრო საჭიროა, რომ კაცს საზოგადო ინტერესი ესმოდეს, უფრო საჭიროა იცოდეს რა დანიშნულება აქვს საზოგადოებას, რა მოვალეობა მართებს მის წევრებს, როგორ საშუალებას უნდა ხმარობდეს თვითეული წევრი კარგი წყობილების დაცვისა ანუ დადგინებისათვის და მავნებელთ მოსპობისათვის, ვინემ კერძო ცხოვრებისათვის გამოსადეგი ცოდნა.

ბევრნი ჰფიქრობენ: საზოგადოება ხომ წევრებისაგან შედგება და თუ თვითეული მათგანი პატიოსანი, ჭკუიანი და შრომის მოყვარე იქნება, უეჭველია, საზოგადოებასაც რიგიანი წყობილება ექნებაო, თუ არა და, რაც უნდა კარგი წყობილებაები ჰქონდეს საზოგადოებას, მის წევრებს ყოველთვის შეუძლიანთ ამ წყობილებათა გაფუჭება, ან სრულიად მოსპობაო. ამისათვის სწავლა უნდა ზრდიდესო პატიოსანს, ჭკვიანს და შრომის მოყვარე ადამიანს და არა საზოგადოების წევრსა. ძლიერ შემცდარი აზრია. არც პატიოსნება, არც ცოდნა და არც შრომის მოყვარეობა კაცს არ გამოადგება იმისთანა ქვეყანაში, სადაც პატიოსნობა დანაშაულობად ითვლება, ცოდნათ უბრალო სამკაულად და შრომა სამარცხვინოთ. საზოგადოებაში მყოფი ადამიანი თევზსა ჰგავს: როგორც თევზი დამპალს, ანუ მოწამლულ წყალში ვერ იცოცხლებს და უცებ დალევს სულს, ისე ადამიანს ცუდად მოწყობილი საზოგადოება გაა-

ფუჭებს, მის პატიოსნებას გარყვნის, მის შრომის მოყვარე-ობას ფეხებში ბორკილს შეუყრის, მის ჭკუას ლოდს და-ადებს.

ჩვენებურ სასწავლებლებში, რომ საზოგადო იდეალებს არ ასწავლიდნენ, რა გასაკვირველია. ჩვენში საზოგადოებისა-თვის ფიქრიც დანაშაულობათ ითვლება, არა თუ მასზე ზრუნ-ვა, მისთვის ღვაწვა. თვით საზოგადოება იმ „არა მკითხეთ“ მიაჩნიათ, ვის მაგიერათაც სხვები ფიქრობენ და ზრუნვენ. რაღა ჯანია, საზოგადოებაც ერთ-ხმათ იძახის: „იყავნ ნება შენიო.“ თუ გამოჩნდა ვინმე მისთანა, რომელმაც აღიარა, რომ საზოგადოება თავის სურვილს, ავს და კარგს თვითონ უკეთ მისვდება, ვინემ სხვა ვინმე და უფროც შესტკივა გუ-ლიო, მას ლაგამს ამოსდებენ პირში. მაშ მისთანა სწავლას მაინც უნდა აძლევდეს კაცს ჩვენებური აღზრდა, რომ კერ-ძოთ თვით ყმაწვილ კაცს გამოადგეს ცხოვრებაში. ერთი მიბრძანეთ, რაში უნდა გამოიყენოს კაცმა ის ნაწყვეტ-ნაწყვე-ტი ცოდნა, რომლითაც ჩვენებურ სასწავლებლებში გამთავეს თავი აქვს გატენილი?

თუ კურსის შესრულების შემდეგ თვითონ არ ეცადა ხელ-ახლად რამე ცოდნის მიღებისათვის, ჩინოვნიკათ თუ გა-მოდგება, თორემ თავის ცოდნით და შრომით თვით თავის რჩენასაც ვერ შეიძლებს. ამ ორ ძლიერ შესანიშნავ ნაკლულე-ვანებაებს გარდა ერთი ცუდიცა სჭირს ჩვენებურ აღზრდას: ის სრულებით არა ზრუნავს მოსწავლეთ ჯან-მრთელობაზე. ძველ ხალხთაც კი ესმოდათ, რომ ადამიანი თუ ჯან-მრთელი არ არის, ვერაფერ ცოდნას ვერ გამოიყენებს და სხვის ბარ-გად გახდება; რომაელები აღვიარებდნენ, რომ სნეულს, სუსტს კაცს ცოდნის მიღებაც ნაკლებ შეუძლიანო; მათში ანდაზა-

საჭით იყო გავრცელებული ეს აზრი (mens sana in corpore sano).

ჩვენი დროის ხალხებთაგანში ინგლისელებმა მიაქციეს ამ საგანს დიდი ყურადღება. იმათ ჯანის გამავარჯიშებლად ათასი რამ აქვსთ შემოღებული მოსწავლეთათვის: კროკეტი, ჭიდაობა, ჯირითი, ყინულზე სრიალი, ნავებით ერთმანერთის დევნა და სხვ. სხვათა შორის ეს მიზეზია, რომ ინგლისელები ისეთი ჯან-მრთელნი, მხნე და გამბედავები არიან. ჩვენებურ სასწავლებლებში კი ყველგან გიმნასტიკასაც ვერ იპოვით, და ზოგან საგიმნასტიკოთ დანიშნულ დროს სხვა რამეს ახმარებენ. უბრალო ცელქობის გულისათვის საბრალო ბავშვებს ხშირად კარცერში სმენ, ან უსადილოთ სტოვებენ. ამ მიზეზების გამო ჩვენებური სასწავლებლების შაგირდი დაჭლექებული, ფერ-მიხდილი დაიარება. ერთი მიბრძანეთ, რა შრომა, ან რა ბრძოლა შეუძლიან ამ უდროვოდ მოხუცებულს, რომელსაც სრულებით არავითარი განსაცდელის ატანა არ შეუძლიან?

აქამდის ნათქვამიდამ მკითხველი დაინახავდა ჩვენებური სასწავლებლების როგორც სიცოტავეს, აგრეთვე საცოდავ მდგომარეობას. როგორც ექიმობის ვალია სნეულობის ჩვენება და წამლის მიცემაც, ისე ლიტერატურაც მოვალეა უჩვენოს საშუალება, რომლითაც განიკურნება ჩვენებური სასწავლებლების სენი. უეჭველია, რომ მათი ფეხზე დაყენება, მათი აყვავება მთელს ჩვენს ეკონომიურს და საზოგადო ცხოვრებაზეა დამოკიდებული და არც ასე ადვილად შეიძლება; მაგრამ გაუმჯობესობა ძლიერ შესაძლოა, თუ კი ლიტერატურის და საზოგადოების ხმა არ დარჩება, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“ ჩვენ თავი შეუმცდარათ არ მიგვაჩნია და არც

სპეციალისტობას ვჩემობთ, მაგრამ გამოვსთქვამთ ერთს წინადადებას, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ჩვენებური სწავლის საქმისთვის მიუცილებლად საჭირო არის.

სასწავლებლების მდგომარეობა, მათი ბედი და იღბალი მთლად საზოგადოების ხელში უნდა იყოს; საზოგადოება უნდა ადგენდეს მათთვის პროგრამმას, ირჩევდეს მასწავლებლებს და მართველებს, და ინახავდეს სასწავლებლებს თავის ხარჯით.

რაც უნდ გენიოსი იყოს ერთი პირი, რომლის ხელშიდაც იქნება სწავლა-განათლების ბედი, ის მაინც უფრო მეტათ შესცდება, ვინემ მთელი საზოგადოება. საზოგადოებამ თავისი ჭირი და ლხინი, რასაკვირველია, სხვაზე უკეთ თვითონ იცის და თავისი შვილიც ყოველ კაცს თვითონ უფრო უყვარს, ვინემ სხვას ვისმეს; ამისთვის, უეჭველია, ეს საზოგადოება ყოველივე ღონისძიებას იხმარს ისე აღზარდოს ყმაწვილ-კაცობა, რომ შვილს შეეძლოს პატიოსნური შრომით თავისი თავის რჩენაც, მშობლებისა და საზოგადოებისა შეწევნაც. შეიძლება მიუჩვეველმა საზოგადოებამ თავ-და-პირველვე ვერ მოახერხოს ამ საქმის რიგიანად დაწყება და წაყვანა; შეიძლება პირველად უარესათაც წავიდეს საქმე, ვინემ ახლა მიდის; მაგრამ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ სწავლა-განათლების ცუდი თან-და-თან შემცირდება, უსინდისობა და უგულობა, ბოლოს დროს, დაუთმობენ ადგილს პატიოსნურ, გაცხარებულ მოქმედობას, და ჩვენებური სასწავლებლებიდგან გამოვლენ ყმაწვილები, რომელნიც სასიქადულოდ ეყოლებათ მშობლებსაც და მთელ საზოგადოებასაც.

რასაკვირველია, ამ საქმეს შეძლება დიდი დასწირდება და ბევრს საჭიროდ ეჩვენება, შეიძლებისოთუ ზრა საზოგადოების მართებლობის შეუწყევნად ჩვენებური სასწავლებლების რიგიანად შენახვას. ვინ არ იცის, რომ კავკასიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი ისარჯება სამხედრო ნაწილზე და ადმინისტრაციაზე. ჩვენ დღეს იმისთანა დიდ სახელმწიფოს ვეკუთვნით, თან შედარებით ისე მცირე სახელმწიფოები გვყავს მეზობლად, რომ გარეგანი მტრისა სრულებით არ უნდა გვეშინოდეს. აბა ვის შეუძლიან შეესიოს რუსეთს მამულში და აუოხროს საქართველო: სპარსეთს, ოსმალოს თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს?! რასაკვირველია, თუ კი თვით იმათ არავინ წაედავება, ერთი რუსის სალდათიც რომ არ დარჩეს საქართველოში, ვერც ერთი მათგანი საქართველოს დაპყრობას ვერ გაბედავს. მაშ რა საჭიროა იმოდენა ჯარების დაჭერა ჩვენში, როგორც ახლა ვხედავთ? მაგრამ იქნება შინაური მტერი ეგულებოდესთ ჩვენში? იქნება კიდეც ამისთვის ეჭიროსთ ჩვენში ამოდენა ჯარი და ადმინისტრაცია და ამისათვის ხარჯავდნენ მათზე ამოდენა ფულს? უნდა გამოვტყდე, რომ შინაური მტერი სწორეთა გვყავს და კიდეც უნდა დავაბეზღო ის მართებლობასაც და საზოგადოებასაც. მოჰკიდეთ ამ მტერს ხელი და სული ამოაძვრეთ! ეს მტერი ჩვენს ქვეყანაში იმალება დღეს და სახელად ჰქვიან ეკონომიური სილატაკე და გონებითი დაბნელება. ამის მეტი მტერი ჩვენს მართებლობას და საზოგადოებას არავინაჰყავს. მაგრამ მის დასათრგუნავად არც ზარბაზანი გამოდგებადა არც მათრახი; მას ვერც შტიკიანი სალდათი დასძლევს, ვერც მათრახიანი გოროდოვოი. ეკონომიური კეთილ-დღეობა, საყოველთაოდ რიგიანი სწავლა, მიუდგომელი, პატიოსანი

მართლ-მსაჯულება და სხვანი—აი ის საშუალება, რომლითაც ზეზეულად ჩამოხმება და სული ამოძვრება ჩვენებურ შინაგან მტერს.

დ. ა. აბდუშელიშვილი.

28 თებერ. 1881 წ.

---

## შინაური მიმოხილვა.

აგერ თხუთმეტი წელიწადია, რაც რუსეთის რევოლიუციონერებმა განიზრახეს ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე II განმათავისუფლებელის მოკვლა იმ აზრით, რომ რა არის დაარღვიონ ახლანდელი სახელმწიფოს წყობილება, გადმოაბრუნონ რუსეთის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ცხოვრება. არა ერთხელ სცადეს იმათ სხვადა-სხვა საშუალებანი თავიანთ განზრახვის აღსრულებაში მოსაყვანად, თუმცა უნაყოფოდ. ამ ავსა განზრახვისათვის და მის შესასრულებლად საქმით შეცდისათვის არა ერთი იმათგანი მოშორდა მზეს და სამშობლოს, მაგრამ უნაყოფოდვე. როგორც იმათ გაუძნელდათ თავიანთი წადილის ასრულება, აგრეთვე მართებლობისათვისაც ამათ შეიქნა იმათი თავიდგან მოშორების მეცადინეობა. რევოლიუციონერები თან-და-თან გამრავლდნენ და მოჰფინენ არამც თუ რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიაც, უფრო ვიწროდ შეკავშირდნენ ერთმანეთთან და შეერთებულის ძალით დაუწყეს დევნა განსვენებულს იმპერატორს მოსაკვლელად. პირველ მარტს მგომარის წლისას ისინი მიეწივნენ თავიანთ წადილს — მოჰკლეს თვით-მპყრობელი რუსეთისა და მით შეაძრწუნეს და აღელვეს მთელი ერი საშინელებით. როგორც გარემოებებისაგან

სჩანს, დიდი მზადება, დაწყობილება და საშუალება ჰქონიათ რევოლიუციონერებს ამ საქმის შესასრულებლად.

პირველ ყოვლისა, რევოლიუციონერები შეცდილან პატარა სადოვის ქუჩის ქვეშ თხრილის გაყვანას, რომელშიაც დაუწყვიათ ასაფეთქებელი წამლები. ამ საქმეში იმათ უხელმძღვანელებიათ იმ აზრით, რომ რა არის აეფეთქებინათ ეს ადგილი ხელმწიფე იმპერატორის გავლის დროს, რადგანაც ამ გზით განსვენებული იმპერატორი შებრუნდებოდ ახოლმე თავის მემკვიდრის სასახლეში. იმ ნაირათ ყოფილა ეს თხრილი ასაფეთქებელი წამლებით (მინა) დამზადებული, რომ იმაში სჩანსო, როგორც გვატყობინებენ ტელეგრამმები, უკანასკნელი სიტყვა მინების გაყვანის სწავლისა, და, თუ აეფეთქებინათო, თითქმის ნახევარ ვერსზედ ირგვლივ ყოველიფერს მიანსხვრევმოანსხვრევდა და არავითარი დიდი შენობა მას ვერ გადაურჩებოდაო.

ამ თხრილის გაყვანა რევოლიუციონერებს მოუხერხებიათ მენგდენის სახლის სარდაფიდგან, რომელიც დაუქირავათ ვითომც ყველის დუქნათ. პოლიციას ეჭვი აღუღია ამ ტყუილ ყველის დუქანზედ, მაგრამ გენერალს მროვინსკის, რომლისთვისაც მიუნდვიათ იმის შემოწმება, არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება, „დელიკატნობის“ გამო, როგორც თურმე თითონ ამბობს, რისთვისაც მისცეს სამართალში და დაითხოვეს სამსახურიდგან. ეს მინა უკვე შეამოწმეს და ამოავსეს მიწით.

გარდა ამისა, სხვაფრივ და სხვა საშუალებითაც შეცდილან რევოლიუციონერები თავის განზრახვის აღსრულებას. მესაძრწუნებელის შემთხვევის რამდენიმე კვირის წინათ, განსვენებულს იმპერატორს მიუღია ფოსტით სამძღვარ-გარეთიდგან კოლოფი, ვითომც გულის სისუსტის წინააღმდეგი აბებით

სავსე, როგორ ავათმყოფობასაც გრძნობდა ხოლმე ისე, თურ-მე ფილტვის ძარღვების გაგანიერების გამო. ეს კოლოფი განსვენებულ იმპერატორს გაუგზავნია შესამოწმებლად დოქ-ტორი ბოტკინისთვის, რომელსაც დაუგდია უყურადღებოთ, რაკი კოლოფის გარშემო შემოხვეული ძაფის შემოხსნის დროს რაღასაც უფეთქნია. როდესაც შეამოწმეს ეს ამბავი აღმოჩნ-და, რომ ასაფეთქებელი წამალი ყოფილა და, რომ დანოტიებული არ ყოფილიყო, შეეძლო თურმე, არამც თუ კაცის მოკვლა, არამედ სახლში ყოველიფრის მინსხვრევ-მონსხვრევაც. არა ნაკლებ შესანიშნავები ყოფილან ის ასაფეთქებელი ყუმბარებიც, რომლებიც პირველ მარტს ესროლეს რევოლიუციონერებმა თავიანთი განზრახვის შესასრულებლად და რომელსაც ჰკეთებენ თურმე ქალები.

როდესაც ამ გვარათ მომზადებულან რევოლიუციონერე-ბი, იმათ შვეიცარიაში ჰქონიათ სჯა იმაზედ, თუ ვის უნდა მოეყვანა აღსრულებაში იმათი განზრახვა, როგორც ამბობს როშფორი, ოც-და-ათ კაცს განუცხადებიათ შესახებ ამ საქმი-სა თავიანთი სურვილი; მაგრამ იმათგან ამოურჩევიათ მხო-ლოდ ხუთი, რომლებიც წარმოუგზავნიათ პეტერბურღში, სა-დაც იმათ შეერთებიან იქ მყოფნი რევოლიუციენერებიც. ამას-თანავე, რამდენიმე კვირის წინათვე, უცნობებიათ პეტერბურღში, რომ ხელმწიფე იქნება მოკლულიო.

ორი კვირის განმავლობაში გრაფ ლორის-მელიქოვს უფრთხილებია განსვენებული იმპერატორი ჯარების დახედვი-საგან. პირველ მარტს კი ხელმწიფეს უნებებია მაინც-და-მა-ინც იმათი დახედვა და უკანასკნელიც შეიქნა იმისთვის ეს დღე. როდესაც ჯარების დახედვის შემდეგ იმპერატორი დაბრუნებულა თავის სასახლეში და მიახლოებულა ეკატერი-

ნეს არხთან, მის კარეტის ქვეშ შეუგდიათ ერთ რევოლიუციონერებთაგანს — გორნი ინსტიტუტის სტუდენტს რისაკოვს ასაფეთქებელი ყუმბარა, რომელსაც კარეტა შუაზედ გაუწყვეტია, მაგრამ ხელმწიფისათვის კი არა უვნია-რა. იმპერატორი გამობრძანებულა კარეტიდგან, დაუწერია პირ-ჯვარი და უნახავს უკვე დაჭერილი რისაკოვი. მიბრუნებულა იმპერატორი კარეტის დასათვალიერებლათ, თუ რა ნაირათ იყო დამტვრეული, და ამ დროს ვიღაცას თვით ხელმწიფის წინ დაუხეთქებია იმ გვარივე ყუმბარა, რომელსაც მოუნტვრევია ორივე ფეხები. იმპერატორი დაცემულა თოვლზედ. იგივე დამართვიათ ბარე თვრამეტ სხვა პირებს, თუ იმის მხლებლებს, თუ სხვებს, რომლებიც ზოგი მაშინვე მომკვდარან, ზოგი კიდევ მძიმეთ დაჭრილან. ისეთი დიდი ძალა ჰქონებია მოხსენებულ ყუმბარებს, რომ ამ შემთხვევის ადგილთან უფრო დაახლოებულ შენობაში მრავალი ფანჯრები დამსხვრეულან. ყუმბარის ხმაზედ მობრძანებულა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და იმპერატორი წაუბძანებიათ სასახლეში, მაგრამ, სისხლისაგან დაცლის გამო, მალე განუტევებია სული.

იმავე დღეს მემკვიდრე ცესარევიჩი დიდი მთავარი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ავიდა მამის ტახტზედ ალექსანდრე III სახელით და მიიღო ერთგულებაზედ ფიცი სასახლის წევრთაგან და სხვა სახელმწიფო წარჩინებულ პირთაგან. შემდეგ დღეებში დაფიცებული იქმნენ ახალი ხელმწიფის ალექსანდრე მესამის ერთგულებისათვის ყველა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ქვეშევრდომნი განურჩეველად წოდებისა. ახალმა იმპერატორმა აცნობა ყველა სახელმწიფოებს იმპერატორის ალექსანდრე II-ს მიცვალება და თავისი ტახტზე ასვლა, რომლებმაც თავიანთის მხრით

გამოუცხადეს გულითადი თანაგრძნობა მწუხარებაში. დიდი თანაგრძნობა და ქვეშევრდომითი ერთგულება გამოუცხადეს ახალ იმპერატორს სხვა-და-სხვა მის სამფლობელოს ქალაქებმაც და სხვა-და-სხვა გუბერნიის თავად-აზნაურობამ.

პოლიცია თავის მხრით ფიცხლად შეუდგა დამნაშავების ძებნას და რამდენიმე იპოვეს კიდეც: ზოგი იმათგანი ქალები არიან და არა ნაკლებ კაცებისა მიუღიათ მონაწილეობა იმ საშინელ საქმეში, რომელმაც ასე თავ-ზარი დასცა მთელ რუსეთის იმპერიას. ზოგიერთ დამნაშავებს სიკვდილი ურჩევიათ სამართალში ჩავარდნას და მაშინვე თავები მოუკლავთ, რადგან გაუგიათ, რომ დაჭერა აღარ ასცილდებათ. რისაკოვისათვის უკვე აგებულია სარჩობელა და ელოდებიან მხოლოდ მისგან ჩვენების ჩამორთმევის გათავებას. ამ რისაკოვის ჩვენებით, ის დამნაშავე, რომლისაგანაც დასხეთქებული ყუმბარის მსხვერპლი გახდა განსვენებული იმპერატორი, თითონაც სხვათა შორის იქვე და იმავე ყუმბარით მომკვდარა. გაზეთების სიტყვებით, დატუსაღებულ რევოლიუციონერებში უფრო შესანიშნავები ნიჭით და სწავლით არიან ჟელიაბოვი და მილორდი, განსაკუთრებით პირველი, რომელსაც გენიოსადაც კი სთვლიან.

თუმცა პოლიცია გაცხარებული სძებნის და პოულობს კიდეც ზოგიერთ რევოლიუციონერებს, რომლებსაც მიუღიათ მონაწილეობა ხელმწიფის მოკვლაში, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან. ახალი იმპერატორის ტახტზე ასვლის რამდენიმე დღის შემდეგ, პეტერბურღში გაჩნდნენ რევოლიუციური პროკლამაციები, რომლებშიაც ამ ახალ იმპერატორსაც ემუქრებიან. . . .

ჭეშმარიტად, ძალიან დასაფიქრებელს გარემოებას ვხე-

დავთ, დასაფიქრებელს მით უფრო, რომ, როგორც ლონდონიდგან გვატყობინებენ, დიდი მოძრაობა ატეხილა იქ მყოფ რუსეთის რევოლიუციონერებში და იმათი თავოსნები აღარ მოიპოვებიან თურმე იქ, სადღაც გამქრალან. რუსეთის ლიტერატურა კი ჩვეულებრივ არ უცხადებს რევოლიუციონერებს თავის უკმაყოფილებას, არ კიდევ ურჩევს სამეფო სასახლეს მოსკოვში გადასახლებას. როდემდის უნდა გატყუოთ ასე ან სხვა, ან კიდევ ჩვენი თავი?! ამ გვარი საშუალებანი ბევრი დახარჯა, მაგრამ ყველა ამაო გამოდგა—რევოლიუციონერები მაინც თავისას არ იშლიან. ვერც იმ საშუალებამ, რომელსაც აქამდის მართებლობა ხმარობდა რევოლიუციონერების მოსასპობლად, გააწყო რამე,—როგორც ვხედავთ. დრო არის გაიღვიძოს ლიტერატურამ, გამოაფხიზლოს თვალები და შეუდგეს თავის წმინდა მოვალეობას—ამ შემაძრწუნებელი მოვლინების ნამდვილი მიზეზის გამოკვლევას და იმის ძირში ამომფხვრელი საშუალებების ჩვენებას!...

მიხეილ გურგენიძე.

16 მარტს, 1881 წ.

# პოლიტიკა.

ომიანობა.—გაცვეთილი ფრაზა დიპლომატებისა ომის შესახებ.—მათი ნამდვილი წადილები.—ხალხის მდგომარეობა დიპლომატების ხელში.—მართალი და ცრუ პატრიოტობა.—რუსეთი ომიანობის დროს და მის შემდეგ.—წლევანდელი რუსეთი.—ჩვენი განცვიფრება.—უცოდინრობა მომავლისა.—სევდა და ნუგეში.

ვინ მოსთვლის, დღეში რამდენი ფუთი თოფის წამალი იწვის მთელ დედამიწაზე და რამოდენა სხვა, ჯანიანი კაცი სცდება თოფების დაცლა-გატენაში, მშვიდობიანობის დროს! ახლა ამ წამლის გამკეთებლები აიღეთ, იმის გადამტან-გადმომტანები, წამლის მაღაზიების მცველები, ზოგი და დარაბა. თოფებს გაესმით თქვენ გარშემო გრიალი, თითქო უშველებელი ომიანობა ატეხილა და, ხაცა, მტერი დაგვეცა ან გვკლებსო. თვალი კი სჭირდებათ მხოლოდ დათვალიერებულ ფიცრებს, რომლებიც ხდებიან მსხვერპლათ დანიშნული თოფებისა! სხვა არაფერი. ნიშანში სროლას სწავლობენ სალდათები. რა ურიგო საქმეა! ხელში კაცს სიმარჯვე ემატება, თვალი მეტ-ნაკლებობას ეჩვევა. რასაკვირველია, ამ ოფიცრების წარმატებას სხვა გზითაც მოეწყობა კაცი, მაგალითად, კალატოზობით, დურგლობით, ხუროობით, სადაც რამდენათ თვალი ზომას საჭიროებს, იმდენათ ხელში ღონეცა და სიმარჯვეც; მაგრამ თო-

ფით სროლა კიდე სხვა რამ არის—ას—ორას საჟენზე ამო-
ილებ ნიშანს და ხელს ისე ავარაუდებ, რომ იმ ნიშანს არ
ააცდინო თხილის გულის ოტელა აბი. ეს დიდი რამ არის და!
ვინ არ ინატრებს კაი თოფის სროლას, მეტადრე როდესაც
გულზე ათასი ბოღმა გაწევს, გინდა მოაშორო თვალი ყვე-
ლაფერს, რაც შენ გარშემო ტრიალებს, ფუთ-ფუთებს, გააქვს
ერთი უშველებელი ალიაქოთი, ყალ-მაყალი,—გინდა დრო-
ბით შეასვენო ყური და აღარ გაიგონო ამისთანა მომსიბლა-
ვი და გამამწარებელი ამბები: „მიხაკო მოჰკლეს ინტრიგანებ-
მა“, „ნიკომ თავი მოიკლა, რადგან ქვეყნის სიმურტლეში ვერ
შესძლო ცხოვრება,“ „ასიკო დაახრჩეს წესიერების უწესო-
მოთავეებმა,“ ვანო ციხეში დასტანჯეს, აწვალეს, სცემეს, იმან
ვეღარ აიტანა უზომო წამება და სული განუტევა,“ „ექვთიმე
გაატყავეს, გაკრიჭეს, გაცარცვეს, შესჭამეს მთლიანად და დას-
ვეს ცარიელზე ქვეყნის დოვლათებმა, რომლებიც დაიარაღე-
ბულან ნატარიუსის კანონებით და შუადღისას დაუსჯელათ
სცარცვავენ და არბევენ ქვეყნიერობას,—ეხლა საბრალო ექვთი-
მე, ეს ერთ დროს მიუბაძავი გამრჯე და მხნე მუშა, ეს ექ-
ვთიმე კარის-კარ დაიარება და ლუკმა პურსა თხოულობს შე-
უბრალებელ ქვეყანაში...“ გინდა გაექცე ამისთანა ლექსებს,
მირბიხარ შორს, ქალაქ თუ სოფელ გარეთ, რომ აღარ შეგ-
ხვდეს ადამიანის წამხდარი და წამურტლული არსება, გინდა
შეიხვენო დიადი ბუნების ილიაში, დასტკბე იმისი ჩუმი
სიბრწყინვალით. ტყე და ღრეები მთა და ბარი გეხლართებიან
ან გზაში. გავიწყდება ხალხის უბედური, წამხდარი და უსა-
მართლო ცხოვრება. ელტვი როგორმე ახვიდე უმაღლეს წერ-
ტილზე და გადაავლო თვალი განუსაზღვრელ ბუნებას, გინდა
გაიგო ტყისა და ველის მიჯნები, ადევნებ თვალს მთა-ველე-

ების მიმართულებას, მათ უცნაურ ფორმებს. აგერ, მთის წვერზე გადმოდგა გარეული თხა. როგორი სითამამით და უშიშრათ დაჰყურებს ძირ ველსა! გინდა ახლოდამ გაშინჯო, წაავლო ხელი რქებზე, დაუკოცნო მარდი და მოცქრიალე თვალები, მაგრამ ახლო რომ არ მიგიშვებს! გინდა იმის სუფებით აამისმისო „მწვადი მცვრიანი," მაგრამ ვინ მოგართმევს? აბა, კარგი არ არის, რომ ამ დროს შენ იცოდე კი ნიშანში სროლა, თანა გქონდეს შენი მაყარა, უმიზნო, დაახმაურო სულ-განაბული ბუნება და ძირსა სტყორცნო შენი მარჯვენით მოკლული თხა! რამოტელა სიამაყე და ვაჟ-კაცობა გემატება ამითი! რა ნაირათ გეზრდება შენი თავის იმედი!... რას ამბობ, ერთი ათათ იქცევი ამისთანა გამარჯვებით! მასთან, განა მარტო მაშინ გემართება ასეთი სასიამოვნო ცვლილება, როდესაც გარეულ თხას ჩამოაგდებ მთიდამ! უბრალო ჩიტირა არის, იმასაც რომ უმიზნო და ნიშანში მოარტყა, ესეც გაგულადებს და გამხნევებს, ფეს გადებს შენ საკუთარ თვალში.

ერთი სიტყვით, ძალიან კარგი რამ არის თოფის ავან-ჩავანის შესწავლა. ნეტავი სულ ყველამ ვიცოდეთ. ნეტავი ყველას გვასწავლიდნენ! ცხოვრების სიმწარეში ამით ჩაერეოდა სიტკბო და სიამე, გვიმაღავათებდა.

მაგრამ, არა, ყველას როდი გვასწავლიან. წამალს ვერც კი ვიშოვნით, რომ ჩვენთავათ, უხელმძღვანელოთ ვისწავლოთ. ასწავლიან მხოლოდ „ამორჩეულთა." ეს ძალიან მავნე და დასახარბებელი პრივილეგიაა, ერთის შეხედვით. მაგრამ დავანებოთ თავი სიმშურნეს და აბა გავშინჯოთ ეს პრივილეგია— ღირს, რომ ჩვენც მოვითხოვოთ იგი, ღირს, რომ შევეცილნეთ „ამორჩეულთ?" მართლა სიამოვნებისთვის ასწავლიან ამ

„ამორჩეულთ,“ თუ ისინი მუხლის კვრებზე ევედრებიან მაც-ხოვარს, რომ იმან დაიფაროს იგინი „ამორჩევისგან?“ ალბათ კარგი არ უნდა იყოს ეს პრივილეგია, რადგან იგი რყვნის არა მარტო დიდ-კაცთა, არამედ და ძალიან მომატებულად გლეხ-კაცობას, რომლისთვისაც საზოგადოთ ყოველგვარი პრი-ვილეგია უცხო-მოუყრებელია!

* *
*

გლეხი კაცისათვის ვისა და რომლის მოუნდომებია წრეს გარეშე ხელის შეწყობა, რომელსაც პრივილეგიას უძახიან, რომ თავის სოფლაში მართლა იმის სიამოვნებაზე ჰფიქ-რობდეს ვინმე? ხელის შეწყობა წრეს გარეშე კი არა, ყოველ ნაბიჯზე ჩვენა ვხედავთ, რომ ამ წრეშიაც არ ეცხოვრება გლეხ კაცს, ამ ერთი ბეწო, ვიწროთ შემოფარგლულ კუთხე-შიაც ყველანი სულსა ხდიან იმას, ვისაც კი უნდა და არ უნ-და. ან ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ არ ამოხადოს სუ-ლი და თითონ არ ჩაიდგას! ან ვინ დაუშლის? გარეშე პირს რა ენაღვლება, ის კიდეც დაგეხმარება, ოღონდ ნუ დაივიწ-ყებ და დახმარებისთვის შენც სიკეთე გაუწიე! თითონ გლე-ხი კიდე უენო და გაუგებარია. ის უარს არ გეტყვის—ვერ გაჰბედავს, იმასა ჰგონია, რომ სხვა დანიშნულება არა აქვს-რა, გარდა იმისა, რომ შენი ჭირის სანაცვლო იყოს აკვნიდგან მოკიდებული კუბომდის! იმას კიდეც გაუკვირდება, გემრიელად ამოისუნთქებს, ჯვარის ხატს „კელეპტარს“ დაუნთებს, თუ შენ როგორმე დაფიქრებულმა გაუარე ახლო და არ ამოურიე ხელი იმის ჯიბე-უბეში, იმის სულსა და გულში, იმის ძვალ-სა და რბილში. ის ისეა მიჩვეული თავის ყოველ მხრივ შე-ვიწროებას, რომ პრივილეგია თავის დღეში ფიქრათაც არ მო-უვა. იმისი სანატრელი მხოლოდ ის არის—„არა მინდა-რა შენი,

ოლონდ დამანებე თავი, მერე მე ვიცი." იმას რომ სადმე პრივილეგია ენახა, გაირყვნებოდა და მაშინ ვინღა გაბედავდა იმის შევიწროებას—ყველას დაივიწყებდა და სულ გუდით ქვას აკრეფინებდა!..

ალბათ არც ამ თოფ-იარაღის ხმარებაში უნდა იყოს წრეს გარდამეტებული შეწყობა და ვისთვისმე სასარგებლო საგანი. ალბათ იმიტომ კი არ ასწავლიან—წადი, იმუშავე [illegible]-რაში ექვსი დღე, იწურე შუბლზე ოფლი, შეინახე ჯერ მთავრობა, მაღალი წოდება, ათასი მუქთა ხალხი, მერე ცოტაოდენი შენთვისაც გადადე, რადგან შენც ცოდო ხარ, მშიერი არ მოკვდე, და მეშვიდე დღეს, კვირას, გადიგდე თოფი მხარზე, გასწი სანადიროთ, რომ ცალკე კბილი გაისისხლიანო, ცალკე ნადირობით შეისვენო, ისიამოვნო, გაიხარო, გაახარო სახლობა და მერე ისევ შეუდგე მძიმე ტვირთსა—უცხოების ფაშვების გამოტენას და შენი ჯიშის მოტყუებასათ!.. ალბათ თოფების სროლას სულ სხვა დანიშნულება უნდა ჰქონდეს და ამ დანიშნულებით ავიწროებდეს ისეც შევიწროებულ გლეხ-კაცობას.

ამ ტეორეტიკულ მოსაზრებიდგან რომ გადავიდეთ თითონ საქმის გარჩევაზე, უფრო აშკარათ დავრწმუნდებით ჩვენ მოსაზრებაში. მართლაც, მთელი ქვეყნის სახელმწიფოებში, დილიდგან საღამომდის, რათ ჩასჩიჩინებენ ამოტელა სალდათობას თოფ-იარაღის ხმარების სეკრეტებს? რათა სწვამენ ამოტელა წამალს? რათ აკეთებენ ამოტელა თოფ-იარაღს და ისევ თითონვე რათ ასდენენ სალდათების სწავლების დროს? რათ აცდენენ ამოტელა ხალხს, როდესაც საზოგადოთ ყოველი ხალხი ასე ღარიბია და ყოველი მუშა იმისთვის ძვირფასი განძია? რათ ართმევენ ხალხს პირიდამ ლუკმას და ამ-

ლევენ ამოტელა სალდათობას? ეს უშველებელი ხალხი და ამოტელა სიმდიდრე რათ მიდის უქმათ, რომლისაც ყოველი სახელმწიფო სიღარიბის ქვეშ კვნესის და იტანჯება? ნუ თუ იმიტომ, რომ სათოფეთ „ამორჩეულებმა" სიამოვნება ნახონ თავის სიცოცხლეში?.

— რასაკვირველია, ეს უშველებელი ჯარალი ყოველ სახელმწიფოს მხოლოდ იმიტომ უდგია კისერზე, რომ თავის სახლში კაი მეომრები ჰყავანდეს. კაი მეომრები კიდევ იმიტომ, რომ გარეშე მტრების შიში არა ჰქონდეს და არხეინათ სცხოვრებდეს ქვეყანაზე. კაი მეომარიც იმასა ჰქვიან, ვინც კარგათ და ბლომათ დაჰხოცავს ადამიანების არსებას. აქედგან ჩვენ პირ-და-პირ მივადგებით იმ მაცხოვარ „მამასადამეს," რომელსაც აქამდის უნუგეშოთ ვეძებდით. და ასრე: მამასადამე ამოტელა წამალი იმიტომ იწვის, ამოტელა მუშა ხალხი იმიტომა სცდება, ამოტელა ხარჯი იმიტომ მიდის, რომ კაცმა სპეციალურათ, განვითარებით, ღრმათა და საფუძვლიანათ ისწავლოს კაცის.... რა? რა და—კაცის კვლა! სწავლა არ არის, მაშ რა ღვთის წყრომაა!

* * *

კაცი რომ ღრმათ იყურებოდეს ქვეყნიერების ცხოვრებაში და არა ჰქონდეს გარეშეო გასართობი, სწორეთ რომ ჭკუაზე უნდა შესცდეს: რა ნაირი სისაძაგლე გინდა, რომ იქ არა ტრიალებდეს! მაგრამ ამაზე უშველებელი და წარმოუდგენელი სისაძაგლე კი არ იქნება, როგორიც არის საზოგადოთ ომიანობა, კაცთა ჟლეტა და მუსვრა. მერე ისიც რა ნაირი ომიანობა?—ომიანობა, დამყარებული სამხედრო მეცნიერებაზე!

შესრულდა ბიჭი ოცი—ოც-და-ერთის წლისა. იმაში ძალა-ცოცხლე დუღს და გადმოდის. მოლოდრდა ბიჭი, შეელინა თა-

ვისავით სიცოცხლე სავსე ზორბა გოგოს, უთვალ-თვალა, აცა როდის წამოიგდებს გვერდზე კოკას და გასწევს წყლის-კენსაო. დაანებებს საქმეს თავი და ელის. აგერ მოდის იმისი გულის ვარდი, ჩავიდა წყალზე... ბიჭმაც გაქუსლა, წყეპარს ეშმაკურათ გოგოს და მწვავეთ დაჩქმიტა. დაიკივლა გოგომ ჯერ შიშით, მერე კი აავლ-დაავლო თვალი თავიდამ ფეხებამ-დის მოსარბენ მოსხლეტილ ბიჭსა, შიში სიამოვნებათ გადაექ-ცა და თითონაც მოვიდა მადაზე. მალე შეხვდნენ კიდევ ერთ-მანეთს, თვალიც უყვეს, აგერ პრომტის ხმაც გაისმის საზ-ძელს უგას. ერიჭა, ეს სასუმარი საქმე აღარ არის! აგერ სა-ღამო ხანია. სადარს კარგა მოზდილი მინდორი აქვს და გარსაც ღობე არტყია. გაიჭრაჭუნა კარმა. შემოვიდა გაშმაგე-ბული ბიჭი. გულს ისეთი ძგერი-ძგერი გაუდის, თითქო შორს სადღაც პარავოზი ფეთქამსო. გავიდა რამდენიმე მინუტი და ხელმეორეთ დაჭრაჭუნდა კარი; ვინ იქნება?—დაკოცნილი ქა-ლი. სიხარული ვერც ერთმა ვერ დაიჭირა—შეჰკივლეს და გა-დაეკონენ ერთმანეთს. ეხლა საქმე გათავებულია, დაანებეთ თა-ვი. თითონ იციან თავიანთ საქმისა. ამისთანა სანეტარო სა-ღამოები გადადიან ერთი-ერთმანეთზე. ორნივე სწყევლიან გუ-ლის წმინდით დროებასა და ადგილს, რომელნიც მათ აშორე-ბენ ერთმანეთს. ასეთი გარემოება დიდხანს ვერ გასტანს—სურვილს მოკვლა, დაკმაყოფილება უნდა. შედგება ერთი მზა-დება, მორთვა და პრანჭვა, შეძლებისამებრ. გაიმართა ქორწი-ლი იმავ სადარში, რომლის მეიდანი ასეთ სიკეთეს უწევდა ჩვენ ჯეილებს. დასახლდებიან ერთათ. ერთმანეთს ეკუთვნიან ცოლ-ქმარნი გულითაცა და სულითაც. ეხლა რომელი ეშმაკი და ქაჯი-ღა გაბედამს გადაუდგეს ამათ გზაში? ვინ-ღა დაუშ-

ლის მათ ერთმანეთის სიყვარულს? ისინი ცხოვრებენ ერთად მთელი ქვეყნის თვალ-წინ...

მაგრამ, აგერა, მუხთალ ბედის-წერას მოსდომებია ჩაშ-ხამოსთ ჩვენ ახალ-გაზრდებს ბედნიერება. გასჭირებია სახელმწიფოს ომში საქმე. მთავრობას უფერებია ბრძანება—ამდენი-და-ამდენი კაცი მიაშველეთ ომშიო. წილში მოხვდა ჩვენი ჯეოლიც. რა ქნას? სად წავიდეს? რა წყალს-და ღრეს ეცეს? ერთ ღამეს მოუვიდა თავში ბედნიერი(?) აზრი—მარჯვენა ცერი მოიჭრა და ეგებ მახინჯი აღარ წამიყვანონო. თქვა და გაათავა. უფროსმა იფიქრა, იფიქრა დიდხანს, ეგება მიხვდეს თითი-მოჭრილი და მიაროვას ის, რაც ყველაფერში დამხსნელი და მაცხოვარია, ე. ი. ფულები. ან ერთმა: სად არის ფული? ვინ მისცა ჩვენ გმირს? არ არის-და, გასწი, წესიერად ომში მოჭრილი თითით—ეგ ჩემი საქმე არ არისო! ჯერ საყვარელი ცოლის კოცნა ტუჩებზე არც კი შეშრობია, ჯერ არც კი გაუცვნია სერიოზნათ თავისი მეუღლის ხასიათი, სურვილები, უნდა აგდეს და უიმედოთ გამოეთხოვოს იმას! ცოლი თავს იკლავს, იმის ცოდვით იწვის ქვეყანა. ქმარს უდუღს გული, ეფუფქება. მაგრამ ვინ არის გამკითხავი?—წადი, გასწი ზარბაზნის ლულასთან, ან არა და მტერი დაამარცხეო, კაცები ხოცეო!

კაცის კვლა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, ეწინააღმდეგება ყველა დაწინაურებულ სარწმუნოებას, ეწინააღმდეგება სახელმწიფო კანონებს, ეწინააღმდეგება ხალხის ეკონომიურ ინტერესებს, მაგრამ ომში კი ვინც ბევრს დასჭრის, ყველაზე კარგი კაცი ის არის, ვინც ბევრ ადამიანს დაუყენებს მზესა და დაუბრმავებს თვალებს, ყველაზე მოწინავე პირი ის არის—მთავრობას არა ჰშურს იმისთვის არა ნაირი საჩუქარი,

ქება და დიდება, ქვეყანას იმაზე ალაპარაკებს, ეკლესია იმას უმღერს და იხსენიებს მაცხოვრათ და მადიდებლათ. სულ რისთვის?—იმისთვის, რომ სხვაზე ბევრი კაცი იმან მოკლა! აბა მშვიდობიანობის დროს, ვთქვათ, სათათრეთში თათარმა მოკლას—გინდა ფრანცუზი, თუ რას უზამს იმას თათრის კანონი? მაგრამ, როდესაც საფრანგეთი ომებს სათათრეთს, მაშინ ერთი ფრანცუზი კი არა, ასიც რომ მოკლას თათარმა, ხმის გამცემი არავინ გამოუჩნდება! არამც თუ ხმის გამცემი, ათას წამქეზებელს და გამამხნევებელს იშოვნის.

ეს რასა ჰგავს? ნუ თუ აქ არა არის-რა წინააღმდეგი კაცის ბუნებისა? ნუ თუ აქ კაცის აზრი მართალია!

* * *

ეს უნდა დიპლომატებსა ვკითხოთ. მართლა ისინი არიან ომის მიზეზნი. ისეთი უსტაბაშები, რომ თითონ კაბინეტებში სხედან, „ლუყრწუ-კენტაობასა" თამაშობენ და ჯარები კი ერთმანეთს მტვერსა ადენენ. აბა, ერთი ყური უგდოთ, რას გვეტყვიან:

— მართალია, ომიანობა ეწინააღმდეგება კაცის ბუნებას, იმაზე აშენებულ ღვთის მცნებას და სახელმწიფო კანონებს; მაგრამ ომიანობა, სისხლის ყლეტა-ჯგლეჯა, ამოწყვეტა მაინც ძალიან კარგი რამ არის. აქა ჩანს ყოველი სახელმწიფოს ნამდვილი ძალა და ღონე; უღონიერესი უფრო მძლავრდება და უძლური, გინდა ამოვარდეს დედა-მიწის პირიდგან, ვის რა დაეკლდება! თითონ ბუნების ცხოვრება სამუდამო ბრძოლაა.

ამისთანა პას-უხისთვის გინდა მისწვდე და გამოაგლიჯო ყელ-ყური ამისთანა დიპლომატს, მაგრამ რასა იქ! თუ არ იქნება, სხვა იქნება—სულ ერთია. ამიტომ შენ ეუბნები:

— კარგი, ბატონო დიპლომატო. მართალია, ბუნება—

ბრძოლა არის. მაგრამ თუ კი მე ბრძოლის გუნებაზე არა ვარ, თუ კი არ მინდა ძალა და ღონის გამოჩენა! რას მემართლები? ან კაცს რათ მაკვლევინებ და იმის ცოდვაში რათ მაგდებ, ან თითონ მე რათა მხდი ზარბაზნის ლეშათ, რათ ავკლევინებ ჩემ თავს უდროვოთ, რათ მატოვებინებ უნებლიეთ სახლ-კარს, ცოლ-შვილს უპატრონოთ, უნუგეშოთ? თუ ჰხედავ, რომ ბრძოლა საჭიროა და ბუნების პირველ კანონათ ითვლება—აი, ეს ბურთი და ესეც მოედანი, გამობრძანდი შენი ბრწყინვალეებითა და იომე, რამდენიც შენ სულსა და გულს ენატრებოდეს! თუ არა-და, შე მამა-ცხონებულო, მიმჯდარხარ მა კუთხეში, შამოგიხვევია გარშემო მოწინაამდეგე სახელმწიფოს დიპლომატი-ელჩები, მხიარულათა თამაშობთ, ბოლოთასსა სცემთ, მერე მოდიხარ და მე კი მეუბნები—აიღე ეს წუთას თოფი ხელში და ხოცე შენი მსგავსი კაცებიო! ეს რა სიტყვის პასუხია! ეს რა საკადრისია!

ამ ნაირათ დაჭერილი დიპლომატი ჩამოდის მაღლა ეტაჟიდგან და ცოტა უფრო სხვა კილოზე დაიწყობს ლაპარაკს, პირველათ კი მოგიყვანს იმ გაცვეთილ და ზედ დაფურთხებულ ფრაზას, რომელიც მთელ ქვეყანას ყირაზე ატრიალებს და რომლის წყალობითაც ინთხევა ამოტელა სისხლი.

— ვთქვათ, რომ მართლა და ძალიანაც ცუდია ომიანობა, იხოცება ამოტელა ხალხი. თანხმა ვარ, მაგრამ რასა იქ? „ერთმა სახელმწიფომ რომ დაუშვას ხმალი ძირსა, გაისტუმროს ჯარები თავიანთ სახლებში, მეორე სახელმწიფო დაეცემა და მთელ ხალხს გაჟლეტს, დააწვება თავზე და მონებათ აქცევს. მთელი ხალხის დამონებას რამდენიმე კაცის სიცოცხლე უნდა ვანაცვალოთ. მეტი გზა არსაიდამ არისო. ჩვენ თავის დღეშიაც არ ვიომებდითო, მაგრამ გვეომებიან, და „როგორ შევირ-

ცხვინოთ თავი, როგორ შევარცხვინოთ ჩვენი ხალხის და ჯა-
რების სახელიო!"

აი ფრაზა, რომელსაც ყოველი დიპლომატი ყველა სახელმწიფოისა იმეორებს უკუნითი უკუნისამდე. მაგრამ, როგორც გაყინული, ცივი ცეცხლი არ მოიძებნება მთელ ქვეყნიერობაში, როგორც ცხელი ყინვა არსად არ იპოვება, ისრე ძნელი სანახავია უტყუარი, გულ-წრფელი და მართალი დიპლომატი. ეს სახელიც იმასა ჰნიშნავს, რომ დიპლომატი უთუოდ გაცვეთილი, მატყუარა, ეშმაკი და კუდიანი კაცი უნდა იყოს. აგეთიც გეჩვენოს და იგეთიც. ერთში რომ დაიჭირო, მეორე მოაგვაროს. დღეს რომ გითხრას—რკინა მაგარი ტილო არისო, ხვალ გეტყვის—რკინა უფრო დოს შეჭამადსა ჰგავს, ვიდრე თხლისასაო, ზეგ სრულებით უარს იტყვის—მე რკინაზე არა მილაპარაკნია-რა, ეგ ყველაფერი შენა სთქვიო. აი, ამისთანა უცნაური რამ არსება არის დიპლომატი და ამიტომ იმის სიტყვას ძალიან ბრთხილათ უნდა მევეკიდნეთ.

მართლაც რას ნიშნავს—„თუ ჩვენ უჯარონი ვართ, ჯარიანები ამოგვწყვეტენო!» ყველა სახელმწიფოს დიპლომატი ამითი იმართლებს თავსა. აღექით, თქვე კაი კაცებო, და სულ ყველამ ერთსა და იმავე დღეს დაითხოვეთ ჯარები. მაშინ რიღასი გეშინებათ! მაგაზე ადვილი და სამადლო საქმე რომელია?!

* * *

მაგრამ უსულო და უგულო დიპლომატებთან ლაპარაკი ჩვენ რა ხელს მოგვცემს, იმათზე ვერც აზრით იქონიებ გავლენას, ვერც გრძნობით, ამიტომ რომ ორივეს მოკლებულნი არიან. ჩვენ მხოლოდ ის გამოვიკვლიოთ, თუ ამ სიმახინჯესთან რა წადილები აქვსთ ევროპიის ან სხვა დიპლომატებს?

დიპლომატებმა რომ პირ-და-პირ გამოუცხადონ ხალხს

ომების ნამდვილი მიზანი, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ეს შემაძრწუნებელი და თავ-ზარ-დამცემი ხოცვა კაცებისა ერთი ათასჯერ მაინც შემცირდებოდა, მშვიდობიანობა და ხალხთა შორის სიყვარული, ერთმანეთის ხელის შეწყობა დაბანაკდებოდა ქვეყნიერობაზე. რათა? იმიტომ, რომ დიპლომატების ნამდვილი წადილი მთელი კაცობრიობის ბედნიერობა და დამონებაში გამოხატული, ფოცვლი სახელმწიფოს დიპლომატის მხურვალე ლოცვა და სურვილი მდგომარეობს შემდეგში: „ღმერთო, დიდო ჩემო გულთა-მხილავო, შენ დაასუსტე ყველა ხალხის ძალა და ღონე! შენ დაუბრმავე იმათ თვალები, დაამრევინე სხვადგვარ თოფ-იარაღი, რომ ჩვენი გული ვიოხო, მოვკლათ ხალხთა სისხლის წყურვილი, დავხვეთ მათ ჩვენი ჯარები და გავამსჭვალოთ ჩვენი თვალით ბავრის ელექტრიკონების სურათების ცეცხლით დავიპყრათ მთელი ზღვები და ხმელეთი. ღმერთო, ზეცათ-მყოფელო! რა ბევრი რამ გაგიხდება, რომ ერთხელ მაინც აგვისრულო ჩვენი წადილი! შენ ხომ ეს არა გიღირს-რა! ჩემ გულს კი რა ნამრავთ მოიგებ—აგიშენებ უშველებელ ტაძრებს, ოქროს გუმბათიანებს (ჩემმა ღმერთმა, ცოტას ვიშოვნი-რა!), ისეთ სანთლებს გაგიკეთებინებ და დაგინთებ, რომ ასმა ურემმა ვერ დასძრას. სხვა რაღა გითხრა? შენი ჭირიმე, შენ მომეც ისეთი ძალა, რომ ეს თავ-გასული მეომრები და იმათი ჯარები სულ ავამტვერო, ერთი მტერს თვალები დაუბრმავო და ქვეყანა მარტო ჩემზე ვალაპარაკო.“

აი ამისთანა მოსისხლე თვალით უყურებს დიპლომატი ქვეყანას. ახლა იმისაგან რა სიკეთე უნდა მოელოდებოდეს ადამიანი! ასეა ის მზად არის შეზღუდოს მთელ კაცობრიობას ზურგზე და სულ-წირვებით ზილოს, მაშ ის რა სიკეთეს მოიმოქმედებს ერთის ხალხისთვის, მერე ამ ხალხის წარმომადგენ-

ლებისათვის და ბოლოს ერთი კაცის პიროვნებისათვის! ამი-ტომაც არის, რომ არც ერთი დიპლომატი არ აღვიარებს სა-ქვეყნოდ თავის განზრახვას, პირში თეთრ კბილს გიჩვენებს, მელიასავით კუდს აქიცებს, კატასავით თვალებში შემოგცქერის, მითომდა შენი სიამოვნება უნდა, ზურგს უკან კი მოუსვენრათ გითხრის უძირო ორმოს, რომ ერთ მშვენიერ დილასა გკრას წიხლი და სულიან-ხორციანათ დაგკარგოს, და, აბა რაღა თქმა უნდა, რომ არც ერთი ხალხი, არც ერთი კაცი არ აასრუ-ლებს თავის სისხლის მსმელი დიპლომატის მოსისხლე გან-კარგულებას.

* *
*

ცუდი ეს არის, რომ ყოველი ხალხი საზოგადოთ და ცი-ვილიზებულია უხვათ გავრცელებული ინტელიგენციით და განათლებ-ლობით. დიპლომატები კი დაიარაღებულან მოკლე პრაქტიკუ-ლი ჭკუით და ანგარიშით, კარგათ იციან ხალხის ჩვეულობა, მისი გულ-წრფელობა, მინდობილობა თავის მმართველებისადმი. იმათ იციან, რომ ხალხის მოტყუილებისათვის ადვილი ქვეყა-ნაზე არა არის-რა. აგერ ერთ სახელმწიფოს დიპლომატმა აიღო ალღო, რომ მეორე სახელმწიფოს დიპლომატი ცოტა-თი ჭკუაზე თხლათ ბძანდება, უფროსობისა და თავადის გამ-ჭრიახობა წაურთმევია ღმერთსა. მიუჯდომია პირველი ამ უკა-ნასკნელსა და ათას ნაირ სიმღერებს ჩამღერის ყურში სირი-ნოზის ხმით, ატყუილებს, რაც ძალი და ღონე აქვს, უკარ-გავს დაჭირვებს ჭკვამდის, მანამ არ დარწმუნდება, რომ ეხლა სწორეთ დროა შემოურბინო გარსა, წაუთამაშო მალაყი და პირში ჩალა-გამოვლებული დავარჩინოთო. გასცემს თავის ჯა-რებში ბრძანებას — აბა თვალის დახამხამებაზე მზათ უნდა იყ-ვნეთო და ჩვენი მომტრე (?) სახელმწიფოს სამფლობელოებს მო-

იყაროთ თავიო. მერე საქვეყნოთ გამოაცხადებს თავის ცრუი თავისაგან გამოგონებულ სიცრუესა და ჭორსა—ამ სახელმწიფოს ჩვენი გამუსვრა და აკლება სწადიანო, მიაყენა უპატიურობა ჩვენი ხალხის ღირსებასა და თავ-მოყვარეობას, ამიტომ უთუოთ უნდა ვეომოთ ჩვენ მტერსაო. ხალხსა სწყინს შერცხვენისა, ეშინიან მტრის შემოპარვის, უცხადებს გულითად მადლობას თავის ულმერთო და მაცდურ დიპლომატს, ლოცულობს იმის დღეგრძელობისათვის და ემზადება საომრათ. რასაკვირველია, უფრო ხშირათ ისე მოხდება ხოლმე, რომ ამისთანა ომებში გაიმარჯვებს თითონ ის ხალხი, რომლის ამოწყვეტა ასრე ადვილად ეჩვენებოდა სურვილით წაქეზებულ დიპლომატსა; მაგრამ ხშირათ ცუდი შედეგი აქვსთ ხოლმე თითონ გამოწოდებულ მოპირ-და-პირესთვის—დაიპყრობენ ხელში და სულ ტყუილ-უბრალოთ ტყავს აძრობენ. ამ ზარალის გარდა სულ მუდამ აუცილებლივ ისა ხდება, რომ ორივე მეომარი სახელმწიფოები ჰღუპავენ ერთმანეთს—აკლდებათ ხალხი, ეხარჯებათ დიდი მატერიალური ძალა, უხმებათ შიმშილისაგან კუჭები და სული კბილით ველარ დაუჭერნიათ.

* * *

ამ ნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი თავის დიპლომატების წყალობით. ამ ნაირათ ანარცხებენ მიწაზე და აფურთხებენ ზედა ხალხის მინდობილობას და მათ ნამდვილ ინტერესებს. თავიანთი მიწიერი და ბიწიერი სურვილების აღსასრულებლად ღვრიან საწყალი ხალხის წმინდა სისხლსა!..

* * *

კიდევ ჯანი გავარდნოდა, რომ ომიანობას მარტო ხალხის დროებითი გამუსვრა და ხან-გრძლივი ეკონომიური სიჯანდაგე მოზდევდეს. ძნელი ის არის, რომ ამ უშველებელ ვაი-

ვაგლასხთან ერთი ისეთი ცუდი თვისება სჭირს, რომელიც ყო-ველ სხვა ზარალს აღემატება და ყველაზე ძრიელა სწევს უკან მთელი კაცობრიობის გონებითა და ზნეობით ამაღლებს, ამა-ხინჯებს და მურტლავს უკეთეს გრძნობაებს. ეს თვისება არის ხალხთა შორის სიძულვილე, ნაციონალური მტერობა, ისეთი ჭირი, რომელსაც ცალი და ბადალი არ გამოუჩნდება ქვეყნის უბედურებაში და რომელიც სრული შედეგია ომიანობისა.

როგორც ზემოთ მოყვანილ მოკლე განხილვიდგანა ვნა-ხეთ, ომების მიზეზნი არიან დიპლომატები, და ამიტომ ეს უსაძაგლესი და საშინელი ჭირი, ნაციონალური მტერობა, მათი მეოხებით არის ღრმათ ჩანერგილი კაცთა ნათესაობაში. თი-თო-ოროლა მეტიჩარა და სინიდისიდამ ხელ-აღებული პირე-ბი, რომელთაც სახელმწიფო თავის გულ-კეთილობით ანდობს თავის ბედ-იღბალს, ყოველის მხრითა ცდილობენ მომეტებუ-ლი მსხვერპლი მოუტანონ ომის ღმერთს, დიდებულ მარსსა. იმათ იციან, რომ როგორც ერთი კაცი, ისე მთელი ხალხიც იმდენათ მომეტებულ სიმძლავრეს, თავის გამომეტებას და განწირულებას გამოიჩენს, რამდენი ძლიერ არის დარწმუნებუ-ლი, რომ მოწინააღმდეგე მისი დაუღალავი, დაუნდობარი და შეუწყნარებელი მტერია. ამის გამო ათას მოსყიდულ პირებს აფრენენ დიპლომატები თავის სახელმწიფოს კუთხეებში და გაზეთებითა თუ პირათ აქადაგებინებენ ხალხისთვის ათასნაირ მიქარვებს, რომ ამით აღელვონ და აშფოთონ მთელი ხალ-ხი მოწინააღმდეგე (?) სახელმწიფოსადმი. ხალხიც იმდენჯერ ყოფილა ამით მოტყუებული, რომ ამას იქით უფრო აადვი-ლებს თავის მოტყუებას, იცემს გულზე ხელსა და, თუმცა ეზარება სახლ-კარის მოშორება, მაგრამ მაინც მიდის ომში იმ იმედით, რომ თუ მოკვდება, თავის სიკვდილით სხვების

სიცოცხლეს ხომ მაინც ფეხზე დააყენებს. რა ნაირი სიძულვილე უნდა აღგზნას კაცმა მთელ ხალხში, რომ ისა ნატრობდეს მეორე ხალხის გაწყლეტას და ამ ნატვრის აღსრულებას საქმითაცა სცდილობდეს თავის უკანასკნელი სისხლის წვეთამდის!

* *
*

ამისთანათ მიდრეკილ გრძნობას დიპლომატებმა დაუძახეს მეტათ მაღალი სახელი, ასრეთ წოდებული პატრიოტობა, და ბევრ გულ-კეთილ პირს დღესაც და, ასრე გამინჯეთ, მწერლობაშიაც კი პატრიოტობა ესმით დიპლომატების ნაგონებისამებრ. იმათა ჰგონიათ, რომ რაც კაცს მომეტებულათ უყვარს თავისი ყველაფერი, ავი იქნება თუ კარგი, და რაც განუსაზღვრელათ სძაგს, ეჯავრება გულითა და სულით სხვისა ყველაფერი, გინდ ავი და გინდ კარგი, იმდენათ ასეთი კაცი მომატებული პატრიოტია. მართლა, თუ ამისთანა უგუნურობასა და სირეგვნეს, წამხდრობასა და უსინიდისობას პატრიოტობა ჰქვიან, მაშ ეს რაღაც პატრიოტობა ყოფილა, ძალიან დიდი სიმხეცე რამ უნდა იყოს. მართლათაც, მიყვარდეს ჩემი სახელმწიფოისა ყველაფერი და ამ ყველაფერში უნდა იგულისხმებოდეს მთელი ის უწესოებაც, რომელიც, ვთქვათ, იხატება პირუტყვულ უგრძნობლობაში პატიოსნებისადმი, თავისუფლებისადმი, ადამიანობისადმი, იგულისხმებოდეს, რომ მე მიყვარს ყოველი ის უსამართლობა, რომელიც ხდება გარეშე ჩემსა: მიყვარს ის სახრჩობელა, რომელმაც მოუსწრო დღენი მშვენიერ ახალგაზდას, გინდა ის თვით ტატო წულუკიძეც იყოს; მიყვარს ის უშველებელი ციხეებიც, რომლებშიც აგერ სული ხდებათ იმოდენა ხალხს, ბრალიანს თუ უბრალოს, სამართლის მოლოდინით და განუსაზღვრელი უსაქმურობით; მიყვარს აგრეთვე ისა, რომ ჩვენში ადამიანი გამართლებას

იშოვნის ფულით, გინდა უშველებელი დამნაშავეც იყოს, გარდა ერთნაირი დანაშაულისა, რომელზედაც არავითარი კანონი არა სჯიდეს ჩვენში, გარდა ენა-ტანიობისა, — თუ პატრიოტი ვარ, დიპლომატების აზრით, მე უნდა კიდეც მიყვარდეს მთელი ჩემი არსებით ყოველივე ეს და ამის თანა ათასი სხვა საზიზღარი მოვლენანი.

ვთქვათ, გავხდი ასეთი ტყის დათვი და შევიყვარე ესენი, არასა ვზოგავ მათი დღეგრძელობისათვის, განა მაკმარა პატრიოტობამ? არა, ამასთან ისა თხოულობს ჩემგანა, რომ მე მძულდეს, ვმტრობდე და არასა ვზოგავდე ყველა მის დასათრგუნათ, რაც სხვა ხალხს ეკუთნის. რას ნიშნავს ესა? — იმასა, რომ მე უნდა პირ-და-პირი, დაუძინებელი მტერი ვიყო, ვთქვათ, თავისუფლებისა, რომლის დროშაც მეთვრამეტე საუკუნეში აღამაღლა საფრანგეთმა და დაუფრთხო ტკბილ სიზმრებიანი ფუფუნა ძილი სხვა სახელმწიფოებს. რათ უნდა მძულდეს? — იმიტომ, რომ თავისუფლების აზრი ჩვენ არ გვეკუთვნის, იმიტომ რომ ჩვენი სიბრძნის პირველი მუხლი მონობა, ყმობა, ლაქიობა, მუნჯობაა. გარდა ამისა, მე, როგორც ნამდვილ პატრიოტს (!), უნდა მეჯავრებოდეს ხალხთა თვით-მპყრობელობის აზრიც, რომელიცა ქადაგობს, რომ ხალხი შესდგება ადამიანების პიროვნებებიდგან და სრულებით არა ჰგავს ცხვრის ფარას ანუ ცხენების ჯოგსა, ამიტომ იმას უნდა ჰქონდეს სრული უფლება თავის ბედ-იღბლის მომართვისა სურვილისამებრ თვისისა. რათ უნდა მეჯავრებოდეს? — რათა და იმათა, რომ ჩვენ ღვდელს ასე არ უწირნია, ე. ი. ხალხი ჩვენ თვალში მართლა და მარტო ცხვრის ფარაა, რომელსაცა ჰკრეჭამენ მოხერხებული მწყემსები. კიდევ უნდა ვემტერებოდე იმ აზრს, რომელიც დღეს მთელ ევროპასა და

ამერიკას მოსდებია ჭირივით და თანდისთან ხმას იმაღლებს, ასე რომ მისი ნაღარას ყვირილი სულ აწრუწუნებს ქვეყნის ბორბლის უსტაბაშებს, ასრეთ წოდებულ კაპიტალისტებს, ე. ი. ვემტერებოდე იმ აზრს, რომელიცა თხოულობს შემდეგ სამართლიან წესიერებას: რადგანაც ყოველი სარჩო მოიპოვება მხოლოდ შრომით, რადგანაც ყოველი ნივთი გაკეთებულია მხოლოდ მუშის ხელით, ამიტომ ყველაფერი უნდა შეადგენდეს იმის კუთვნილებას, ვისაც ის გაუკეთებიაო. გარეშე შრომისა კაცს არ შეეძლოს ცხოვრება სხვა გზით, ე. ი. უსამართლობითაო. მანამდისინ ასეთ გვარათ არ იცვლის ქვეყანა ფერს, მანამ უბედურება კაცობრიობისა კი არ ილევს, დღითი-დღე იმატებსო. მე, როგორც ნამდვილმა პატრიოტმა, უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმარო ამ აზრის დანგრევისათვის. რათა? რისთვის?—იმიტომ, რომ ჩვენში სარჩოს მოპოება ცარცვა-გლეჯაზედ აშენებული და ზემოთ მოყვანილი საშიში აზრი ჩვენ მიწა-წყალზე არ დაბადებულა!

მე უნდა მეჯავრებოდეს, მაშასადამე, სწავლა-განათლება, მეცნიერება, რადგან ჩვენ ხალხში ამისთანა საგანს ადგილი არა ჰქონია და უსწავლელათაც, უმეცნიერებოთაც უცხოვრიათ. რასაკვირველია, ბოლომდის რომ გავიდეთ, მე უნდა ზიზღით ვუყურებდე სხვა ქვეყნების ცუდ თვისებაებს, გარყვნილობას, ვერაგობას, ავაზაკობას, ათას ნაირ პრანჭვა-გრეხიაობას, რომლებიც ჩვენში არ იცოდნენ, მაგრამ დიპლომატების მიერ მოწერილი პატრიოტობა ამ უკანასკნელ მუხლზე თვალებსა ჰხუჭამს სიამოვნებით და კიდეც გვაქეზებს მათდამი. ეს ეპატიება.

ვინ არ იტყვის, რომ ამისთანა შეხედულობა საგანზე პატრიოტობა კი არ არის, ეს არის სრული პირუტყვობა, ანუ

აჰრეთ წოდებული ცრუ პატრიოტობა! ესა ჰბადებს სრულებით საზარალო გრძნობებს, რომლების გამოც მოკეთობის მაგიერ ხალხთა შორის უსაფუძვლო მტერობა იზრდება და მატულობს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი—ერთი ჭკუა ჭკუა არისო და ორი უკეთესიაო. აქედგან, რამდენი ბევრი ჭკუა შეერთდება ერთად, ბევრი ხელი და ფეხი, ზურგი და წელი მიეცემა ერთ საყოველთაო შრომას, რაც დიდათ ეყვარება ყველას ერთმანეთი, მით უფრო ბევრი საქმე გაკეთდება, მით უფრო მომატებული დღეგრძელობა და ბედნიერება ჩამოვარდება კაცობრიობაში. ვისაც მართლა თავისი ხალხი უყვარს, იმას იმავე სიყვარულით უნდა უყვარდეს მთელი ქვეყნიერობაც, რადგან მისი ხალხისთვის საჭიროა ქვეყნიერობის დახმარება და ქვეყნიერობისთვის კიდევ იმისი ხალხისა. აი ნამდვილი პატრიოტობა და მამულის სიყვარულიც ეს არის.

* * *

რუსეთის ჟურნალ-გაზეთებისთვის ვისაც ყური უგდია უკანასკნელი ომიანობის დროს სათათრეთთან, იმან იცის, რამოტელა ყალ-მაყალი და ვაი-ვაგლახი ასტყდა ჩვენ სახელმწიფოში. გარდა ათასში ერთი პატიოსანი მწერლისა და საზოგადო მოქმედისა, ყველამ დააღო ყბა და უშვერათ ცდილობდა, რაც შეიძლება, მომეტებული სიძულვილი აღეძრა რუსეთის ხალხში თათრებისადმი, მათ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობისადმი. მწერლობა აქეზებდა ხალხსა სათათრეთის ამოსაწყვეტათ, რომ ამით მოეშორებინათ სლავიანებისათვის უშველებელი, მოსისხლე მტერი. წავიდა რუსეთი, ბევრი ეომა, დიდი ძალა და ღონე ჩამარხა სათათრეთის საზღვარში. მაგიერათ მოიპოვა ბათუმი და ყარსი...

დღევანდელ რუსულ ჟურნალ-გაზეთებს რომ გადახედოთ,

ყველგან შეხვდებით სინანულს ამ ომის თაობაზედ. ყველა იძახის, რომ ზარალი მოგებას უანგარიშოთ აღემატებაო.

* *
*

მართლათაც და გარეთ ტაბლას რა ხელი ჰქონდა, როდესაც რუსეთის შინაგანი მდგომარეობა ერთი განუსაზღვრელი უბედურება, წარმოუდგენელი სიღარიბე და სიღატაკე იყო? ამისთანა დროს დაასწვა რუსეთს ზურგზე მძიმე ტყვიასავით იმოტელა ომიანობა, დაასწვა და მალიანაც შეასუსტა იგი. აი, ამიტომაც არის, რომ წლევანდელი რუსეთი სწორედ საშინელ წერტილამდის არის მისული. თითქმის ოც-და-სამი საუკეთესო გუბერნია დამშეულია. თავ-ზარ დასაცემი კორრესპონდენციები მიდის გაზეთში ორენბურღის, სარატოვის, სამარის, ხერსონის და სხვა გუბერნიებიდგან. ზოგან ისე შევიწროებულა ხალხი, რომ არჟანოის ფქვილის ნაკლებულობის გამო ჰფქვამენ ხავსსა, ურევენ ფქვილში და აცხობენ ამ ნაირათ პურსა—ზოგჯერ ხავსი ნახევარზე მომატებული ურევია ხოლმე. ბევრნი თითქმის შიმშილითაც იხოცებიან...

ამისთანათ დამშეული ხალხი რას შეადგენს მმართებლობისათვის, რა გადასახადის აღება შეუძლიან მას? ამიტომაც არის, რომ ნედოიმკები დღითი-დღე მატულობენ და იზრდებიან: სადაც სახლობას ათი-თხუთმეტი ხარი ჰყვანდა და ჰხნამდა ოც—ოც-და-ათ დღიურ მიწას ამ რვა-ცხრა წლის წინეთ, იქ დღეს ორი და სამი სული-ღა აბადია და ჰხნამს სამ-ოთხ დღიურს. ხალხი ცალკე იტანჯება შიმშილით, საქონელი ცალკე სწყდება შიმშილითა და ჭირით. ბევრი ისეთი ადგილებია, რომ თერთმეტი გლეხის თავზე ერთი ხარი-ღა მოდის, შვიდ კაცზე ერთი ჭუდა ცხვარი, ოთხ კაცზე ერთი დედალი ქათამი. თითო ამ გუბერნიებთაგანში ორ მილიონ

კაცზე მეტი ცხოვრობს. რა ჰქნას ამოტელა ხალხმა? ცხოვრება არ უნდა? გაჭირების გამო გავრცელდა სხვა-და-სხვა ჭირიანობა, რომელიც მუდამ შიმშილს მოზდევს ხოლმე.

* *
*

აი, როდესაც რუსეთის მოწინავე პირნი შეჰყურებდნენ ამისთანა მდგომარეობასა და იკვლევდნენ წყაროებს მის მოსამორებლად, უცებ მთელი ქვეყანა განაცვიფრა და აალელვა განსვენებული იმპერატორის მოკვლამ. ამ ამბავმა მიიზიდა ყველას ყურადღება. ყველანი შეჰკითხავენ მომავალს და ვერ მიუღიათ მისგან პასუხი . . .

თუმცა ყველას სხვადასხვით დააწვება გულზე პირველი მარტის შემაძრწუნებელი ამბავი, მაგრამ . . . . .

გვქონდეს იმედი, რომ იმპერატორი ალექსანდრე III თავის ხალხს მისცემს შეღავათს, მოსწმენდავს თვალზე ცრემლსა, აღასრულებს ნდომას და დააკმაყოფილებს საჭიროებას.

ფარულა.

## უმთავრესი კორრექტურული შეცდომილებების გასწორება „იმედის“ პირველ ნომერში:

| გვერ. | სტრიქ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 63. | 19—20 | სპილენძი, თუჯი, ქვა-გუნდა, ქვის ნახშირი და სხვ. | სპილენძი, ქვა-გუნდა, ქვის ნახშირი და სხვ. |
| 96. | 8—9 | მშვენიერ საქმეთა იდეალი. | მშვენიერ სქესთა იდეალი. |
| 97. | 3 | რომელსაც ეპარებოდა. | რომელსაც არ ეპარებოდა. |
| 108 | 1 | ფრანცუზებთან მომზადებისათვის. | ფრაცუზებთან საბრძოლველათ მომზადებისათვის. |

ɑ 474
1881

ხელის-მოწერა მიიღება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ატამანის ქუჩაზედ, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში.

გარეშე მცხოვრებლებთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ.“***

მარტის და აპრილის წიგნები გამოვლენ ერთათ ოც აპრილისთვის—ეს იმიტომ, რომ სამუდამოთ მოისპოს ჟურნალის გამოსვლის დაგვიანება. შემდეგში თვითეეული ნომერი გამოვა ოც იმ თვისთვის, რომელსაც ეკუთვნის.

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.

რედაქტორი და გამომცემი მიხეილ გურგენიძე.